ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

პირველი იანვარი, 1995 წელი - ნომერი 15(33)

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ილია

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო  მ ო ლ ო ც ვ ა..........1

ხოხუმის დაპყრობის ერთი წლისთავი

ვითომ ჩვენ ომი წავაგეთ აფხაზეთში? -..........3
რუსეთ-საქართველოს "გამოუცხადებელი ომი"..........4
27 სექტემბერს დაეცა სოხუმი..........6
"დიდება დამარცხებულებს" თუ "ვაი,დამარცხებულებს"..........7
მიმართვა აშშ-ს პრეზიდენტ ბილ კლინტონს..........9

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

ჩვენ გვღუპავს შემწყნარებლობა? -..........11
ქართველობა რუსეთისათვის ინდიელებია? - ..........13
ვინ მართავს საქართველოს? - ..........17
ორი უკიდურესობა..........20
ქართველი ერი ორმაგად დაჩაგრული..........21
დავით აღმაშენებლის ხსენების დღე..........24

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

"ევროპა საქართველოს ნელი სიკვდილის დამხმარეა?" - ..........25
"ღვთისმშობლის ბაღი"..........31
"მე ვხვამ ვარსკვლავებს!"..........44

ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

შრომა აკეთილშობილებს ადამიანს..........46
გლეხობა ევროპის კავშირში..........48
მეიარაღების "მესამე ტალღა"..........49
"მდიდარნი" და "ღარიბნი" მსოფლიოში..........52
ლუდი თუ ღვინო? - ..........52

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

ოთარ ჭილაძის "რკინის თეატრი" ფრანგულად..........53
საქართველოს ეროვნული ბალეტი პარიზში..........54
ჩვენი შენიშვნა..........56

ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

26 მაისი პარიზში..........58
"ბაღის დღესასწაული" ლევილის ქართულ მამულში..........60
შეხვედრა საქართველოს საელჩოში პარიზში..........62
ქართული ჟურნალ-გაზეთები უცხოეთში:"ცნობის ფურცელი"..........69
"იძულებითი განცხადება"..........72
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები..........73

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა.აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი,მჭრელი,მებრძოლი".
ნოე

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

გ-274
17624
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
შოთა მარაბი ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მეოთხე სვეტი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი - პრესა, რადიო, ტელეხედვა, კინოფილმი - დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების 'მეოთხე სვეტია' სახელმწიფო ძალაუფლების 'სამი სვეტის' - მმართველობის(მთავრობა), კანონმდებლობის(პარლამენტი) და მართლმსაჯულების(სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა სიძლიერეა თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლის, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი ცხოვრების სარკე, რაც - თავის მხრივ - ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი; და ამ საქმეში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თავიდან ამა თუ იმ პირის თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1921 წლის თებერვლის 21.

### მუხლი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d'exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d'autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

## Universal Declaration of Human Rigts

მუხლი 19. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას დაბრკოლების გარეშე დარჩეს საკუთარ მრწამსზე, აგრეთვე თავისუფლებას, ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფოებრივი საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

### article 19

Everyone has the right to freedom of opinion and expression; this right includes freedom to hold opinions without interference and to seek, receive and impart information and ideas through any media and regardless of frontiers.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საახალწლო მოლოცვა

## 1 იანვარი, 1995 წელი

1.

რა მოგვცა 1994 წელმა?.. რას უნდა მოველოდეთ 1995 წელში?..

2.

თუ ჩვენ საქართველოს, ქართველი ერის მდგომარეობას საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო სტატუსით განვიხილავთ, 1994 წელიც მოსალოცი, გახარებული წელიწადია, რადგან, საქართველოს როგორც სახელმწიფო, უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, და სრულუფლებიანი წევრია ისეთი დიდი საერთაშორისო ორგანიზაციისა, როგორიცაა გაერო, იუნესკო თუ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია. საქართველოს უკვე გააჩნია საელჩოები ვაშინგტონში, პარიზში, ლონდონში თუ ბონში, და ჩვენს დედაქალაქში - თბილისში - წარმოდგენილია საელჩოებით მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო. ამგვარად, ჩვენი ერის ორასწლოვანი ბრძოლა, რომელსაც ჩვენი ერის საუკეთესო შვილები შეეწირა, წარმატებით დასრულდა, და საქართველო უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. ეს დიდი, დიდი წარმატებაა.

3.

მაგრამ ჩვენი პრობლემა იყო, არის და,ალბათ, დარჩება ნორმალური ურთიერთობის დამყარება რუსეთთან. ვერც ერეკლე მეორემ ვერ შესძლო 1783 წლის ე.წ-ლი "გეორგიევკსი ტრაქტატით" რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, რასაც 1801 წელს მოყვა - ჯერ - ქართლ-კახეთის სამეფოების გაუქმება და - შემდეგ - მთელი საქართველოს დაპყრობა, რის შედეგად საქართველო რუსეთის სამეფოს პროვინცია გახდა, და ვერც 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება გახდა მშვიდობიანობის ბაზა საქართველოსა და რუსეთს შორის, როცა რუსეთმა, იარაღის ძალით, დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, 1921 წლის 25 თებერვალს, და საქართველო ისევ რუსეთის თავისებურ კოლონიად აქცია.

4.

მოულოდნელად, 1991 წლის მიწურულში, დაიშალა რუსეთის იმპერია, და საქართველომ, 1991 წლის 9 აპრილს, ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის "დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე, რაც დიდი ისტორიული მოვლენა გახდა. 1994 წლის 3 თებერვალს კი რუსეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და, რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობა.

5.

ამგვარად, პირველდასხელთა, მეორედასხელთა და მესამედასხელთა მრწამსი - "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!" და "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა", - განხორციელების პროცესშია. მაგრამ აქაც, როგორც ჩანს, ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ დიპლომატიური მოქნილობა, მივივიწყეთ რა ქართული დიპლომატიის მრწამსი, რომ პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა. ჩვენ შესაფერისად ვერ შევაფასეთ ის ფაქტი, რომ დაშლილი საბჭოთა კავშირი, ე.ი. რუსეთი - საქართველოს სახელმწიფოს პირისპირ - მაინც დიდი სახელმწიფოა, რომლის ანგარიშის გაწევაზე უარის თქმა საქართველოს არ შეუძლია. ამან გამოიწვია ის, რომ რუსეთმა აგვიჯანყა ჩვენი ძმების, აფხაზების, თუ შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ექსტრემისტული ნაწილი, რასაც მოყვა სოხუმის დაცემა, 1993 წლის 27 სექტემბერს, და საქართველოს სახელმწიფოს იძულებითი შეყვანა ე.წ-ლ "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში", რაც, თავისი სტრუქტურით, საბჭოთა კავშირს წააგავს, როგორც წერენ, ჩაქუჩისა და უროს გარეშე.

6.

ყველაზე უფრო დიდი უბედურება კი ამ პროცესში არის ის, რომ სამასი-ათასი ქართველობა აყრილია საქართველოს ისტორიულ ტერიტორიიდან, და რუსეთი ათასგვარ ხერხს მიმართავს, რომ ქართველი დევნილები ვერ დაბრუნდენ სოხუმის რეგიონში თუ შიდა ქართლში. და ჩვენ, ქართველობა? - იმის სამაგიეროდ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი პირით ველაპარაკოთ "ბნელ ძალებს", ერთმანეთს დავუპირისპირდით, რაც - თავის მხრივ - ოსტატურად გამოიყენა "ბნელმა ძალებმა", რასაც მოყვა საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების დაცემაც, რაც გრძელდება დღემდე.

7.

"ბნელი ძალების" ანკესზე კი ჩვენ ისე წამოვეგეთ, რომ ფიზიკურ ტერორსაც კი ვიყენებთ, რის შედეგია ის, რომ ზვიად გამსახურდია, მაგალითად, ჯერ ავირჩიეთ საქართველოს პრეზიდენტად, ხოლო მოკლეს. თუ თავი მოიკლა ისე, რომ საქმე გაურკვეველი რჩება. გასული წლის მიწურულში კი მოკლეს აგრეთვე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი - გიორგი ჭანტურია, და ვინ ჩამოთვლის ყველა იმ უბედურებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს საქართველოში?!.. და აქ მაგონდება "პოლიტიკური კულტურისა" და განმანათლებლის დიდი მოძღვრის - ვოლტერის სიტყვები, რომლის დაბადების სამასი წლისთავი 1994 წელს აღინიშნეს:"უეჭვოა, - ამბობდა ვოლტერი, - ყოველი ადამიანი მხევია, რომელიც მის თანამოძმეს იმიტომ დევნის, რომ ის სხვა აზრისაა". და როგორ მოქმედებს ზოგიერთი ჩვენგანი, როცა ფიზიკურ ტერორსაც კი იყენებს"სხვა აზრის" მქონე ადამიანების წინააღმდეგ?..

8.

და აქ მივადექით მედლის მეორე მხარეს: რას უნდა მოველოდეთ ახალ, 1995 წელს? - პირველ ყოვლისა, ჩვენის აზრით, საჭიროა საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის(მთავრობა), კანონმდებლობის(პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამრთლო) გამოჯანსაღება, რადგან, როგორც ქართული ხალხური სიბრძნე გვასწავლის, "თევზი თავიდან ყარს", რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო უნდა აიგოს "დაბლიდან მაღლა", ე.ი.საქართველოს სახელმწიფო ბაზა უნდა გახდეს ადგილობრივი მმართველობა. კონკრეტულად ეს ნიშნავს იმას, რომ ღირსეულნი უნდა გახდენ ძალაუფლების მფლობელნი, რომლის დროს პირად ინტერესებმა არ უნდა ჩაყლაპოს საზოგადოებრივი ინტერესები. ეს კი ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ნუთუ საქართველოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელიც წინა-პლანზე საზოგადოებრივ ინტერესებს აყენებს?!..

9.

ჩვენ გვწამს, გვჯერა, რომ მომავალი 1995 წელი გახდება ეროვნული ერთობის სიმბოლო, ეროვნული თანხმობის წელი, რადგან უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილია, რაც იმას ნიშნავს, რომ კედელზე ვართ მიყენებული.

10.

მაშ, წინ ეროვნული ერთობისაკენ, ეროვნული თანხმობისაკენ!.. იმედი, იმედი და კიდევ იმედი!.. აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!..

დიდება ერთიან და განუყოფელ საქართველოს!..
დიდება ქართველ ერს!..
მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 1 იანვარი

"მაშ რად გამზარდა დედამა,
რად განმიმტკიცა მკლავია,
თუ კი სამშობლოს სარგოდა
იგი არ მომიხმარია".

ვაჟა-ფშაველა

# სოხუმის დაპყრობის ერთი წლისთავი

## ვითომ ჩვენ ომი წავაგეთ აფხაზეთში?..

I.

საქართველოში, როგორც ჩანს, ტერმინები, ცნებები ისეა აღრეული, რომ მოსახლეობაში გავრცელებულია აზრი – თითქოს ჩვენ ომი წავაგეთ აფხაზეთში, და მე დავუმატებდი, შიდა ქართლშიც. რატომ აქვს ცნებათა, ტერმინთა ამგვარ აღრევას, ყალბათ გამოყენებას საქართველოში და განსაკუთრებით საქართველოდან დასავლეთ ევროპაში მოგზაურ ტურისტებშიც – ვერ გავიგია, თუმცა ფაქტები ამგვარი მტკიცების წინააღმდეგ ღაღადებენ. აფხაზეთში ომს არ ჰქონია ადგილი, და, ამგვარად, ომის წაგებაც არ შეგვეძლო; და – შემდეგ – აფხაზეთი არის საქართველოს ერთერთი შემადგენელი ნაწილი როგორც სამეგრელო, გურია, ქართლი თუ კახეთი, და როგორც შვეგვეძლო ჩვენ ომი გამოგვეცხადებინა აფხაზეთისათვის და აფხაზებს, სულ ასი-ათასი ადამიანისაგან შემდგარ ტომს (და არა ერს. ერი ფართო ცნებაა) დაემარცხებინა საქართველოს ხუთ-მილიონიანი მოსახლეობა?..

II.

მაშ, რა იწვევს ცნებათა ამგვარ აღრევას ქართველ ერშიც?.. ვითომ ჩვენ იტარ-ტასის ცნობებში უნდა გავიმეოროთ თუთიყუშივით, და ვერ შევძლოთ ამგვარი ვაი-სააგენტოს იმპერიული ზრახვების განჭვრეტა?.. ვითომ ჩვენ არ ვიცით, რომ ომი შეიძლება წარმოებდეს ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის, რომლის დროს ომის გამოცხადება და წარმოება სახელმწიფოს უზენაესი ძალაუფლების საქმეა, ხოლო ომის დამთავრებას საზავო ხელშეკრულება უნდა მოყვეს?.. და განა აფხაზეთში წარმოებული ბრძოლები – მიუხედავათ იმისა, რომ მას დიდი ადამიანთა მსხვერპლი მოყვა და ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობა გამორეკილ იქნა ამ ქართული მიწაწყლიდან – ომი კი არა, მხოლოდ რუსეთის მიერ "ჩაწყობილი" აფხაზი ექსტრემისტებისა და რუსეთის ჯარების "მოხალისეების" საქმენი-საგმირონი არ იყო ?.. ამიტომ ჩვენ უნდა გველაპარაკა არა ომზე, არამედ აჯანყებაზე, რომელიც რუსეთმა მოამზადა და განახორციელა ჩვენს აფხაზეთში?.. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, როგორ შეეძლო აფხაზეთის ასი-ათასიანი აფხაზი მოსახლეობის ექსტრემისტებს ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობის ამ საქართველოს მიწა-წყლიდან გამორეკვა?..

III.

მერმეთ: აფხაზეთში ჩვენ ომი კი არ წაგვიგია, არამედ – აფხაზი ექსტრემისტების ნიღბის ქვეშ – რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაგვამარცხა, რის შემდეგად ჩვენ ომი კი არ წაგვიგია, არამედ ერთი ბრძოლა; და ეს ბრძოლა გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ ისევ არ აღსდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ქართველი ლტოლვილები ისევ არ დაბრუნდებიან თავიანთ მშრომელიურ მიწა-წყალზე. და განა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ არის აღიარებული რუსეთ-საქართველოს 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერეს თბილისში რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ?.. და თუ რუსეთი ხელს უშლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფაქტიურ განხორციელებას და მდინარე ენგურზე საზღვარს გვიქმნის, რომ ქართველი ლტოლვილები ვერ დაბრუნდენ თავიანთ ძველთაძველ მიწა-წაყალზე, აქ არ უნდა ამოქმედდეს დიპლომატიური არსენი, რომ რუსეთმა ხელი აიღოს საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევაზე?..

IV.

მაგრამ ამ ფაქტს აქვს სხვა განზომილებაც: იმავე იტარ-ტასის სააგენტომ თავს მოგვახვია არა მარტო ჩვენ,ქართველობას, არამედ მთელს მსოფლიოს, ყალბი ცნებები და ტერმინები აფხაზ-ექსტრემისტების აჯანყების შესახებ, როცა დაიწყო ლაპარაკი აფხაზებსა და ქართველებს შორის კონფლიქტის შესახებ, რომლის დროს დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოს ორი სახელმწიფო – საქართველო და აფხაზეთი – აწარმოებენ ომს ერთმანეთის წინააღმდეგ. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა კი ვერავითარი საშუალება ვერ გამონახეს,რომ შებრძოლებოდა კრემლის იტარ-ტასის ამგვარ ვაი-ინფორმაციას; კიდევ მეტი: საქართველოს საინფორმაციო საშუალებები მაშინაც და დღესაც ლაპარაკობენ აფხაზეთზე ისე თითქოს აფხაზეთი საქართველო არ იყოს, როცა, მაგალითად, მოლაპარაკეებში აფხაზ ექსტრემისტებსა და საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს შორის გადატანილ იქნა საერთაშორისო არენაზე - ჟენევაში, რომლის
დროს ისევ ვრცელდებოდა არსებითად ყალბი ინფორმაცია,რომლის ერთერთი ფაქტია
აფხაზი ექსტრემისტების მთელ აფხაზებად მონათვლა. რუსეთი კი გამოდის შუა-
მავლის როლში, რაც პირდაპირ დაცინვაა საქართველოს, ქართველი ერის მიმართ,
რადგან აფხაზი ექსტრემისტებისე.წ-ლი აჯანყებაც კრემლის არა მარტო ჩაწყო-
ბილი საქმეა, არამედ რუსი ჯარისკაცებისა და სამხედრო ტექნიკის უშუალო მო-
ნაწილეობით ჩატარდა და დღესაც ტარდება, როცა რუსის ჯარი - ამჯერად გაეროს
ცისფერქუდიანების ეგიდით - საზღვარს გვქმნის მდინარე ენგურზე და ამით ჩვენ
ლტოლვილებს საშუალებას არ აძლევს დაბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალზე.

V.

ამდენად, საქართველოს ომი არც დაუწყია და არც წაუგია; და თუ მაინცდამაინც
ომზე სურს ლაპარაკი იტარ-ტასს, მაშინ საქართველოს წინააღმდეგ გამოუცხა-
დებელ ომს აწარმოებდა და აწარმოებს რუსეთი დღესაც, როცა რუსის ჯარი და
განსაკუთრებით რუსეთის სახელმწიფო ორგანოები ისე ფარფაშობენ საქართვე-
ლოში, რომ მათ ფაქტიურ ტყვეობაში ვიმყოფებით.

VI.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დიდმპყრობელ-შოვინისტებსა და აფხაზ-ის ექსტრემის-
ტებს, რომლებიც რუსეთის ყურმოჭრილი მონებია, - შერჩებათ ამგვარი დაუნდო-
ბელი ბრძოლების წარმოება საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ. ამის
იმედს გვაძლევს საქართველოს, ქართველი ერის ორი-ათასზე მეტი სახელმწიფოე-
ბრივი ისტორია. რა არ დაგვატეხეს ჩვენ თავს უცხო დამპყრობლებმა, მაგრამ
ჩვენ მაინც შევძელით ფენიქსივით ისევ აღდგომა, და ამჯერადაც ისევ ავღსდ-
გებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა შევეცადოთ რუსეთთან
საერთო ენის გამონახვას, რომ რუსეთმაც როგორმე გაიგოს, რომ იმპერიების
ხანა ისტორიას ჩაბარდა, და საჭიროა რუსეთის მხრიდან არა პატარა ერების
დაპყრობა და ამ მიზნით მათ შინაგან საქმეებში ჩარევა, როგორც ეს მოიმო-
ქმედა შიდა ქართლში და აფხაზეთში, არამედ საჭიროა საერთო ენის გამონახვა
საქართველოსა და რუსეთს შორის. ასეთი პოლიტიკა სასარგებლოა არა მარტო სა-
ქართველოს, არამედ რუსეთისათვისაც, რადგან საქართველო, ქართველი ერი მი-
გვაჩნია ჩვენ ერთერთ ძლიერ ხელშეწყობად კავკასიაში მშვიდობიანობის დამყარების
საქმეში.

VII.

ამდენად, საჭიროა მოლაპარაკებების წარმოება არა აფხაზ თუ ოს ექსტრემისტებ-
თან, რომლებიც თავისთავის პატრონები არ არიან, არამედ რუსეთთან იმ მიზნით,
რომ როგორმე გამოვნახოთ საერთო ენა ერთმანეთს შორის. ისიც არ უნდა დავი-
ვიწყოთ, რომ რუსეთმა კარგად იცის, რომ ომს არ ჰქონია ადგილი აფხაზეთში
მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჯარებმა სოხუმში 1993 წლის 27 სექტემბერს
დაგვაჩოქა ჩვენ, ქართველობა, საქართველო.

VIII.

ვითომ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პოლიტიკური მოღ-
ვაწეები შეძლებენ "საგანს თავისი სახელი უწოდონ" და ახლა მაინც თავი და-
ვანებოდ იტარ-ტასსის ყალბი ტერმინების გამოყენებას საქართველოში და მის
წინააღმდეგ გავილაშქროთ საერთაშორისო მასშტაბით.აც?..

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1994 წლის 21 აგვისტო

---

[illegible]

**რუსეთ-საქართველოს "გამოუცხადებელი ომი"**

I.

1993 წლის 27 სექტემბერს დაიპყრეს ჩვენი სოხუმი დიდმპყრობელ-შოვინისტებმა,
ე.ი. რუსეთის ჯარებმა,და ეს პირწავარდნილი იმპერიალისტური აქტი, იტარ-ტა-
სის სააგენტოს წყალობით, აფხაზ-ქართველთა კონფლიქტად მონათლეს,რაც, რო-
გორც ჩანს, უკომენტაროდ გაიზიარა დასავლეთის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა
და გაერომ, თუმცა კარგად იციან, რომ სოხუმში ჩვენ, ქართველობა, საქართვე-
ლო, ისედაც მცირერიცხოვან აფხაზ ექსტრემისტებს კი არა, რუსეთის შეიარაღე-
ბულმა ძალებმა დაგვაჩოქა. მაგრამ, როგორც ჩანს, რ უ ს ე თ ი ს ხელმძღვანე-
ლობას ჩვენი მარტო დაჩოქებაც არ ყოფნის. ამის ყველაზე უფრო ნათელი ფაქტია
ის, რომ ქართველი ლტოლვილები, რომელთა რაოდენობა ერთი-მეოთხედი მილიონია,
ვერ ბრუნდებიან თავიანთ მიწა-წყალზე, რადგან მდინარე ენგურზე, ამჯერად,რო-

გორც გაეროს ცისფერქუდიანი "მშვიდობიანობის დამცველი" ძალები, ისევ რუსეთის ჯარები დგას, რომლებიც სასოწარკვეთილ ქართველ დევნილებს ენგურზე გადასვლის საშუალებას არ აძლევს, რომ დაბრუნდნენ თავთავიანთ სახლებში.

II.

ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ თვით ედუარდ შევარდნაძემაც კი აღიარა აფხაზეთის კონფლიქტის ორი წლისთავზე ის, რომ აფხაზეთში - და ჩვენ ვამბობთ, მთელ საქართველოში - თითქმის ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთზე, რუსებზე, რომლებსაც - სამხედრო თვალსაზრისით - დღეს უფრო სრულყოფილად ყავთ დამორჩილებული საქართველო, ქართველი ხალხი, ვიდრე ბოლშევიკური პატრონობის დროს, და საქართველოს საზღვაო საზღვრებსაც კი რუსეთი იცავს ქართველებთან ერთად.

III.

საქმის ასეთი ვითარების პირობებში, გასაკვირია, რომ ე.წ-ლი აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ, სამი შეხედულება არსებობს: ერთნი თვლიან, რომ ეს იყო და არის ეროვნებათაშორისო კონფლიქტი; მეორენი თვლიან, რომ ეს იყო და არის პოლიტიკური კონფლიქტი, მესამენი კი ამბობენ, რომ ეს იყო ერთი სახელმწიფოს, ე.ი. საქართველოს ინტერვენცია მეორე სახელმწიფოს, ე.ი. აფხაზეთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამ სამივე სრულიად მცდარი შეხედულების ავტორები და განმხორციელებლები დიდმპყრობელი შოვინისტებია, რომლის რუპორი იყო და არის, სხვა მრავალთა შორის, იტარ-ტასსი.

IV.

და ჩვენ, ქართველობა, საქართველო? - იმის მაგივრად, რომ ნიღაბი ავხადოთ ამ ე.წ-ლი აფხაზეთის კონფლიქტის ნამდვილ ავტორებსა და განმხორციელებლებს, არა მარტო გავიზიარეთ იტარ-ტასის და მის უკან მდგომი დიდმპყრობელ-შოვინისტების აღნიშნული ყალბი შეხედულებანი, არამედ დღესაც, როცა ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველი დევნილი თავის მიწა-წყალზე ვერ ბრუნდება სწორედ დიდმპყრობელ-შოვინისტების შეიარაღებული ძალების წყალობით, ვლაპარაკობთ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტზე, და, ზოგიერთები "ომზეც" კი, თუმცა კარგად ვიცით, რომ აფხაზეთში, შიდა ქართლში და, საერთოდ, საქართველოში მომხდარი უბედურებათა ავტორი, განმხორციელებელი - დაწყებული 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილიდან - რუსეთი იყო და დღესაც რუსეთია, რომელიც საომარ მდგომარეობაში ამყოფებს მთელ საქართველოს და საქართველო გახადეს ოსი და აფხაზი ექსტრემისტების საჯიჯგნად.

V.

და თუ კონფლიქტი არსებობდა შიდა ქართლში თუ აფხაზეთში, ეს არსებითად იყო კონფლიქტი არა ოს ან აფხაზ ტომების ექსტრემისტულ წრეებთან, არამედ არსებითად რუსეთთან. ვამბობ "ტომებს" და არა "ერებს"; "ერი" უფრო ფართო ცნებაა. ეს არის ფაქტი; ეს არის უტყუარი ფაქტი. მაგრამ მარტო ამ ფაქტის ცოდნა არ არის საკმარისი; საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების შეცნობა და ამ მიზეზების აღკვეთისათვის ზრუნვა, როგორი მწარე, დამამცირებელიც არ უნდა იყოს ამგვარი გზა. მწარე, დამამცირებელი, ეროვნული ღირსების უდიდესი შეურაცხყოფაა ის, რომ ჩვენ იძულებული ვართ 'საერთო ენა' გამოვნახოთ სწორედ რუსეთთან, რუსის ერთან, რადგან სხვა გამოსავალი, ვთქვათ, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერის მინიმალური შანსებიც არ მოჩანს. ვიცით აგრეთვე, რომ რუსეთში, რუსის ერში მოიპოვებიან უფრო ზომიერი ძალები, რომლებიც, რა თქმა უნდა, მთლიანად თავისუფალი არ არიან იმპერიული მისწრაფებიდან, მაგრამ იმდენ 'ზომიერად', ვფიქრობთ, მაინც შეიძლება ჩაითვალონ, რომ ქართველი ერის ფიზიკური განადგურებიდან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დანგრევიდან უკან დაიხიონ. ვითომ ამ მიმართულებითაც შეუძლებელია რუსეთთან საერთო ენის გამონახვა?.. ნუთუ რუსეთს, თვით დიდმპყრობელ-შოვინისტებს არ ესმით, რომ ერთიანი და თავისუფალი საქართველოს სტაბილურობა სტაბილიზაციის წინაპირობაა კავკასიაში, ხოლო საქართველოს, ქართველი ერის დასუსტება-დანგრევა ისლამიზმის, ფუნდამენტალიზმის ხელში ჩააგდებს მთელ კავკასიას, რაც რუსეთსაც ფუნდამენტალისტების სამიზნეების ქვეშ მოაქცევს არა მარტო კავკასიაში?..

VI.

რუსეთმა , ბოლოს და ბოლოს, უარი უნდა თქვას გამოუცხადებელი ომის, დიახ, გამოუცხადებელი ომის წარმოებაზე საქართველოს წინააღმდეგ და საერთო ენის გამონახვას შეეცადოს ქართველ ხალხთან. ამგვარი პოლიტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლოა არა მარტო საქართველოს, არამედ თვით რუსეთისათვისაც; და გვჯერა, ამას შევიგნებთ არა მარტო ჩვენ, ქართველობა, არამედ რუსეთიც, რუსი ერიც.

მწარეა, დამამცირებელია, ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელია, როცა დამონებული საქართველო დაჩოქებული უნდა წარსდგეს მისი დამმონებლის - რუსეთის - წინაშე და მოწყალება ითხოვოს. მაგრამ, ვიმეორებთ, სხვა გამოსავალი გზა არ არის თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის ფიზიკური გადარჩენა, სახელმწიფოებრივი სუვერენობის შენარჩუნება, რაც მოითხოვს განსაკუთრებით ფრთხილ დიპლომატიურ მოქმედებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ "ძალა აღმართს ხნავს!" მაგრამ ჩვენ არა ერთი დიდმპყრობელ-შოვინისტი მოგვიგერებია ჩვენი სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის განმავლობაში და დღესაც გამოვალთ ამ, თითქოს გამოუვალ მდგომარეობიდან; და ამ რწმენით გვსურს ავღნიშნოთ სოხუმის დაცემის ერთი წლისთავი, რაც შესრულდა 1994 წლის 27 სექტემბერს.

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1994 წლის 27 სექტემბერი

---

"27 სექტემბერს დაეცა სოხუმი"

ამონაწერები გურამ ოდიშარიას დოკუმენტურ წიგნიდან "დევნილთა უღელტეხილი. საკენი-ჭუბერი", თბილისი, 1993 წლის 15-19 ოქტომბერი.

- "...შენ უშველე ყველა დევნილს, შენ დაიფარე ყველა გაჭირვებული, მამაო ჩვენი...- ასე ვესაუბრებოდი ღმერთს ორი ოქტომბრის, ალბათ, ყველაზე საშინელ ღამეს საკენ-ჭუბერის უღელტეხილის უმაღლეს მონაკვეთში, სწორედ იმ ღამეს, როდესაც ჩემს თვალწინ და ჩემს ხელებში რამდენიმე ადამიანმა ჩიტივით დალია სული."
- "კოდორის ხიდი ვერა და ვერ გაარღვიეს სხვადასხვა ნომრის, დასახელების კორპუსებმა და ბატალიონებმა. ხალხი იძულებულია ხსნის ერთადერთ - სვანეთისაკენ მიმავალ გზას დაადგეს(ყველას კარგად ახსოვს გაგრა). დევნილები ჩქარობენ, ვინ მანქანით, ვინ ფეხით...ცხენებითაც მიემართებიან მთებისაკენ. ვიმეორებ - ყველას კარგად ახსოვს გაგრა(და არა მარტო გაგრა)."
- "საცოდავი სანახაა დამარცხებული ჯარი. მიდიან თავჩაქინდრული, სიამაყეშელახული მეომრები, თვალს ვერავის უსწორებენ, ზოგიერთი ნაცნობებს ემალება, მზერას არიდებს."
- "უბედურია ქვეყანა, სადაც კეთილ სიტყვაზე მეტად ტყვია ფასობს, სიყვარულზე მეტად სიძულვილი".
- "28-ში საკენში ვართ, 'აფხაზეთის სვანეთის' ბოლო დასახლებულ პუნქტში."
- "მშვიდობიანობის ჟამს მხოლოდ ერთეულები გრძნობენ სიყვარულის სიდიადეს, უმრავლესობას კი, ჩვენდა საუბედუროდ, თურმე რაღაც დიდი უბედურება სჭირდება თვალის ასახელად. მე ყოველივე ეს ღმერთის ნიშნად მივიღე მაშინ და დღეს სულით ხორცამდე მწამს, რომ ნამდვილად გადარჩება ჩვენი მამული დაღუპვას."
- "-მთაში შენს სხეულს ხშირად უნდა მიაყურადო, - მეუბნება სანდომიანი სახის ჭაღარა კაცი, - მთას ზედმეტი ლაპარაკიც არ უყვარს, ძალას წაგართმევს. არც ბევრი არ უნდა ჭამო. მაძღარი არც ცხენი ვარგა და არც კაცი."
- "მოდიან სოხუმელები და სოხუმის რაიონელები, გულრიფშელები, გაწამებულები და გატანჯულები. მათ მთელი ერთი წლის განმავლობაში ყველა იმ იარაღის სიავე თავიანთ თავზე გამოცადეს, რომელიც ავღანეთში მოქმედებდა, უფრო მეტიც - ავღანეთში არ იყო ზღვა და შესაბამისად სამხედრო კატარღები და გემები არ ბომბავდნენ ქალაქებსა და სოფლებს."
- "...რამდენი არიან ეს სახეები, შემოდგომის ფოთლებივით - ათასები და ათი ათასები...მოდიან...მაგრამ მათ არ მოუძღვით წინ არც მოსე, არც ვინმე მწყემსი კეთილი..."
- "უმცროსი მოთა მარტავა და 'აიდგილარას' თავკაცი - სერგეი შამბა ბავშვობის მეგობრები იყვნენ ერთ ეზოში იზრდებოდნენ, თამაშობდნენ ომობანას, ერთად სწავლობდნენ თბილისში, ერთ ბინაში ცხოვრობდნენ...და მაინც იომეს, ესროლეს ერთმანეთს..."

## "დიდება დამარცხებულებს!" თუ "ვაი, დამარცხებულებს!"

I.

ჯერ განმარტება: "ვაი, დამარცხებულებს!" -"vae victis" წამოუძახებია ბრენუსს, როცა, 387 წელს ჩვენს ერამდე, რომაელები დაუმარცხებია თავისი შეიარაღებული ძალებით და კაპიტოლისათვის ალყა შემოურტყამს; რომაელებს ბრენუსის უკან დახევა გამოუსყიდიათ და გამოსასყიდი საგანძურის აწონისას ბრენუსს ყალბი სასწორი გამოუყენებია და მეტი საგანძურის მიღების მიზნით უკანასკნელად თავისი ხანძლიც-დაუგდია სასწორზე და უთქვამს: "ვაი, დამარცხებულებს!", ლათინურად

II.

"ვაი, დამარცხებულების" საწინააღმდეგოდ, დროთა განმავლობაში, შეიქმნა გამოთქმა "დიდება დამარცხებულებს!", ე.ი."Gloria victis"; და სწორედ "დიდება დამარცხებულებს" აქვს საერთო წარწერა სასაფლაოს ვარშავაში (პოლონეთი), სადაც განისვენებენ პოლონელი აჯანყებულები, რომლებიც დაეცენ ბრძოლის ველზე, 1944 წლის აგვისტოში საყოველთაო სახალხო აჯანყებისას, რომლის 50 წლისთავი აღნიშნულ იქნა ვარშავასა და მთელს პოლონეთში 1994 წლის 1 აგვისტოს.

III.

ვარშავის 1944 წლის აგვისტოს აჯანყება იყო, როგორც აღნიშნულ იქნა, "პოლონელი ხალხის თავისუფლებისაკენ მისწრაფების შეურყეველი სიმბოლო, ბრძოლა ადამიანური ღირსებისა და ნაციონალური თვითმყოფადობისათვის".

IV.

და ამ აჯანყების 50-ე წლის საიუბილეო ცერემონიალზე დაპატიჟებულ იქნა მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მეთაურები, განსაკუთრებით კი გერმანიისა და რუსეთის პრეზიდენტები რომან ჰერცოგი და ბორის ელცინი. და ეს არა შემთხვევით: ვარშავის 1944 წლის აგვისტოს აჯანყება სისხლში ჩაახშო ჰიტლერის არმიამ, რომლის დროს დაიღუპა ორას-ათასზე მეტი პოლონელი აჯანყებული; ხოლო სტალინის წითელი არმია, იმავე დროს, იდგა ვარშავის აღმოსავლეთ მისადგომებთან და არავითარი დახმარება არ გაუწია აჯანყებულებს, და მხოლოდ მაშინ აიღო ვარშავა წითელმა არმიამ, როცა ჰიტლერის ჯარებმა უკვე აჯანყებულები ან გაწყვიტეს= ანდა ტყვედ აიყვანეს. წარმოიდგინეთ, სტალინმა იმის უფლებაც კი არ მისცა დასავლეთის მოკავშირეებს, განსაკუთრებით ამერიკას, რომ თვითმფრინავებით გადაფრენილიყვენ საბჭოთა ტერიტორიაზე და დახმარება გაეწიათ საჭურველით პოლონელი აჯანყებულებისათვის. და ამგვარ ოპერაციაზე როცა სტალინმა თანხმობა განაცხადა, აჯანყებულები უკვე დაამარცხა ჰიტლერის ჯარებმა.

V.

და რატომ ვიგონებთ ჩვენ ვარშავის 1944 წლის აჯანყებას და აჯანყების 50 წლისთავს და ვუკავშირებთ მას "ვაი, დამარცხებულებისა" და "დიდება დამარცხებულების" ცნებებს? - საქმე იმაშია, რომ გერმანიის პრეზიდენტი - რომან ჰერცოგი ეწვია პოლონეთს და სიტყვა წარმოთქვა ამ ცერემონიაზე, ხოლო ბორის ელცინმა მხოლოდ მისი წარმომადგენელი გაგზავნა ვარშავაში და ამით თავი აარიდა "არასასიამოვნო" შეკითხვებზე პასუხის გაცემას - თუ რატომ საბჭოთა კავშირმა დახმარება არ გაუწია აჯანყებულებს 1944 წლის აგვისტოში, როცა წითელი არმია მზად იყო შეტევისათვის ვარშავის აღმოსავლეთით?..

VI.

გერმანიის პრეზიდენტმა - რომან ჰერცოგმა - კი წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც დიდი და დადებითი გამოძახილი ჰქონდა არა მარტო პოლონეთის უკიდურეს ნაციონალისტების მცირე წრეში, არამედ მთელს მსოფლიოში საერთოდ, როცა რომან ჰერცოგმა, სხვათა შორის, სიტყვა-სიტყვით თქვა:
"დღეს მე ქედს ვიხრი ვარშავის აჯანყების მებრძოლების, ისე როგორც ომის პოლონელი ყველა მსხვერპლის წინაშე: მე გთხოვთ გვაპატიოთ ის, რაც თქვენ გერმანელებმა მოგაყენეს. ჩვენში, გერმანელებში ეს იწვევს სირცხვილის გრძნობას, რომ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სახელი სამუდამოდ დაკავშირებულია იმ ტკივილებსა და უბედურებასთან, რაც პოლონეთს მილიონობით მიაყენეს".

VII.

პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ კი, თავის მხრივ, სხვათა შორის, აქვა: "ჩვენ ვერ ვაპატიებს ვარშავის მკვლელებს მათ მიერ ჩადენილ ცოდვებს, მაგრამ ჩვენ ეს არ გადაგვაქვს გერმანელ ხალხზე...ჩვენ არ უნდა ვთესოთ სიძულვილი და არ გადავცეთ მომავალ თაობებს".

VIII.

და რომან ჰერცოგისა და ლეხ ვალენსას აღნიშნულმა ჰუმანიტარულმა სიტყვებმა ჩვენ მოგვაგონა ხშირედ აღნიშნული "ვაი,დამარცხებულებისა" და "დიდება და-მარცხებულების" ცნებები, რადგან, როგორც ავღნიშნეთ, "დიდება დამარცხებუ-ლებს" - ჰქვს წარწერა ვარშავის აჯანყებაში დაღუპულთა სასაფლაოს. და აქვე ჩვენი შეკითხვაც:

IX.

როდის ამაღლდება რუსეთი, რუსის ერი, რუსეთის პრეზიდენტი იმ ჰუმანიტარულ დონემდე, როცა რომან ჰერცოგის მსგავს სიტყვებით ბოდიშს მოიხდის არა მარტო პოლონელი ხალხისა და პოლონეთის წინაშე, არამედ საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე, რომელსაც ამდენი უბედურება დაგვატეხა თავზე, გასული თითქ-მის ორასი წლის განმავლობაში, უკანასკნელად შიდა ქართლსა და სოხუმში?..

X.

ჩვენ გვსურს, რომ ამგვარი დღე დადგეს!.. მანამდე კი "დიდება დამარცხებუ-ლებს" არა მარტო ვარშავის აჯანყებაში, არამედ სოხუმსა და შიდა ქართლში, სადაც რუსეთმა გამოუცხადებელ ომში მუხანათურად დაგვამარცხა, რასაც ბოლო არ უჩანს!.. ვითომ რუსეთის გაჰუმანიურება გერმანიასავით?.. ეს იქნებოდა რუსეთის, რუსი ერის ნამდვილი დიდება!..

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1994 წლის 21 ოქტომბერი

---

## სოლჟენიცინი პოსტბოლშევიზმის შესახებ

ალექსანდრე სოლჟენიცინი 1994 წლის 27 მაისს, აშშ-ს შტატ ვერმონტიდან, დაბრუნდა რუსეთში და 55 დღის განმავლობაში იმოგზაურა ვლადივოსტოკიდან მოსკოვამდე. აი, ამონაწერები მისი ინტერვიუ-დან, რომელიც მან მისცა დიდ გერმანულ ჟურნალს "შპიგელ",ნომერი 44-1994 წელი:

-"ნაციონალ-სოციალისტი ვლადიმირ ჟირინოვსკი არის...უთუოდ, ყველაზე უფრო მყრალი კარიკატურა რუსული პატრიოტიზმისა".

-"...მე მსურს რუსების ეპიდემიური აღტკინება ანარქიისადმი, სხვამიმართულე-ბით წავმართო".

-"რუსეთში ნომენკლატურა ბატონობს ისევ მრავალ ადგილებში...ისეთი ქვეყანა, როგორიცაა რუსეთი - სხვადასხვა რეგიონებითა და ეროვნებებით, რთული მიმო-სვლის ქსელით - სინამდვილეში მოითხოვს ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას."

-"მე პანსლავიზმის წინააღმდეგი ვარ..."

-"რუსეთმა თავის დროზე შეცდომა დაუშვა, როცა ამიერკავკასია და შუა აზია მის საზღვრებში შემოიყვანა...ჩვენ უნდა წამოვიყვანოთ ჩვენი თანამემამულეე-ბი იქიდან. ასევე ამიერკავკასიიდან".

-"რუსეთის მდგომარეობა უფრო საშინლად გაუარესდება თუ ჩვენ ისევ დიდი სახელ-მწიფოს როლის თამაშს დავიწყებთ, და უფრო საერთაშორისო პრობლემებს მივაქ-ცევთ ყურადღებას, ვიდრე ჩვენს შინაგან საქმეს".

"შპიგელ",ნო.44-1994 წ.

**ქართული**
**ეროვნული საბჭო**

**Conseil National Géorgien**

Chateau de Leuville
IO,rue Jules Ferry
Leuville sur Orge 91
France

*Paris, le* 27.9.1994

ბატონ ბ ი ლ კ ლ ი ნ ტ ო ნ ს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს!
თეთრი სახლი, ვაშინგტონი, აშშ.

ბატონო პრეზიდენტო,

ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში გთხოვთ თქვენ, როგორც მხოლოდ პირველი და ერთადერთი ზე-სახელმწიფოს მეთაურს, გაგვიწიოთ შუამავლობა რუსეთის პრეზიდენტ ბატონ ბორის ელცინთან, რომ 300-ათასამდე ქართველი ლტოლვილი, საქართველოს მიწა-წყლიდან აყრილი, დაბრუნებულ იქნან თავთავიანთ მიწა-წყალზე შიდა ქართლსა და აფხაზეთში.

მართალია, საბჭოთა კავშირი დაინგრა და საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე; მართალია, რუსეთმა, 1994 წლის 3 თებერვლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, - იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რის შედეგად საქართველო უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. მაგრამ რუსეთი, საუბედუროდ, მაინც განაგრძობს იმპერიალისტულ-შოვინისტურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითებია ეროვნულ უმცირესობათა ექსტრემისტული ნაწილების დაპირისპირება საქართველოს, ქართველი ერისადმი, რომლის ტრაგიკული მაგალითებია შიდა ქართლში და აფხაზეთში რუსეთის მიერ 'გამოუცხადებელი ომის" წარმოება საქართველოს წინააღმდეგ; და რა გასაკვირია, რომ რუსეთის არმიამ არა მარტო დაგვაჩოქა ჩვენ, ქართველობა უკანასკნელად ქალაქ სოხუმში, 1993 წლის 27 სექტემბერს, არამედ გვაიძულა მისთვის მიგვეცა სამხედრო ბაზები საქართველოში, ხოლო საქართველო ე.წ-ი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში", თავისებურ "საბჭოთა კავშირში" შეეყვანა. საქართველოს მთავრობა ამგვარ დათმობებზე წავიდა იმ იმედით, რომ 300-ათასზე მეტ ქართველ ლტოლვილს საშუალება მიეცემოდა დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მიწა-წყალზე. მაგრამ ეს იმედი დღემდე არ გამართლდა, რადგან რ უ ს ე თ ი ს შეიარაღებული ძალები - ახლა გაეროს "ცისფერქუდიანი" სამშვიდობო მისიით, განლაგებულია მდინარე ენგურის სანაპიროებზე და ათასობით ქართველ ლტოლვილებს გზას უღობავენ დაბრუნდნენ თავიანთ მიწა-წყალზე.

რა თქმა უნდა, პატარა საქართველოს არც ძალა გააჩნია და არც შეუძლია წინ აღუდგეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის - ანდრეი კოზირევის - განცხადებას, რომელიც მან გააკეთა ქალაქ სოჭში, 1993 წლის 13 ივლისს: "ამიერ-კავკასია ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი ისტორიული სტრატეგიული რეგიონი. ეს არის ჭიკარი ახლო აღმოსავლეთისაკენ. ჩვენი მიზანია დავიცვათ ჩვენი კანონიერი ინტერესები ამ არეში". მაგრამ რუსეთის ამგვარი ინტერესები მოითხოვს ქართველი ერის ფიზიკურ განადგურებას, რომელსაც რუსეთი აგერ უკვე ორასი წელიწადია აწარმოებს ქართველი ხალხის მიმართ, რომლის უახლესი ფაქტია 300-ათასამდე ქართველის ლტოლვილად გადაქცევა თვით საქართველოშივე?..

ერთმა პარიზის ჟურნალმა, 1994 წლის 27 თებერვალს, ღიად განაცხადა:

"ევროპა საქართველოს ნელი სიკვდილის დამხმარეა..."

"L'Europe assiste à la mort lente de la Géorgie..." /ამდენად, ერთადერთ იმედს საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების ხალხზე და პირადად თქვენზე, ბატონო პრეზიდენტო, ამყარებს, რადგან ამერიკის დიდი დემოკრატია ეყრდნობა 1776 წლის 4 ივლისის ამერიკის დამოუკიდებლობის აქტს, რომლის დებულებები უკვე საერთაშორისო ჰუმანიტარულ ფასოვანებადაა აღიარებული, რასაც საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტიც ეყრდნობა.

ამიტომ გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, გაგვიწიოთ შუამავლობა რუსეთის პრეზიდენტთან ბორის ელცინთან, რომ 300-ათასამდე ქართველ ლტოლვილებს მიეცეს თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნების საშუალება.

გვჯერა, რომ თქვენ ჩვენს ამ თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებთ, რისთვისაც უღიდეს მადლობას გიხდით თქვენ პირადად და დიდ ამერიკელ ხალხს.

ღრმა პატივისცემით,

ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უცხოეთში

[signature]

კარლო ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეროვნული საბჭო
CONSEIL NATIONAL GEORGIEN

Chateau de Leuville
10 rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

Paris, 27 September 1994

PRESIDENT BILL CLINTON
PRESIDENT OF THE UNITED STATES OF AMERICA
THE WHITE HOUSE
WASHINGTON D.C.
U.S.A.

Dear Mr. President ,

The Georgian National Council Abroad is asking you, as the Leader of the world's only super-power, to help us to convince Russia's President, Mr.Boris Yeltsin, that the 300,000 Georgian refugees uprooted from their native homeland in South Ossetia ( Inner Kartli) and Abkhazia, be returned home.
It is true that the Soviet Union has collapsed and that on 9 April 1991 Georgia resumed her Independence on the basis of the Act of Independence of 26 May 1918. It is equally true that Russia on 3 February 1994 through the Russo-Georgian Agreement recognised the Independence of Georgia, as a result of which Georgia resumed her identity in international law. But in spite of this, Russia continues her imperialistic policies vis a vis Georgia, the most evident proof being the confrontation of extermist national minorities with the Georgian nation: the tragic examples of this being the undeclared war of Russia against Georgia,in Inner Kartli and in Abkhazia . It is not surprising that the Russian Army not only defeated us, last in Sukhumi on 27 September 1993, and not only forced us to give Russia military bases in Georgia, but Georgia < voluntarily> joined the CEE (a new form of USSR). The Georgian Government made this concession with the hope that the 300,000 Georgian refugees from Inner Kartli and Abkhazia would be returned to their homeland. But this hope has not materialised even to-day, as Russia's Armed Forces are now parading as < U.N. peace-keeping force > along the river Inguri , and blocking the way to thousands of Georgian refugees trying to return home.
It is evident that Georgia does not possess the power to oppose Russia's Foreign Minister Andrei Kozyrev who declared on 13 July 1993 in Sochi ,that <Transcaucasia is an important historical and strategic region , the gateway to the Near East; our aim is to defend our legitimate interests in this area>. Russia has been trying for two centuries to annihilate the Georgian nation ; the latest example of this the expulsion of 300,000 Georgian refugees from their homes.
A French newspaper wrote, that < Europe is assisting Georgia towards her slow death>. So the only hope places her in the American people and personally in you, Mr.President , because America's Democracy rests on the Act of Independence of the United States of 4 July 1776, whose humanitarian ideals are recognised world-wide. Georgia's Declaration of Independence of 26 May 1918 rests equally on it.
This is why we are asking you, Mr. President, to be kind enough to mediate bewteen the Georgian people and the Russian President Boris Yeltsin, so that the 300,000 Georgian refugees are given the possibility to return to their native homeland.
We hope, Mr. President, that you may give your attention to the problem we raised. And we thank you in advance , you, Mr. President, and also the great American people.

I am , Yours most respectfully,

Dr. Karlo Inasaridse,
Chairman of the Georgian National Council Abroad.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## ჩვენ გვღუპავს შემწყნარებლობა?..

## თუ

## ამიტომ ვამაყობთ რომ ქართველები ვართ?..

I.

ჩვენ გვღუპავს შემწყნარებლობა?..თუ ამიტომ ვამაყობთ ჩვენ, რომ ქართველები ვართ?.. - ამგვარი კითხვა დაგვებადა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მცხოვრები სხვა ერების ექსტრემისტები და, წარმოიდგინეთ, ჩვენი ძმების - აფხაზების - ექსტრემისტებიც კი ქართველთა გენოციდისაგანაც კი არ იხევენ უკან, რაც მონღოლების, შაჰ აბასის თუ სელჯუკების შემოსევებსაც კი გვაგონებს. თუ ქართველობა დღეს უფრო უარეს მდგომარეობაშია?..

2.

მაგალითები გნებავთ? - ოთხმოც-ათასიანი აფხაზების ექსტრემისტებმა,"ბნელი ძალების" უანგარო დახმარებით, არა მარტო გამორეკა საქართველოს მიწიდან ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველი; არამედ საშინლად აწამა ქართველობა, რომლის უამრავი ფაქტი გამოქვეყნდა დასავლეთის მსოფლიოს პრესაში. აფხაზი ექსტრემისტები არა მარტო სპობდენ და დღესაც სპობენ ყველაფერს რაც ქართულია საქართველოს კუთხე აფხაზეთში, არამედ ქართველთა საშინელი წამების ათასგვარ ხერხებს მიმართავდენ და მიმართავენ, რომელთაგან ერთი ფაქტი, უთვალავი ფაქტიდან: ქართველ მეომრებს-ტყვეებს არა მარტო კლავდენ, არამედ, როგორც დიდი გერმანული გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი" წერდა(25.9.93 წ.), ჩამოხრჩობილ ქართველებს უკეთებდენ, როგორც გაზეთი წერს, "ჩინურ ხელსახვევს", ე.ი. ჩამოხრჩობილს გაუჭრიდენ დანით ყელს, და ენას გამოაძრობდენ კისერში და ამას უწოდებენ"ჩინურ ყელსახვევს". შიდა ქართლში ქართველობის მიერ დასახლებული და განებივრებული ოსები კი არა მარტო დაეპატრონენ შიდა ქართლს, რა თქმა უნდა, "ბნელი ძალების" უშუალო დახმარებით, არამედ ქართველობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას აწამებდენ შუასაუკუნოვანი ინკვიზიციის წესით: ბენზინს ასხამდენ და წვავდენ ცოცხლად ჩვენ ახალგაზრდებს, რაც დასავლეთის პრესაშიც გამოქვეყნდა. და ჩვენ, ქართველობა?..

3.

ჩვენ, ქართველობა ყოველთვის ვ ი ყ ა ვ ით,ვართ და - თუ დღევანდელ წამებას გადაურჩებით - ვიქნებით შემწყნარებლები, რაც, როგორც ჩანს, თანამედროვე კომპიუტერების ეპოქაშიც, მეტად საშიში, მეტად შეუფერებელი მრწამსი უნდა იყოს, თუ სინამდვილესთან ახლოა აღნიშნული "პარიზიან-ის" აზრი, რომ "ევროპა საქართველოს ნელი სიკვდილის დამხმარეა." ევროპამაც განგვწირა?..

4.

ვითომ ჩვენ, ქართველები უნდა გვაიძულოს აღნიშნული ექსტრემისტების მხეცურმა ბოროტმოქმედებებმა ჩვენც, ქართველებიც დავადგეთ ანალოგიურ გზას? - ეს ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ეროვნული ბუნების, ეროვნული გენის გამო. ჩვენ, ოდითიდან "უცხოს", "უცხოელს" და "საუცხოოს"' ერთმანეთთან ვაკავშირებთ, რის შედეგია ის, რომ საქართველოს სახელმწიფოს, ხალხის თითქმის სამი-ათას-წლოვანი° ისტორია არ იცნობს ქართველობის მიერ რომელიმე ადგილობრივი თუ შემოხიზნული ტომების შვილთა დარბევას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

5.

კიდევ მეტი: როცა,მაგალითად, ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა დაიპყრეს საქართველოს განსაზღვრული ტერიტორია და იქაური ქართველობა აიძულეს ქრისტიანული რელიგია შეეცვალათ მაჰმადიანური რელიგიით, ჩვენ, ქართველობამ, თვით დიდი დავით აღმაშენებლის ეპოქაშიც კი გავანთავისუფლეთ საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიები, მაგრამ არასოდეს გამაჰმადიანებული ქართველების ისევ-გაქრისტიანება არავისთვის თავზე არ მოგვიხვევია, რაშიც გამოსჭვივის ქართველობის დიდი ჰუმანიტარული ეროვნული მეობა. და ვითომ ჩვენი ამგვარი შემწყნარებლობა არის იმის მიზეზი, რომ -"ევროპა მოწმეა საქართველოს ნელი სიკვდილისა?.."

6.

და აქ მაგონდება ჩვენი მეზობელი, კავკასიელი ალბანელების ბედი, რომლებსაც, სხვათა შორის, ქართული ანბანის მსგავსი ანბანი ჰქონდათ; და ეს ჩვენი მე-

ზომელი ალბანელები - რომ იტყვიან ხოლმე - ჩვენი თვალის წინ -"გაქრენ",და როგორც ერი აღიკვეთა პირისაგან მიწისა და ერთი ნაწილი გაქართველდენ კიდეც, და ახლა ვითომ ჯერი ქართველობაზე მიდგა, რადგან ჩვენი შემწყნარებლობით მიდგომა საქართველოში მცხოვრებ არაქართველთადმი, ისევ "ბნელი ძალების" წყალობით, -დამოკლეს ხმალია, რომელიც როდის გაგვანადგურებს ჩვენ, ქართველობას, საქართველოს ჩვენ თვითონაც არ ვიცით?..

7.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა თუ ჩვენ ქართველობის ამგვარ წამებაში მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ ექსტრემისტებს დავდებდით ბრალს, რადგან ისინი - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ემსახურებიან აღნიშნულ "ბნელ ძალებს", ე.ი. დიდმპყრობელ-შოვინისტებს, ანუ რუს იმპერიალისტებს და ხელს უწყობენ მათ საქართველოს, ქართველი ერის განადგურებაში და ამით ანადგურებენ თავიანთ თავსაც, რადგან რა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს რუსეთს ოთხმოციათასი აფხაზის თუ სამოცი-ათასი ოსის ექსტრემისტებმა, როცა მათი განადგურების ჯერიც დადგება?..

8.

თუ უკვე დადგა? - რუსეთისა და ე.წ-ლი ეს-ენ-გეს წარმომადგენელი - კონსტანტინ ზატულინი - ბიჭვინთაში გამართულ აფხაზ-აბაზინების მეორე მსოფლიო კონგრესზე - იმუქრებელი კამპლარა ეუქვა: "არავინ არ ახდენს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. ჩვენი ამოცანაა არ დაუშვათ სისხლისღვრა აფხაზეთის მიწაზეო". როგორ აფხაზეთის მიწა იგივე საქართველო არ არის?.. როგორ, თუ სისხლისღვრა და უსამართლობის აღკვეთა სურდა მას ამ მიწაზე, ვინ გარეკა მაშინ ერთ-მეოთხედი მილიონი ქართველობა სწორედ ამ მიწიდან და ვინ დაარჩქა საქართველო სოხუმში 1993 წლის 27 სექტემბერს?.. ვინ დაარჩქა აგრეთვე ქართველობა შიდა ქართლში, ცხინვალში?.. აფხაზმა და ოსმა ექსტრემისტებმა თუ რუსეთმა?..

9.

როგორც ჩანს, ახლა აფხაზი ექსტრემისტებიც ხედავენ, რომ აფხაზეთის, ე.ი. საქართველოს ამ ტერიტორიის ოკუპაციას ახდენს რუსეთი არა მარტო ე.წ-ლი "სამშვიდობო" სამხედრო ნაწილებით, არამედ რუსების აფხაზეთში ჩამოსახლებით, რის შედეგია ის, რომ ქართველთა მიწა-წყალს, სახლ-კარს უკვე ეპატრონებიან რუსეთის ე.წ-ლი "მოხალისეები", სინამდვილეში კი რუსეთის ჯარების მოსამსახურენი თვით ჩრდილოეთ-კავკასიელი "მოხალისეების" ჩათვლით. და ყველაზე უფრო შემაძრწუნებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი ძმების - აფხაზების - ექსტრემისტურმა ნაწილმა ჩადგა რუსეთის იმპერიის სამსახურში, ხელი აღმართეს თავიანთი ძმების - ქართველების - წინააღმდეგ, და ახლა, როგორც ამას ზატულინის სიტყვებიც ადასტურებენ, თვითონ არიან სრული, სულ ცოტა, კალაგვარების საფრთხეში, თუმცა აფხაზი ექსტრემისტების ხელმძღვანელობა ისედაც უკვე გარუსებულია.

10.

მაგრამ ამაოდ ოცნებობენ საქართველოს, ქართველობის მოსისხლე მტრები, რომ ისინი შეძლებენ ჩვენი სამშობლოსა და ერის განადგურებას, თუმცა რაღაც სიმართლეს მაინც შეიცავს პარიზის აღნიშნული ჟურნალის აზრი -"ევროპა მოწმეა საქართველოს ნელი სიკვდილისა...", რამეთუ, პირველ ყოვლისა, უთუოდ არა მარტო რუს იმპერიალისტებსა და აფხაზ თუ ოს ექსტრემისტებს გულისხმობს, არამედ, ამასთანავე, თვით ქართველობას, რომელმაც ვერ შეძლო ეროვნული ერთობის, ეროვნული მორიგების, ეროვნული შერიგების მიღწევა, რადგან ჩვენს ქართველობაშიც არც ისე ცოტაა - შეგნებული თუ შეუგნებელი - მსახურების რუსეთის იმპერიალიზმისა; ასეთ ქართველებს ჩვენ ვუწოდებთ მონებს, რომლებსაც თვითონაც კი არ ესმით, რომ ისინი მონებია, რადგან მათთვის დღესაც, უკვე 1994 წელსა, მზე ჩრდილოეთიდან ამოდის.

11.

მაგრამ ჩვენვე, ქართველობამ შემწყნარებლობა უნდა გამოვიჩინოთ არა მარტო არაქართველთა, არამედ თვით ქართველთა იმ შეგნებულ თუ შეუგნებელ მონების მიმართაც, რადგან საქართველო, ქართველი ერი სწორედ - შეგვიძლია თამამად და სიამაყით ვთქვათ, - შემწყნარებლობის პოლიტიკამ გადაარჩინა და გადაარჩენს დღესაც "აქვე და ახლავე"; საჭიროა მხოლოდ ყოველი ჩვენთაგანისგან ეროვნული მორიგების, შერიგების, ერთობისათვის ბრძოლა, რომ ფაქტიურადაც განვამტკიცოთ საქართველოს 1991 წლის 9 აპრილს აღდგენილი საქართველოს დამოუკი-

დებლობა - საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

12.

იმედი და ბრძოლა! იმედი და ბრძოლა! მხოლოდ იმედი და ბრძოლა! - აი, ჩვენი ერთადერთი მრწამსი და რწმენა. ჩვენ არ გვღუპავს, ვერ დაგვღუპავს ჩვენი ეროვნული შეუწყნარებლობითი თვისება. პირიქით, ეს არის ჩვენი ეროვნული ძლიერების უცილობელი ნაწილი. და ამიტომ ვამაყობთ ჩვენ, რომ ქართველები ვართ.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1994 წლის 27 სექტემბერი
სოხუმის დაცემის წლისთავი

---

## ქართველობა რუსებისათვის ინდიელებია?..

1.

ქართველობა რუსებისათვის ინდიელებია?.. რუსებს ქართველობის ფიზიკური განადგურება სურთ, რის უახლესი მაგალითია ქართველთა გენოციდი აფხაზეთში და ამ ძველთაძველ ქართული მიწიდან ორასი-ათასზე მეტი ქართველის გამოდევნა, რის შედეგად ქართველები ლტოლვილები გახდა თვით საქართველოში?.. და რუსებს საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცებაც სურთ, როცა - ჯერ - დაგვაჩოქეს სოხუმში, 1993 წლის 27 სექტემბერს, როცა დაიპყრეს ჩვენი სოხუმი, და - შემდეგ -საზღვარი მდინარე ენგურზე, საქართველოს გულში, გაიყვანეს, რომლის გასწვრივ ისევ რუსის ჯარია განლაგებული?.. და ანალოგიური მდგომარეობა არ შეგვიქმნეს რუსებმა საქართველოს მართლაც გულში, შიდა ქართლში?..

2.

მაგრამ რუსეთმა რომ 1994 წლის 3 თებერვალს საზავო ხელშეკრულება დადო საქართველოსთან, რომლითაც საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა იცნო?.. და საქართველო რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, გაეროს წევრი თუ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრია?!.. როგორ უნდა შევათავსოთ ეს ორი ერთიმეორეს საწინააღმდეგო ფაქტი ერთმანეთთან, მით უმეტეს, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?..

3.

რუსეთი, -მის სათავეშია იმპერატორი, ლენინი, სტალინი თუ ელცინი -, როგორც ჩანს, საქართველოს დამოუკიდებლობის მტერია დაწყებული 1801 წლიდან, როცა დაარღვია ერეკლე მეორესა და ეკატერინე მეორეს შორის 1783 წლის ე.წ-ი "გიორგიევსკის ტრაქტატი" და საქართველოს სახელმწიფოებრიობა მოსპო და იგი რუსეთის იმპერიას შეუერთა. ლენინმაც, 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, -ჯერ- იცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ- შემდეგ - 1921 წლის 25 თებერვალს, ისევ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და იგი, იმჯერად, საბჭოთა კავშირში, ე.ი. რუსეთის წითელ იმპერიაში შეიყვანა. და ახლა? - მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 1991 წლის 9 აპრილიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რუსეთი ისევ ცდილობს არა მარტო საქართველოს დაპყრობას, არამედ - რაც კიდევ უფრო ტრაგიკულია - ქართველობის ფიზიკურ განადგურებასაც კი, თუ მივიღებთ მხედველობაში ქართველთა გენოციდს აფხაზეთში თუ შიდა ქართლში.

4.

ჩვენ რომ რუსებისათვის ინდიელები ვართ, ვითომ ამის სიგნალი მოგვცა ჩვენ რუსეთმა ამ უახლოეს წარსულში და ჩვენ ეს ვერ გავიგეთ ან ვერ აღვიქვით შესაფერისი სერიოზულობით?

5.

ანატოლ ლუკიანოვმა, სსრკ უზენაესი საბჭოს თავჯდომარემ, პირდაპირ დაგვემუქრა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე: "თქვენს წინააღმდეგ ავამხედრებთ აფხაზებს."

6.

ედუარდ შევარდნაძემ გერმანია-საფრანგეთის ერთობლივი ტელეხედვით "არტე-თი", 1994 წლის 1 აპრილს, განაცხადა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი დაემუქრა სა-

ქართველოს კომპარტიის მაშინდელ პირველ მდივანს - ვასილ მჟავანაძეს: "თუ თქვენ ჭკვით არ იქნებით, მე თქვენ აფხაზეთს შემოგასევთ!" და შევარდნაძემ დასძინა: "ხრუშჩოვმა მაშინ უკვე იცოდა, რომ მაშინდელი კა-გე-ბეს ლაბორატორიებში ასეთი გეგმები მუშავდებოდა."

7.

მიხეილ გორბაჩოვი კი პირდაპირ დაემუქრა ზვიად გამსახურდიას, როცა მან უარი უთხრა ე.წ-ლი "სამოკავშირეო ხელშეკრულების" ხელმოწერაზე, - შემდეგი სიტყვებით: "მაშინ თქვენ დიდი სიძნელეები მოგელით სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში".

8.

მეფის რუსეთისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, დაწყებული 1801 წლის სექტემბრიდან, როცა რუსეთმა დაარღვია 1783 წლის ე.წ-ლი "გეორგიევსკის ტრაქტატი" და ქართლ-კახეთი, ხოლო შემდეგ მთელი საქართველო რუსეთს შეუერთა, და შემდეგ, როცა 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო - დაარღვია რა საბჭოთა-რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება, - ყოველთვის მიმართული იყო საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაქუცმაცების და ქართველობის ფიზიკური გაჟლეტისაკენ, რომლის ზოგიერთი ისტორიული მაგალითებია, ახლო წარსულიდან:

9.

1924 წლის 28-29 აგვისტოს საქართველოს საერთო სახალხო აჯანყების სისხლში ჩახშობა.

10.

1956 წლის 9 მარტს ახალგაზრდა მუშებისა და სტუდენტების მშვიდობიანი დემონსტრაციების სისხლში ჩახშობა თბილისში.

11.

1989 წლის 9 აპრილს თბილისის მასობრივი დემონსტრაციების სისხლში ჩახშობა, რომლის დროს მშვიდობიანი დემონსტრანტები ორლესილი ბარებით დაჩეხეს და საწამლავი ნივთიერებაც კი გამოიყენეს დემონსტრანტების წინააღმდეგ ქალების, მოხუცებისა და ბავშვების ჩათვლით, რის შედეგად მრავალი მოკლეს, ხოლო ათასობით ადამიანი მოწამლეს.

12.

კრემლმა პარალელურად, ქართველობის ფიზიკური განადგურების მიზნით, მასობრივი გადასახლებებისა და დახვრეტების გარდა, რასაც განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა 1936-1937 წლებში, - გამოიყენა "ლეგალური" ხერხიც: მეორე მსოფლიო ომში საქართველოს სამ-ნახევარი მილიონი მოსახლეობიდან ჯარში გაიწვია 700.000-ზე კაცი, ე.ი. საქართველოს მთელი მოსახლეობის ყოველი მეხუთე სული ქალების, მოხუცებისა და ბავშვების ჩათვლით, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა.

13.

და ახლა? - ხრუშჩოვ-გორბაჩოვის მუქარათა შესაბამისად, - ჯერ - აგვიჯანყეს შიდა ქართლში შემოხიზნული ოსები, რომლებმაც - რუსეთის შენიღბული დახმარების წყალობით - ქართველობა გამოდევნეს ან გაჟლიტეს და საქართველოს მიწა-წყალს დაეპატრონენ.

14.

აფხაზეთშიც ანალოგიური ხერხით განხორციელდა ხრუშჩოვ-გორბაჩოვის გეგმა: საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე - ჯერ - მოახდინეს ქართველთა მასობრივი გენოციდი, რამაც მოსკოვის ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილიც კი ამხედრა კრემლის ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ, ხოლო პარალელურად ერთმეოთხედი მილიონი ქართველი გამორეკეს ამ ჩვენ დალოცვილ მიწიდან და ქართველობა საქართველოშივე გახადეს ლტოლვილები. ყველაზე უფრო ცინიკური ამ გენოციდში არის ის ფაქტი, რომ როცა ქართველობას რუსეთის ჯარი, აფხაზი ექსტრემისტების ნიღბის ქვეშ, ანადგურებდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაიპყრო, ევროპაში ინტერ-ფაქსი ავრცელებდა ცნობებს, რომ რუსეთის გემებს სოხუმიდან და მის რაიონიდან გაჰყავთ ლტოლვილები, რაც შეფასებული იქნა რუსეთის ჰუმანიტარულ მოქმედებად ქართველობის მიმართ.

15.

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე სპობდა და სპობს ქართველობას უცხო ძალა, ხდებოდა და ხდება ქართველთა გენოციდი საქართველოში იმავე უცხო ძალის მიერ, და ამის პარალელურად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დატაცება-დაქუცმაცებაც.

16.

1921 წელს, როცა საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო, საქართველოს მაშინდელი ტერიტორია უდრიდა 91.100 კვადრატულ კილომეტრს. საბჭოთა საქართველოს კი შერჩა მხოლოდ 69.700 კვადრატული კილომეტრი. 20.500 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია საქართველოსა, ბოლშევიკებმა დაუნაწილეს ჩვენ მეზობელ ქვეყნებს სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს და სოჭი და მისი რაიონი რუსეთმა მიიკუთვნა თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. თვით საქართველოში შეგვიქმნეს ორი ავტონომიური რესპუბლიკა - აფხაზეთი და აჭარა, ხოლო შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რითაც რუსეთმა მოამზადა ნიადაგი საქართველოს მინაურ საქმეებში ჩარევისა როგორც "მოსარჩლე" ვითომდა "ეროვნულ უმცირესობათა" უფლებების დაცვის მიზნით, სინამდვილეში კი საქართველოს მოსახლეობაში არეულობის დასანერგად, როცა ეს საჭირო გახდებოდა; და ეს დრო ახლა დაგვატეხა თავზე რუსეთმა, რომელსაც დასასრული არ უჩანს, თუმცა საქართველო, ქართველობა უკვე დაჩოქებულია კრემლის წინაშე.

17.

მაგრამ გაუგებარია, ტრაგიკულია ის ფაქტიც, რომ რუსეთს საქართველოს, ქართველობის დაქუცმაცებასა და გენოციდში გვერდში ამოუდგნენ ჩვენი-ძმების აფხაზების ექსტრემისტები და შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ნაწილი, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნებების ე.წ. "მოხალისეებთან" ერთად უფრო სასტიკად, უფრო დაუნდობლად ჟლეტენ ქართველობას, ვიდრე თვით რუსები. როგორც ჩანს, ჩვენს ბედში მყოფ აფხაზ, ოს თუ ჩრდილოკავკასიელ ექსტრემისტებს არ ესმით ან არ სურთ გაიგონ, რომ თუ ქართველობა, საქართველო განადგურდა, მათი დღეებიც დათვლილია: რუსეთისათვის ამგვარი მცირერიცხოვანი ეროვნებების "მონელება" ადვილი საქმეა, მით უმეტეს, რომ ოსები, მაგალითად, ოსეთში უკვე გარუსებულია, და თუ ოსური ენა მაინც არსებობს, ეს შესაძლებელი გახდა ჩვენი შემწყნარებლობით. ბუნებით, როცა ჩვენ შიდა ქართლში შემოხიზნულ ოსებს ოსური სკოლები, თეატრი, უმაღლესი სასწავლებელი თუ მუზეუმი შევუქმენით, რის შედეგად ოსები დღეს ოსურად უმთავრესად შიდა ქართში ლაპარაკობენ. და როგორ გადაგვიხადეს ჩვენ, ქართველობას ამგვარი ჰუმანიტარული მოქმედება? - დღეს შიდა ქართლი და აფხაზეთი, ოსი და აფხაზი ექსტრემისტების წყალობითაც, რომლებიც რუსების მონებია, საქართველოს ეს უძველესი ტერიტორია გაწმენდილია ქართველობისაგან, და ქართველობის სახლებისა და ადგილ-მამულის დაპატრონებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ოსები, აფხაზები, კაზაკები თუ სხვა ეროვნებების შვილები, და ზეიმობენ იმას, რომ ქართველობა გაწყვიტეს ან ამ ტერიტორიებიდან გამოდევნეს.

18.

მაგრამ ამითაც არ მთავრდება საქართველოს, ქართველი ერის უბედურება: მტერმა შეძლო ქართველობის ერთმანეთზე გადაკიდება იმდენად, რომ 1992 წლის 6 იანვარს უკვე დავამთავრეთ ერთმანეთის სისხლის დვრის პირველი ტრაგიკული ეტაპი, რამაც გამოიწვია საქართველოს გულის, ჩვენი დედაქალაქ თბილისის შესანიშნავი რუსთაველის გამზირის დანგრევა, რის შემდეგ შეუძლებელი გახდა ეროვნული ერთობის მიღწევა; პირიქით, გაგრძელდა სამოქალაქო ომი, გავჟლიტეთ ერთმანეთი, დავანგრიეთ ჩვენი ქალაქები და სოფლები განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, და მაინც ეროვნულ მორიგებას, ეროვნულ შერიგებას ვერ მივაღწიეთ დღესაც, რადგან ყველა ეროვნული ძალების პოზიცია-ოპოზიციის - დემოკრატიის ამ მოტორის - სფეროში მოქცევა შეუძლებელი გახდა.

19.

რუსეთი კი, როგორც ყოველი იმპერიული სახელმწიფო, სარგებლობს ქართველთა ამგვარი არეული მდგომარეობით, რომლის დროს ქართველთა ნაწილი ახლაც - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ხელს უწყობს რუსეთის ამგვარ ანტიქართულ პოლიტიკას. ვითომ ამის მიზეზია ის, რომ ქართველი ერი უკვე მოხუცდა, დაბერდა და დაკარგა არა მარტო ეროვნული მეობის შენარჩუნების რწმენა, არამედ ძალაც?..

20.

ვითომ რუსეთის ინტერესებშიც შედის ქართველობის ფიზიკური განადგურება და საქართველოს სახელმწიფოს დაშლა ან საქართველოს მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად გადაქცევა?.. ვითომ რუსეთის პირით ლაპარაკობდა არძინბა, როცა სოხუმის დაცემის წინ განაცხადა -"მე მაინტერესებს სოხუმის არა მოსახლეობა, არამედ ტერიტორიაო?.." ტერიტორია ვისთვის?.. რუსეთისათვის?.. თუ პატონ არძინბას მართლა სჯერა, რომ საქართველოს მთელ დასავლეთ-ჩრდილოეთ ნაწილს მხოლოდ 80-ათასიანი აფხაზი დაეპატრონება?.. და თუ რუსეთს მისი სამხრეთი

საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა სურს, სწორედ ქართველობა, სწორედ საქართველო არ არის ამგვარი ღერძი კავკასიაში?.. და თუ ამის გაგება არ გააჩნია რუსეთის ხელმძღვანელობას, თვით რუსი ერიც ხომ არ მოხუცდა, დაბერდა და დაადგა "პირველი რომისა" და "მეორე რომის" დაღუპვის გზას?..

21.

აქ ერთი ქართველის აზრი მსურს მოვიყვანო, ქართველისა, რომელმაც 1993 წლის სწორედ 27 სექტემბერს დატოვა სოხუმი: "უმჯობესია, რომ ჩვენ, ქართველები შიდა ქართლში და აფხაზეთში დავმარცხდით, თორემ ჩვენ, ქართველი მებრძოლები ისე ვიყავით კონზე გადასული ოსი და აფხაზი ექსტრემისტების ბოროტებით ქართველთა მიმართ, რომ ჩვენ რომ გაგვემარჯვა, ახლა არც ერთი ოსი და არც ერთი აფხაზი ექსტრემისტი აღარ იქნებოდა საქართველოს ამ ტერიტორიაზე. და თუ ეს მოხდებოდა, მაშინ რა პირით უნდა წამდგარიყავით მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე?.."

22.

მართლაც, გენოსიდის ჩამდენს, რომელიც დიდი თუ პატარა ერის შვილების წინააღმდეგ არ უნდა იქნას ეს საშინელება ჩადენილი, - არ უნდა ჰქონდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე წარდგომის საშუალება და უფლება. მაგრამ აფხაზი ექსტრემისტების წარმომადგენლობა ჟენევაში თუ მოსკოვში ისე გველაპარაკება ჩვენ, ქართველობას ე.წ. "სამშვიდობო მოლაპარაკებებში", რომ თითქოს ეს 80-ათასიანი აფხაზები იყვნენ საქართველოს ბატონ-პატრონნი, და ისე გადიდგულებულნი არიან რუსეთის შეიარაღებული ძალების წყალობით, რომ თითქოს მათ მთელი ქართველი ერის გენოსიდის საშუალებაც კი გააჩნიათ.

23.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს, ქართველი ერის ფიზიკური ცხოვრების დამცველი მსოფლიოში არსად არ ჩანს, რომლის ყველაზე უფრო ნათელი ფაქტია საფრანგეთის, პარიზის ერთი ჟურნალის("...პარიზიენ",1994 წლის 27 თებერვალი) შემაშფოთებელი აზრი:"ევროპა საქართველოს ნელი სიკვდილის მოწმეა..." საქართველო მართლა სიკვდილის პირასაა და ჩვენ გულზე ხელდაკრეფილი ველოდებით ჩვენს სიკვდილს?..

24.

ვითომ რუსეთსა და საქართველოს შორის 1994 წლის 3 თებერვალს დადებული ხელშეკრულებაც, რომლითაც რუსეთმა აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ხაფანგია, რომ კიდევ უფრო მიგვაძინოს ჩვენ, ან უკვე მომაკვდავი ქართველობა?..

25.

და ანდრეი კოზირევმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, 1993 წლის 13 ივლისს, სოჭში, სხვათა შორის, თქვა: "ამიერკავკასია ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი ისტორიული სტრატეგიული რეგიონი...ეს არის ჭიშკარი ახლო აღმოსავლეთისაკენ. ჩვენი მიზანია დავიცვათ ჩვენი კანონიერი ინტერესები ამ არეში".

26.

ვითომ საქართველოს, ქართველ ერს არ გააჩნია "კანონიერი" ინტერესები იყოს თავის-უფალი და საქართველოს მიწა-წყლის ბატონპატრონი?

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებსაც კი რუსეთის გულის მოგება, რუსეთის ბაზარი აინტერესებთ, რომლის დროს საქართველო მხოლოდ "ხურდა ფულია"; ამის დასადასტურებლად შეგვიძლია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სიტყვა მოვიყვანოთ, რომელიც მან წარმოთქვა უკრაინის უზენაესი საბჭოს სხდომაზე, 1991 წლის 1 აგვისტოს და რომელშიც, სხვათა შორის, თქვა:"თავისუფლება იგივე არ არის, რაც დამოუკიდებლობაა".

27.

ამდენად, ძნელია, შეურაცმყოფელია, ჩვენი რუსეთის ეროვნული ღირსების შელახვა, როცა ჩვენ იძულებული ვართ ჩვენი მჩაგვრელის წინაშე კიდევ ერთხელ ქედი მოვიხაროთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში დაგვაჩოქეს, ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველი ჩვენი მიწიდან აყარეს და დევნილებად აქციეს, შიდა ქართლის ქართველობისაგან გაწმინდეს, და საქართველოში, ოსი და აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით, ისე ბატონობს, რომ საქართველოს საზღვრებსაც კი რუსის ჯარი და საზღვაო ფლოტი იცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28.

ჩვენ მაინც უნდა შევძლოთ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა. როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ ქართველობა რუსებისათვის ინდიფერენტულია?.. ნ ა ვ ბ ა ძ ო თ ფ ი ნ ე თ ს. ამისაკენ მოგვიწოდებს ის ფაქტებიც, რომ - როგორც პარიზის ჟურნალი "...პარიზიენ"(27.2.1994 წ.) წერს, - "ევროპა საქართველოს ნელი სიკვდილის დამხმარეა", ხოლო ამერიკა სდუმს. ვითომ დუმილი თანხმობა არ არის?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1994 წლის 27 სექტემბერი
სოხუმის დაცემის ერთი წლისთავი

## "ვ ი ნ მ ა რ თ ა ვ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს?.."

### I.

"ვინ მართავს საქართველოს?" - წამოიძახა ქართველმა ხანდაზმულმა პოლიტიკურმა ემიგრანტმა, როცა მან დაათვალიერა 1993 წლის 5 ივნისს ქართული გამოფენა, პარიზში, უნესკოს შესანიშნავი შენობის საგამოფენო დარბაზში, საქართველოს უნესკოში, ე.ი. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რადგან მან ვერ ნახა ქართული გამოფენის სტენდებზე ვერც 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ფოტო-ასლი თუ ვერც 26 მაისის შესანიშნავი თარიღის ხელისმომწერების ნოე ჟორდანიასა და მისი უახლოესი თანამებრძოლების ფოტოსურათები, თუმცა გამოფენის შესასვლელთან გამოფენილი იყო ბატონი ედუარდ შევარდნაძის საკმაოდ დიდი ფოტოსურათი.

### II.

"ვინ მართავს საქართველოს?" - კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნა იმავე პირმა, როცა გამოფენის ერთ სტენდზე იოსებ სტალინის სურათი დაინახა წარწერით, რომ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თურმე საქართველოს განძეულობის დაბრუნებაში საქართველოში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თუმცა არავითარი მინიშნება არ ჩანდა გამოფენაზე, რომ სწორედ სტალინ-ორჯონიკიძე-მახარაძისა და მათი ამხანაგების ხელშეწყობით დაიპყრო ლენინმა დამოუკიდებელი საქართველო, 1921 წლის 25 თებერვალს, რის შედეგად საქართველოს მეცნიერების კორიფეებმა, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, სთხოვეს საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს და მთავრობის თავმჯდომარეს - ნოე ჟორდანიას - საქართველოს განძეულობა წაეღოთ უცხოეთში, რომ ამ გზით გადაერჩინათ ეს ძვირფასი განძეულობა ბოლშევიკური დარბევისაგან, რაც პირნათლად შეასრულა საქართველოს მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით, და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისევ საქართველოში დააბრუნა პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის მეთვალყურეობის ქვეშ.

### III.

"ვინ მართავს საქართველოს?" - ამ კითხვაზე აღტკინებული პასუხი გასცა ერთმა უახლესმა ემიგრანტმა(დ.გ.), - დაგმო რა როგორც "ზვიადისტმა" საქართველოს ახლანდელი მეთაური ედუარდ შევარდნაძე, რომელიც სერგო ორჯონიკიძეს შეადარა, რომელმაც, როგორც ცნობილია, თავისი პირადი განდიდების მიზნით, დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო, საქართველოს ისტორიული ტერიტორია, როგორც ბუდუ მდივანი ამბობდა, "მარჯვნივ და მარცხნივ დაარიგა" და დანარჩენი საქართველო ბოლშევიკებს მიართვა საჩუქრად.

ამ უახლესმა ემიგრანტმა 1921 წლის 25 თებერვალი 1992 წლის 6 იანვარს შეადარა, და საქართველო თუ დღეს კიდევ როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო მაინც სუნთქავს, ეს იმიტომ, რომ ედუარდ შევარდნაძემ ჯერჯერობით ვერ შესძლო სერგო ორჯონიკიძის გზაზე დადგომა ქართველ ხალხში არსებული ჯერ კიდევ ძლიერი ეროვნული ძალების სიმტკიცის გამო, თუმცა ეს ძალებიც, როგორც ჩანს, "ზვიადისტებად" ინათლება თუ მათ ხმა აიმაღლეს დღევანდელი ხელისუფალთა ორჯონიკიძისეული პოლიტიკის წინააღმდეგ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

### IV.

"ვინ მართავს საქართველოს?" - წარსულ დროში გადაიყვანა ერთმა ანალოგიურად აღტკინებულმა ახალმა ემიგრანტმა(ს.ე.), რადგან, მისი აზრით, საკითხი უნდა დაისვას უფრო ზუსტად: "ვინ მართავდა საქართველოს?" ილაპარაკა რა, ისევ აღტკინებულად, საქართველოში არსებულ დიქტატურაზე, ადამიანის უფლებების უგუ-

აებედყოფაზე, ვფიქრობდი, ის ლაპარაკობს 1921-1990 წლებში საქართველოში არსებულ უმოწყალო დიქტატორულ რეჟიმზე!.. მაგრამ არა! მან ილაპარაკა "ზვიადისტთა" ბატონობაზე საქართველოში, და თითქოს მხოლოდ ამ დროს არსებობდა დიქტატურა, "ველური ნაციონალიზმი" საქართველოში, ე.ი. დაწყებული 1990 წლის 28 ოქტომბრიდან - დამთავრებული 1992 წლის 6 იანვრამდე, ე.ი. სულ 14 თვის განმავლობაში, თუმცა ის არ აღნიშნა, რომ არც "ზვიადისტები" წყალობდნენ და წყალობენ 26 მაისის შემქმნელ დიად თაობას ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რაც - მეორე მხრივ - ნათელს ხდის, რომ "ზვიადისტები","ედუარდისტები", ბოლშევიკები და საქართველოს მემარცხენე ძალები ერთ საკითხში ერთსულოვანი იყვნენ და არიან: ერთი მხრივ, - საქმით თუ არა, სიტყვიერად მაინც - ეყრდნობიან 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, ამ უდიდეს ისტორიულ დოკუმენტს, მაგრამ - მეორე მხრივ - გმობენ 26 მაისის დიად თაობას, სულ ცოტა მათი არ-ხსენებით, რაც ოფიციალურად ახლა აღნიშნულ 1993 წლის 5 ივნისის გამოფენაზე პარიზში, ცხადად შენიშნავი.

V.

"ვინ მართავს საქართველოს?" - ვითომ არც "ზვიადისტები?" - არც "ედუარდისტები?", არამედ "ბნელი" ძალები?.. და, თუ ეს ასეა, სად უნდა ვეძიოთ ჩვენ ეს "ბნელი ძალები"?.. აფხაზ ექსტრემისტებში?.. ან, შიდა ქართლში მცხოვრებ ოს ექსტრემისტებში?.. თუ აქ უნდა მოვიგონოთ მიხეილ გორბაჩოვის მუქარა, რომელიც მან ღიად გამოთქვა ზვიად გამსახურდიასთან ტელეფონით ლაპარაკის დროს?!.."მაშინ თქვენ დიდი სიძნელეები მოგელით სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში...", თქვა სიტყვა-სიტყვით მიხეილ გორბაჩოვმა, რომელიც "მაშინ" ნიშნავს იმას თუ საქართველო ისევ არ გახდება რუსეთის მონამორჩილი. და ამ "საქმე -საგმიროში" დიდ დახმარებას ვუწევთ ჩვენ,ქართველები და საქართველოში მცხოვრები სხვა ერის შვილები, ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტებს, როცა ერთმანეთის სისხლსაც კი ვღვრით, და, როგორც ჩანს, ეროვნულ მორიგებაზე, ეროვნულ ერთობაზე არავინ არ ფიქრობს საქმით, თუმცა სიტყვით ყველა ამის მომხრეა, მაგრამ დამნაშავეა მხოლოდ "სხვა."

VI.

"ვინ მართავს საქართველოს?.." ან,სხვა სიტყვებით: ვინ აიძულებს საქართველოს თავისი არმიის ნაწილები გამოიყვანოს საქართველოს ტერიტორიიდან, - შიდა ქართლიდან თუ აფხაზეთიდან - და იქ, ან უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ნებართვით, - დაბანაკოს რუსეთის და(ჩრდილოეთ)ოსეთის თუ შიდა ქართლში მცხოვრები ოსი ექსტრემისტების თუ აფხაზი ექსტრემისტების შეიარაღებული ძალები?!.. ვითომ თითო-ოროლა ოსი თუ აფხაზი ექსტრემისტები მართავენ საქართველოს მათ უკან მდგომი "ბნელი ძალების" მეშვეობით; თუ ეს ოსი თუ აფხაზი ექსტრემისტებიც და საქართველოს დღევანდელი მთავრობაც მარიონეტების მდგომარეობაშია ჩაყენებული აღნიშნული "ბნელი ძალების"მიერ?..

VII.

ვინ მართავს საქართველოს? -უცხო ბნელი ძალები?.. სად არის სადი აზროვნება?.. სად არის ქართველი ერის საერთოდ აღიარებული ეროვნული შეგნება, რომელიც მაგალითის მაჩვენებელი იყო, სულ ცოტა, ან დანგრეულ საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერებისათვის?რომ მაგალითად მომყავს ერთი [illegible] პოლიტიკური მოღვაწის ჩივილი, რომელმაც მითხრა: ჩვენ, ჩვენი პოლიტიკური ბაზის განსაზღვრამდე, ყოველთვის ვაკვირდებოდით თუ რას აკეთებდით თქვენ, ქართველები, და შემდეგ ვიღებდით ხოლმე ჩვენი პოლიტიკური მოქმედების მიმართულებას; და ახლა, გასძინა მან, რა მოგივიდათ თქვენ, რომ ერთმანეთის სისხლსაც კი ღვრით?..

VIII.

ვინ მართავს საქართველოს? - ისევ დამებადა ეს კითხვა, როცა საქართველოს [illegible] პარტიიდან, ქრისტიანი პარტიის ლიდერს შეკითხვით მიმართა შემოხვეწით(ჯ.ც.), რომელმაც კატეგორიულად წამოიძახა:"რუსის ჯარი ტოვებს საქართველობიდან და აფხაზეთში ორ დღეში დავამყარებ წესრიგს!" გავიკითხე შემდეგ თუ რა იგულისხმა იმაში, რომ "...აფხაზეთში ორ დღეში დავამყარებ წესრიგს"; და ამიხსნა, რომ ამ პარტიას თავისი საკუთარი შეიარაღებული ძალები ჰყოლია საქართველოში; და ახლა პარტიული თუ ჯგუფური შეიარაღებული ძალები საქართველოში ყოფილა დაახლოებით თორმეტი, ხოლო პატარ-პატარა შეიარაღებული რაზმების დათვლაც კი შეუძლებელიათ!.. და საქართველოს არმია?.. ეს, არსები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალ, ქაღალზე არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს არმიის ჩამოყალიბების პროცესში მყოფ არც ისე პროფესიონალ ნაწილებს!.. და ამგვარ მდგომარეობაში მართლა საკითხავი არ არის თუ ვინ მართავს საქართველოს?!..

IX.

ვინ მართავს საქართველოს? - ვითომ ქართველმა ხალხმა კონიური გადაწყვეტილება მიიღო, როცა საქართველოს მთელი ხელისუფლება, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, ხმების 87 პროცენტით, "მრგვალ მაგიდას" ჩააბარა, რომლის ხელმძღვანელმა - ზვიად გამსახურდიამ -, იმის მაგივრად რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა გაერთიანების გზაზე დაეყენებინა, "მტრების" ძებნა ისევ ჩვენი ერის ბუდეში დაიწყო, რომლის ერთ მთავარ მოწინააღმდეგეებს ოპოზიციად კი არა, მტრებად მიიჩნია, ხოლო ედუარდ შევარდნაძის ისეთმა მაყურებლებმა ახლა დაიწყო საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, რომ სრულიად უგულებელყოფდა დაფარეს ის ფაქტი, რომ შესაძლებელი იქნებოდა ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტის აქ ძალ დამოუკიდებელი საქართველოს სასარგებლოდ გამოყენება?..

და ჩამოაგდო რა ე.წ."შეიარაღებულმა ოპოზიციამ" - კანონის უზენაესობის დარღვევის გზით, საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტი და გაიწვია რა საქართველოში, ისევ ჩვენი სახის, როგორც გამოცხადდა, 95-მა პროცენტმა, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარედ აირჩია იგივე ედუარდ შევარდნაძე, რასაც მოჰყვა პარლამენტის მიერ მისივე სახელმწიფო მეთაურად არჩევა; და ახლა ედუარდ შევარდნაძე და მისი მომხრეებიც ისევე გმობენ ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს, როგორც ესენი გმობდნენ მათ?..

X.

ვინ მართავს საქართველოს? - განა შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, - როგორც ახ ერთმა ქართველმა ტურისტმა თქვა პარიზში - ისეთ პირობებში, როცა საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილი, ასე თუ ისე, ცუცურებაშია, ხოლო დიდი ნაწილი, განსაკუთრებით პენსიონერები, ინვალიდები, მარტოხელა დედები, ბავშვები თუ მუშები დუქმაპურის ძებნითაა დაკავებული?.. განა ჩვენმა "მესამედასელებმა", ჯერ კიდევ 1893 წელს, ერისა და პიროვნების თავისუფლების წინაპირობად სოციალური კეთილდღეობა არ აღიარეს, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა?..

XI.

ვინ მართავს საქართველოს? - ვითომ ყველაფერი აღნიშნულის უკან დგას უცხო ბნელი ძალები, რომლებიც თვითონ ჩვენ გვიყენებენ ურთმანეთის დასარბევად, დასახუხულებლად, რომ ისეთ მდგომარეობაში მოვექცეთ, რომ ისევ დავიჩოქოთ რუსეთის წინაშე და ვთხოვოთ მას იბატონოს ჩვენზე?..

XII.

ვინ მართავს საქართველოს? - ვითომ აფხაზეთში მცხოვრები ასი-ათასიანი აფხაზობა და მთლად ქართლში მცხოვრები ორმოცდაათი-ათასიანი ოსის ექსტრემისტები, რომლებიც მათ ზურგში მდგომი "ბნელი ძალების" პაიკებია?..

XIII.

"ვინ მართავს საქართველოს?" - დავიჯეროთ, რომ "მხოლოდ ბნელი ძალები"?.. და თუ ამ "ბნელი ძალების" მოთრგუნვა შეუძლებელია, მაშინ რა გამოსავალი არსებობს ამ თითქმის გამოუვალ მდგომარეობიდან?..

ამ მიმართულებით გზისმაჩვენებელი ხომ არ არის ფინეთი, რომელმაც შეძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება მოლაპარაკების გზით რუსეთთან?..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1994 წლის 21 აგვისტო

==========================

# ო რ ი   უ კ ი დ უ რ ე ს ო ბ ა

I.

"ორი უკიდურესობა" - ასე ვუწოდებთ ამ შენიშვნას იმიტომ, რომ - ერთი მხრივ - საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პირდაპირ იმუქრებოდა, რომ კრემლში ფეხს არ შეაბიჯებს და დიპლომატიური გზით საერთო ენის გამონახვას რუსეთთან არ შეეცადა თითქოს საქართველო რუსეთის წილი სახელმწიფო იყოს სამხედრო თვალსაზრისითაც კი, და - მეორე მხრივ -, როგორც ჩანს, ბოლო არ უჩანს ან დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს სახელმწიფოს რუსეთის მ ო ნ ო-ბაში ყოფნას, როცა 1994 წლის 21 ივნისის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" პირველ გვერდზე ვკითხულობთ:"რუსეთთან ერთად ჩვენ ვაშენებთ მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას,რომელსაც საფუძვლად ურთიერთნდობა უდევს".

II.

ამ სიტყვებმა კი ჩვენ მოგვაგონა ბოლშევიკური რეჟიმის ხანა საქართველოში, როცა, როგორც ცნობილია, საქართველოსთვის მზეც კი ჩრდილოეთიდან ამოდიოდა.

III.

და დაგვებადა კითხვა: მართალია, ვიცით, რომ ყველა ის უბედურება, რაც თავს დაგვატყდა ამ უკანასკნელ წლებში - 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია თბილისში, შიდა ქართლში ოსი ექსტრემისტების გაბატონება და ჩვენი ამ მიწა- წყლიდან ქართველობის გამორეკვა,თუ 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში საქართველოს დაჩოქება - ყველაფერი ეს, რასაც მოყვა ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობის ლტოლვილებად გადაქცევა თვით საქართველოში - რუსეთის ხელმძღვანელობის ნახელავია, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა ოსი და აფხაზი ექსტრემისტები საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ და დაგვაჩოქა არა მარტო სოხუმში, არამედ ცხინვალშიც და საქართველოს მიწა-წყალზე უცხოელების ჩამოსახლება ისე გრძელდება, რომ საქართველოს მთავრობას არავინ არაფერს არც კი ეკითხება, რასაც კიდევ ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკური უძლურებაც.

IV.

და ვითომ ამით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა იძულებულია ისევ რუსეთის ქება-დიდებას მიჰყოს ხელი, რომ როგორმე თავი დავაღწიოთ მოსკოვის რისხვას, რადგან, როგორც ჩანს, კრემლი ჩვენი - ქართველობის - ფიზიკური განადგურებისაგანაც კი არ იხევს უკან?..

V.

ვითომ ამ მეტად რთული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია იმით, რომ ისევ კრემლის ქება-დიდება დავიწყოთ, როგორც ეს ხდებოდა ბოლშევიკური რეჟიმის 70 წლის განმავლობაში?..

VI.

თუ კრემლის ქება-დიდების სამაგიეროდ უკეთესია პირდაპირ დავუსვათ კითხვა მოსკოვის ხელმძღვანელობას თუ რა სურს საქართველოს, ქართველი ერისაგან?..

VII.

და თუ რუსეთს ჩვენი ისევ კოლონიურ მდგომარეობაში ჩაყენება სურს და, როგორც ერთი პარიზული ჟურნალი წერს, -"საქართველოს ნელი სიკვდილი", და მოსკოვს ჩვენს გარდა არავინ წინააღმდეგობას არ უწევს ამგვარი ვაი-პოლიტიკის წარმოებაში, არც დასავლეთის დიდი სახელმწიფოებიც კი, თვით ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით, - მაშინ პირდაპირი მოლაპარაკება არ ჯობია მოსკოვთან, რომ დაგვიდგინოს ისეთი სტატუსი, რომელიც მას სურს?.. რა საჭიროა აქ რუსეთის ქება-დიდება, რუსეთისა, რომელიც უკვე თითქმის ორასი წელიწადია თავზე გვაზის?.. მაგრამ, ამავე დროს, რა საჭიროა რუსეთის დანძლვა, როცა იმპერიალისტი-არის ის რუსი თუ არარუსი- საკუთარ თავზე ფიქრობს და არა დაპყრობილი ერის სვე-ბედზე?..

რას წერს ფრანგული დიდი გაზეთის -"ფიგაროს" - ვაშინგტონელი კორესპონდენტი სტეფან მარშანდი? - "შეერთებული შტატები, რომელიც ხშირად თვალებს ხუჭავს რუსეთის შეიარაღებული ძალების ინტერვენციაზე 'ახლო უცხოეთის' ქვეყნებში, სამაგიეროდ მოითხოვს რუსეთის ჯარების სრულ გაყვანას ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან..." "ფიგარო",5.7.1994 წ.).

VIII.

და ასეთ ვითარებაში უკეთესი არ არის გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" პირველ გვერდზე გამოაქვეყნოს თხოვნა რუსეთის ხელმძღვანელობისადმი თუ რა პირობებს უყენებს იგი საქართველოს, ქართველ ერს, რომ ჩვენ, ქართველობას, საქართველოს ცხოვრების უფლება გვქონდეს ჩვენს სამშობლოში?..

IX.

ამისათვის კი საჭირო არ არის არც სიყვარულისა და ერთგულების ფიცი რუსეთისადმი და არც მტრობისა და სიძულვილის ქადაგება, არამედ ნორმალური ურთიერთობა, როგორც ამას ადგილი აქვს კულტურულ ერებსა და სახელმწიფოებს შორის. თუ არც რუსეთი და არც საქართველო კულტურული ერები არ არიან?.. ნუთუ ჩვენ ერთმანეთს მონათა და მონათმფლობელთა ენით უნდა ველაპარაკოთ, როცა, გასაგებია, მონის მდგომარეობაში ჩვენ ვიმყოფებით?..

X.

დავაღწევთ კი ოდესმე თავს ამ ორ უკიდურესობას და ჩვენ გავხდებით კულტურული ერები ხხვა მრავალ კულტურულ ერებს შორის ამ ქვეყანაზე?..

XI.

აი, საკითხი, რომლის განჭვრეტა-განხორციელებისათვის უნდა ვიზრუნოთ ჩვენ.

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1994 წლის 14 ივლისი

---

## ქართველი ერი - ორმაგად დაჩაგრული?..

I.

"ქართველი ერი - ორმაგად დაჩაგრული?.." რატომ ვაყენებ ასეთ კითხვას: ვითომ ქართველი ერი მართლაც ორმაგად დაჩაგრულია?..

II.

დემოკრატია, საერთოდ, არის სახელმწიფოებრივი წესყობილება და სახელმწიფოს მართვის ხერხი, როცა - დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების გზით - ამომრჩეველთა უმრავლესობის წარმომადგენელი პარტია თუ პარტიები, კანონით განსაზღვრული დროის მონაკვეთში, განაგებს სახელმწიფოს მმართველობას, ე.ი. წარმოადგენს სახელმწიფოს მთავრობას, რომლის დროს პოზიცია-ოპოზიცის "დემოკრატიული მოტორი" მოქმედებაშია, რომ "უმრავლესობამ", მისი მოღვაწეობისას, "უმცირესობის" ნება-სურვილიც უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ განხორციელდეს "დემოკრატია მოქმედებაში" პრაქტიკულად. ეს კი ნიშნავს, თავის მხრივ -, რომ ძლიერ "პოზიციას"(მთავრობას) ესაჭიროება "ძლიერი" ოპოზიცია, რომ ადგილი არ ჰქონდეს "უმრავლესობის" თავბრუდახვევას "წარმატებებისაგან". და ამიტომ იყო, რომ - როცა 1919 წლის დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნებში დამოუკიდებელ საქართველოში, საქართველოს მაშინდელ დამფუძნებელ კრებაში, სულ 130 დეპუტატიდან, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 105 დეპუტატი გაიყვანა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსმა და ლიდერმა, საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობის თავჯდომარე - ნოე ჟორდანიამ - თქვა, რომ "ოპოზიცია უნდა გავაძლიეროთო", რაც, გასაგებია, უნდა მომხდარიყო მომავალი არჩევნების გზით.

III.

მაგრამ უმრავლესობა ბატონობს არა მარტო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში არჩევნების გზით, არამედ ქვეყნის ცხოვრებაშიც, როცა "უმრავლესობაში", გასაგებია, ნაგულისხმევია საქართველოს სახელმწიფო ერი; და ეს ერია ქართველი ერი, რომელსაც გააჩნია ორი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია. მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მმართველი ქართველი ერის გვერდით საქართველოში არსებობდა და არსებობს მცირერიცხოვანი ეროვნებები -,არ ვამბობ ერი, რადგან ერი უფრო ფართე ცნებაა, - რომლებიც საუკუნეების განმავლობაში შეხმატკბილებულად ცხოვრობდა და ზოგიერთები დღესაც ცხოვრობენ ქართველ ერთან ერთად საქართველოში, თუმცა არაერთხელ შეეცადნენ საქართველოს, ქართველი ერის დამპყრობლებმა ამ მცირერიცხოვან ეროვნებათა გამოყენება ქართველი ერის წინააღმდეგ საქართველოს, ქართველი ერის დაპყრობის მიზნით.

IV.

და დიდმპყრობელ-შოვინისტების ამგვარმა ვაი-პოლიტიკამ საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ კულმინაციურ წერტილს მიაღწია ახლა, ჩვენს "თვალწინ", როცა საბჭოთა კავშირი დაშალა თვით რუსეთის, ან უკვე პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა, და საქართველომ, 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

V.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად, როგორც ჩანს, არ"მოეწონათ დიდმპყრობელ-შოვინისტებს; და აქედან იწყება საქართველოს, ქართველი ერის ორმაგი დაჩაგვრის ვაი-პოლიტიკა, რომლის ავტორები და განმახორციელებლები არიან, ჩვენდა საუბედუროთ, რუსეთის თითქმის ყველა დემოკრატიული და არადემოკრატიული ძალები, რადგან ესენი, როგორც ჩანს, რუსეთისა და რუსი ერის სიდიადეს იმ საზომით ზომავენ თუ რამდენ ერს მოაქცევენ მათი იმპერიული ბატონობის ქვეშ; და ერთერთ ასეთ ერად და ქვეყნად მიაჩნდათ და მიაჩნიათ ქართველი ერი და საქართველო.

VI.

დაიწყო რა საქართველოს, ქართველი ერის ორმაგი დაჩაგვრის პოლიტიკა, ამ სამარცხვინო საქმეს სათავეში ჩაუდგენ – ერთი მხრივ – რუსეთის თითქმის ყველა დიდმპყრობელი შოვინისტები და დემოკრატების ნაწილიც, და – მეორე მხრივ – რუსეთმა ამ იმპერიული ზრახვების განხორციელებაში ოსტატურად გამოიყენა საქართველოში მცხოვრები პატარა ეროვნებების ექსტრემისტული ნაწილები, რომელთა შორის აღმოჩნდეს ჩვენი საუკუნოვანი ძმები და საქართველოს სახელმწიფოს ერთობის ისტორიული შემქმნელები და დამცველები აფხაზი ექსტრემისტები და შიდა ქართლში ქართველი ერის მიერ ჩასახლებული და განებივრებული ოსების ექსტრემისტული ნაწილებიც, – ჩადგენ რა რუსეთის იმპერიული ვაი-პოლიტიკის სამსახურში, და მათი საშინელი მოქმედებით ქართველების მიმართ, ვფიქრობთ, შახ-აბაზიც კი ჩრდილში ჩააყენეს, შახ-აბაზი, რომელმაც სამასი-ათასი ქართველი აყარა საქართველოს მიწიდან მორეულ ფერეიდანში გადაასახლა.
ახლა სამას-ათასამდე ქართველობა ჩვენი აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან გამორეკეს და თვით საქართველოშივე დევნილები გახადეს.

VII.

ამგვარად, საქართველოს, ქართველ ერს, ამ ორი უკანასკნელი საუკუნის განმავლობა, ჩაგრავდა და ჩაგრავს რუსეთი, რადგან იგი რიცხობრივად და ტერიტორიულად "დიდია", ხოლო საქართველო ტერიტორიულად და მოსახლეობითაც "მცირეა", რის შედეგად "ძლიერი რუსეთი" ჩაგრავდა და ჩაგრავს "სუსტ" საქართველოსა და ქართველ ერს. მაგრამ ამითაც არ მთავრდება ჩვენი დაჩაგვრა: საქართველოს და ქართველ ერს ჩაგრავს აგრეთვე აფხაზი და ოსი ექსტრემისტები, რომლებიც აფხაზეთში და შიდა ქართლში ისე ფარფაშობენ, რომ "ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად!"

VIII.

ამდენად, საქართველო, ქართველი ერი იმყოფება ორმაგი დაჩაგვრის ქვეშ: ერთი მხრივ ჩვენ გვჩაგრავს "უმრავლესობა" – რუსეთი და რუსის ერი, ხოლო – მეორე მხრივ – გვჩაგრავს საქართველოშივე მცხოვრები მცირე ეროვნებების ექსტრემისტები – ოსები და აფხაზები, რა თქმა უნდა, რუსეთის "ლოცვა-კურთხევით"; და ჩვენ, ქართველობა იძულებული ვართ – ერთსაც და მეორესაც დავემორჩილოთ ისე, თითქოს საქართველო, ქართველი ერი მონათმფლობელობის ხანაში იმყოფებოდეს.

IX.

და ვინ არის დამნაშავე საქართველოს, ქართველი ერის ამგვარი უმწეო მდგომარეობის შექმნაში?.. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჩვენ, ქართველობა, რადგან ჩვენ ვერ შევძელით ეროვნული ერთობის მიღწევა, რის შედეგად, ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტების ანკესზე ვეგებით – შეგნებულად თუ შეუგნებლად – და ერთმანეთის სისხლსაც კი ვღვრით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1991-1992 წლების მიჯნაზე და შემდეგაც...

X.

რა თქმა უნდა, ეს ვერ "ათეთრებს" ვერც დიდმყრობელი-შოვინისტებისა და ვერც ოსი და აფხაზი ექსტრემისტების ვაი-მოქმედებას საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ, მაგრამ ვითომ ბოლო არ უჩანს საქართველოსა და ქართველი ერის ამგვარ ორმაგ-ჩაგვრას?.. მართალია, 1993 წლის 27 სექტემბერს დაგვაჩოქეს სოხუმში იმპერიულმა შავმა ძალებმა, მაგრამ სანამ უნდა გაგრძელდეს ჩვენი ერის ორმაგი დაჩაგვრა?..

XI.

ნუთუ ფიქრობს რუსეთი, რომ საქართველოს, ქართველი ერის აწ თითქმის ორასწლოვანი დაჩოქება, რომლის ერთერთი ისტორიული ფაქტია სოხუმის რუსეთის ჯარების მიერ აღება 1993 წლის 27 სექტემბერს, – ისტორია მას შეარჩენს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა



და რას ფიქრობენ აფხაზი და ოსი ექსტრემისტები, როცა მათ ქართველი ღელე-ბი, ბავშვები და მოხუცებიც კი არ დაინდვენ და გაჟლიტეს, - ყველაფერი ეს მათ შერჩებათ?..

XII.

ნუთუ მოსკოვი მართლა ფიქრობს, რომ ის მესამე რომია და არც პირველი და არც მეორე რომის ბედს არ გაიზიარებს?.. ნუთუ რუსეთის ყველა პოლიტიკურმა პარ-ტიამ, თვით ჟირინოვსკის ულტრა-შოვინისტური პარტიის ჩათვლით, ვერ გაიგეს, რომ იმპერიების, დიდი ერებისაგან პატარა ერების დაპყრობის ხანა ისტორიას ჩაბარდა?.. და თვით აფხაზი და ოსი ექსტრემისტები, როცა ისინი რუსეთს ეხ-მარებიან საქართველოს, ქართველი ერის დაპყრობაში, იმ ტოტს არ ჭრიან, რო-მელზედაც თვითონ ზიან, რადგან მალე გაქრებიან რუსი ერის ზღვაში?..

XIII.

ხანამ უნდა გაგრძელდეს ქართველი ერის, საქართველოს ამგვარი ორმაგი ჩაგვ-რა რუსეთისა და აფხაზ-ოს-ექსტრემისტების მიერ?..

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1994 წლის 27 სექტემბერი,
სოხუმის დაპყრობის პირველი წლისთავი.

---

რეზონანსი
THE RESONANCE DAILY NEWSPAPER
გაზეთი დაარსებულია 1990 წელს

## საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა რეიტინგი
(1994 წლის აგვისტო)

| | | დადებითი შეფასება | უარყოფითი შეფასება |
|---|---|---|---|
| 1 | ა.ჩიქვაიძე | +1.48 | -0.36 |
| 2 | ა.აბაშიძე | +1.43 | -0.31 |
| 3 | ე.შევარდნაძე | +1.37 | -0.59 |
| 4 | ი.სარიშვილი | +1.12 | -0.56 |
| 5 | ვ.გოგუაძე | +0.78 | -0.58 |
| 6 | ვ.რჩეულიშვილი | +0.75 | -0.75 |
| 7 | გ.ჭანტურია | +0.73 | -0.79 |
| 8 | ჯ.იოსელიანი | +0.72 | -1.00 |
| 9 | ნ.ნათაძე | +0.68 | -0.88 |
| 10 | ი.ხაინდრავა | +0.61 | -0.65 |
| 11 | ა.ასათიანი | +0.59 | -0.82 |
| 12 | თ.პაატაშვილი | +0.57 | -0.79 |
| 13 | თ.ჩხეიძე | +0.53 | -1.16 |
| 14 | ი.წერეთელი | +0.42 | -1.40 |
| 15 | თ.სიგუა | +0.29 | -1.32 |
| 16 | თ.კიტოვანი | +0.16 | -1.66 |

გამოკითხვა ჩაატარა „რეზონანსის" სოციოლოგიურმა სამსახურმა 17-21 აგვისტოს, თბილისში, 1000 კაცზე. გამოკითხულნი აფასებდნენ პოლიტიკოსებს შვიდბალიანი სისტემით მინუს 3-დან პლუს 3-მდე. (გათვალისწინებულია ნულოვანი შეფასებაც.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წ ა რ ს უ ლ ი   მ ო მ ა ვ ა ლ ი ა

## დავით აღმაშენებელი

## 26 იანვარი - დიდი დავითის 'წმიდა კეთილმსახურის' ხსენების დღეა

დავით აღმაშენებლის ღვაწლსა და ამაგს სიტყვები ვერ გამოთქვამს: მის დიდ საქმეებზე, რაც მან მიწასთან გასწორებულ თავის ერსა და მიწა-წყალს გაუკეთა, უნდა იფიქრო მხოლოდ და უნდა წარმოიდგინო: ყველამ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა ნანგრევებისაგან აღადგინა მუსულმანური სამყაროსაგან განადგურებული ჩვენი სამშობლო, გააერთიანა, განამტკიცა და ააყვავა, როგორც ეკონომიურად, ასევე პოლიტიკურად და სულიერად. რადა ღირს, თუ გნებავთ, თუნდაც იმის გახსენება, რომ მან შექმნა გელათისა და იყალთოს აკადემიები, უტეხი ნებისყოფით შესძლო დაეთრგუნა გულხარბა ფეოდალები და განდიდების მოყვარული მოღალატენი. მისმა უაღრესად შორს გამიზნულმა დიპლომატიამ საერთო მტრის წინააღმდეგ შეაკავშირა ამიერკავკასიის ხალხები, ხოლო ჰუმანუდმა დამოკიდებულებამ და მოქცევამ მტრიდან წამოყვანილი ტყვეებიც კი მტრისავე წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩააყენა.

დავით აღმაშენებელი თანაბრად დიდი იყო როგორც პოლიტიკოსი და სამხედრო სტრატეგი, როგორც დიპლომატი და ჰუმანისტი, რაც დაფუძნებული იყო ქრისტიანულ საკეთესა და სიყვარულზე.

მეფის დიდი აზრი და მარჯვენა შეეხო არა მარტო სამოქალაქო ცხოვრებას ერისას, არამედ გონივრულად ჩაერია სასულიერო საქმეებშიც. ამ მხრივ უპრეცედენტოა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. ძნელი შესაფასებელია ამ კრების დადგენილებანი და მათი მნიშვნელობა სარწმუნოებისა და ეკლესიის განმტკიცების საქმეში. დავით აღმაშენებლის დიდებული სიბრძნე ღვთიური მადლით იყო ბოძებული ჩვენი ერის გადასარჩენად. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ შერაცხა დიდი მეფე „წმიდა კეთილმსახურად“. დავით მეფემ ინება, რომ სიკვდილის შემდეგ ის დაესაფლავებინათ გელათის მონასტერში. სხეული დიდი მეფისა განისვენებს გელათის მონასტრის კარიბჭესთან.

## ეროვნული ჰიმნი

დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სისხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

## "თავისუფლება გამოწვევაა"

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება გამოწვევაა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება თვითგანწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და ზოგჯერ გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი(1874-1959), ფრანგი ისტორიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "ევროპა საქართველოს ნელი სიკვდილის დამხმარეა?.."

## "ბიპოლარული" თუ "უნიპოლარული" მსოფლიო?..

### I.

"ბიპოლარული" თუ "უნიპოლარული" მსოფლიო? - ვაყენებთ კითხვას სსრკ-ს დაშლისა და ე.-ვი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" შექმნასთან დაკავშირებით, რომლის შედეგად მსოფლიოში დარჩა მხოლოდ ერთი "ზე-სახელმწიფო"= ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც უკვე "ღირსეული მეტოქე" აღარ ჰყავს, რის შედეგად განვითარების დიალექტიკური კანონზომიერება - თეზისი-ანტითეზისი-სინთეზი - დარღვეული მოჩანს. მაგრამ ჯერ გადავხედოთ ამგვარი "არა-ბუნებრივი" ისტორიული მსვლელობის ქრონოლოგიას:

### II.

1991 წლის აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე, როგორც ცნობილია, ლონდონში ჩატარდა შვიდი დიდი ინდუსტრიული ქვეყნების - აშშ-ს, გერმანიის, იაპონიის, საფრანგეთის, ბრიტანეთისა და იტალიის - თათბირი, რომელზედაც მიიწვიეს სსრკ-ს პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, რომლის შესახებ, გერმანულმა კომენტატორმა იოსებ იოფემ(ზც-3.8.91) დააყენა კითხვა:"ბიპოლარული",ე.ი."ორ-პოლუსიანი" თუ "ერთ-პოლუსიანი",ე.ი."უნიპოლარული" მსოფლიო, რომლის შესახებ, სხვათა შორის, წერდა:

"ბისნესი, რომელიც ჯორჯ ბუშმა და მიხეილ გორბაჩოვმა უმაღლეს დონეზე გააკეთეს, არის...როგორც მარტივი, ისე მონუმენტური: კეთილი სურვილები კეთილყოფაქცევის სამაგიეროდ. ამერიკის გამომშვიდობების საჩუქარი ყველაზე უფრო თვალსაჩინო გახდა, ვიდრე ოდესმე, რომელიც პრეზიდენტმა ბუშმა მის ახალ მეგობარს გორბაჩოვს კიევში დაუტოვა: დაცინვა "თვითმკვლელობითი ნაციონალიზმისა" და თაყვანისცემის ჰიმნი გორბაჩოვის მიმართ. გორბაჩოვს განეხორციელებია "გასაკვირველი საქმეები" "თავისუფლებისა" და "დემოკრატიის" განხორციელებისათვის. და ამიტომ ვაშინგტონს ექნება "უძლიერესი ურთიერთობა" ცენტრალურ მთავრობასთან, მით უმეტეს, რომ "თავისუფლება" აუცილებლად "დამოუკიდებლობას" არ ნიშნავს".

"ეს თვალსაჩინო მხარდაჭერა გორბაჩოვისადმი, როგორც პიროვნებისადმი და მოსკოვისადმი, როგორც ცენტრალური ძალაუფლების კერისადმი,-ზუსტად შეესაბამება ქარგას, რომელიც მიიხაზა შვიდი ინდუსტრიული ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრაზე ლონდონში. მართალია, გორბაჩოვი ლონდონიდან ჩხრიალა ფულით სავსე ტომსიკით არ გაისტუმრეს, მაგრამ მას არგუნეს უფრო მეტი, ვიდრე მილიარდები:გორბი, ასე ვთქვათ, გახდა "უახლესი Ecce homo, ე.ი."დასავლეთის ნამდვილად სანდო კაცი" ამერიკის წინამძღოლობით, რომელმაც(გორბაჩოვმა) გაუთავებელი ბრძოლა ელცინთან და რესპუბლიკებთან, წარმატებით აწარმოა."

"ზე-სახელმწიფოების "მომეცი და მოგცემ"= do ut des - ბისნესში, საბჭოთა კავშირმა უნდა გამოამჟღავნოს მსოფლიო პოლიტიკაში კეთილი ყოფაქცევა. მოსკოვმა უნდა დაეხმაროს ვაშინგტონის პოლიტიკას და არასოდეს მას ხელი არ უნდა შეუშალოს, იქნება ეს დამატებითი დახმარება თუ როგორც დამხმარე პოლიციელი. გამოცდა ამ დებულებისა მოხდა სპარსეთის ყურეში ომის დროს, რომლის წლისთავი 2 აგვისტოს აღინიშნა".

"1990 წლის 2 აგვისტოდან, როცა სადამ ჰუსეინი ქუვეითს თავს დაესხა, 1991 წლის 16 იანვრამდე, როცა ომი დაიწყო ერაყის წინააღმდეგ, საბჭოთა დიპლომატია აწარმოებდა მოქნილ ორმაგ-თამაშს: ერთი მხრივ გორბაჩოვი იდგა ბუშის უკან... მეორე მხრივ განსაკუთრებული ურთიერთობა დაამყარა სადამ ჰუსეინთან, რომ გამანადგურებელი დარტყმა მის ყოფილ კლიენტზე თავიდან აეცილებინა. უკანასკნელ წუთში კი - და ეს არის გადამწყვეტი - თავისუფალი მოქმედების გზა გაუხსნა ამერიკას, სამი კონტინენტის იმ გზაჯვარედინზე, რომელზეც გაბატონებისათვის რუსეთი, სულ ცოტა, უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში იბრძოდა ჯერ ინგლისის, შემდეგ ამერიკის წინააღმდეგ".

"თავისუფალი მოქმედება საზღვაო ზესახელმწიფოსათვის საბჭოთა კავშირის ეზოს წინ - ეს არის ისეთი დიდი დიპლომატიური რევოლუცია, როგორც საბჭოთა იმპერიის დანგრევა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. სახელმწიფოთა ურთიერთობის ისტორიაში არ მოიპოვება ასეთი რადიკალური უკან დახევა ერთად ორი ფრონტიდან, სულ ცოტა, სისხლიანი ომის გარეშე...ფაქტი კი არის ის, რომ

დღეს, და შესაძლებელია ამ საუკუნის დასასრულამდე, გამოთქმა - "დიდი ორი" თუ "ბიპოლარულობა",სულ ვიდი,მეტაფორაა და არა რეალური ძალის გამოხატულება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის".

აი, ასე წერდა,სხვათა შორის, გერმანელი კომენტატორი კრემლისა და ვაშინგტონის ურთიერთობის შესახებ ჯორჯ ბუშისა და მიხეილ გორბაჩოვის უმაღლესი დონის "ბიზნესის" შესახებ მოსკოვში...და კიევში.

III.

ამის შემდეგ სსრკ-ში საქმეები ისე არ წარიმართა, როგორც ამას მიხეილ გორბაჩოვი და ჯორჯ ბუში ვარაუდობდნენ. 1991 წლის 19-22 აგვისტოს პუტჩს მოსკოვში მოყვა არა მარტო პუტჩისტების დამარცხება, არამედ სსრკ-ს დაშლაც, რის შედეგად წარმოიშვა ე.წ.-ი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", ქალაქ ალმა-ატაში, 1991 წლის 21 დეკემბერს, რომელშიც გაერთიანდნენ სსრკ-ს ყოფილი თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა. ლიტვა-ლატვია-ესტონეთი კი მანამდე გახდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც თვით საბჭოთა რუსეთმაც კი დე ფაქტო და დე იურე იცნო, ხოლო საქართველო აღნიშნულ "თანამეგობრობაში" არ შევიდა, რითაც საქართველო,როგორც სახელმწიფო, განსაკუთრებულ მდგომარეობაში მოექცა, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას წინ გადაეღობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ ე.წ.-ი"შეიარაღებული ოპოზიციის" ბრძოლა თბილისში, რის შედეგად არა მარტო თბილისის გული - რუსთაველი გამზირი დაინგრა, არამედ,რაც მთავარია, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა საქართველოს ტერიტორია დაეტოვებინა და საქართველოს ბატონ-პატრონი გახდნენ "შეიარაღებული ოპოზიციის" ლიდერები - თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი და მათი თანამოაზრენი ე.წ.-ი "სამხედრო საბჭოსა" და "დროებითი მთავრობის" მეშვეობით. 1992 წლის მარტში, ედუარდ შევარდნაძე, როგორც "მხსნელი", მოევლინა საქართველოს და უკვე 10 მარტს(1992 წ.) აირჩიეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარედ, რომლის შედეგად გახდა იგი ისევ საქართველოს "პირველი ხელმძღვანელი", მაგრამ ახლა არა როგორც კომუნისტი, არამედ როგორც დემოკრატი.

ამასობაში, მსოფლიო პოლიტიკაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: აშშ-ს პრეზიდენტი უკვე ბილ კლინტონია; რუსეთის პრეზიდენტი - ბორის ელცინია; პატარა საქართველოს სახელმწიფო მეთაური კი ედუარდ შევარდნაძეა, უკვე დამარცხებული შიდა ქართლსა და აფხაზეთში.

IV.

საქმე იმაშია, რომ ამჯერად ედუარდ შევარდნაძე -, როგორც "საბჭოთა პენსიონერი"(მც-9.3.92), - "უნიპოლარული" მსოფლიოს თანა-შემქმნელია, ვინაიდან მან, როგორც მიხეილ გორბაჩოვის "მარჯვენა ხელმა", დიდი როლი ითამაშა საბჭოთა იმპერიის დანგრევაში, რის შედეგად მას დიდ პატივს სცემენ .

დასავლეთში, განსაკუთრებით აშშ-ში და გერმანიაში, რადგან "საბჭოთა იმპერიის" დანგრევის შედეგად გერმანია გაერთიანდა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი "ზე-სახელმწიფო" გახდა, და ამერიკის ხალხი ჯორჯ ბუშს არა მარტო აშშ-ს პრეზიდენტს, არამედ "მსოფლიო პრეზიდენტს" უწოდებდა,რა თქმა უნდა, ირონიულად.

V.

მაგრამ რეალური მდგომარეობა "უნიპოლარული",ე.ი."ერთპოლუსიანი" მსოფლიოს პირობებში მეტად სერიოზულია, რაც,გასაგებია,"ირონიულობის" საზღვრებიდან მეტად შორსაა: ჯორჯ ბუშმა, ამერიკის პრეზიდენტმა, მაგალითად, 1991 წლის სექტემბრის(24.9.91), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, სხვათა შორის, თქვა:"არ არსებობს პაქს-ამერიკანა,(ე.ი."ამერიკული მშვიდობიანობა"), მაგრამ არსებობს პაქს-უნივერსალის, (ე.ი."უნივერსალური მშვიდობიანობა")." მაგრამ საიდან წარმოიშვა "პაქს-ამერიკანას",ე.ი."ამერიკული მშვიდობიანობის" იდეა? - როგორც ცნობილია, ეს ცნება პირველად წარმოიშვა რომის კეისრების ეპოქაში - "პაქს-რომანას",ე.ი., "რომაული მშვიდობიანობის" სახელწოდებით, კეისარ ავგუსტის(63 წელი ჩვენს ერამდე - 14 წელი ქრისტეს დაბადების შემდეგ) დროს, რასაც "პაქს-ავგუსტიხავ" უწოდებდნენ, რამიც რომაელთა ეთიკითა და იურიდიული ნორმებით განმტკიცებული რომაული იმპერია ესმოდათ, რომელსაც, კართაგოს დამხობის შემდეგ, უკვე სერიოზული მოქიშპე, ე.ი."მეორე ზე-სახელმწიფო" აღარ გააჩნდა. ანალოგიურია "პაქს-ბრიტანიკას" ცნება, როგორც ამას უწოდებდნენ ინგლისელი პოლიტიკოსები "ბრიტანეთის იმპერიას",რომელშიც ისინი გულისხმობდნენ თავისუფალი ზღვებისა და ვაჭრობის გზით მშვიდობიანობის უზრუნველყოფას მთელს მსოფლიოში, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

"პაქს-ბრიტანიკას" ბატონობა ხანმოკლე გამოდგა, ნაპოლეონის დაცემიდან - მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისამდე. "პაქს-ბრიტანიკას" მოჭინაღმდეგეები კი სამართლიანად ხედავდნენ მასში იმპერიალისტური ძალაუფლების პოლიტიკის იდეოლოგიურ ნიღაბს. და ვითომ ანალოგიურია ჯორჯ ბუშის მიერ საერთაშორისო არენაზე გადმოსროლილი ცნება "პაქს-უნივერსალის"="უნივერსალური მშვიდობიანობა"?.. ამ ცნების უკან ხომ არ იმალება "პაქს-რომანას" თუ "პაქს-ბრიტანიკას" მსგავსად, - "პაქს-ამერიკანა"="ამერიკული მშვიდობიანობა", ე.ი. ამერიკული ეთიკისა და იურიდიული ნორმების მეშვეობით საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა, თუ ეს შესაძლებელია საერთოდ?.. თუ "პაქს-ამერიკანას" ცნება ამერიკული იმპერიალიზმის "იდეოლოგიური ნიღაბია?.."

VI.

ამ კითხვაზე, ნაწილობრივ, პასუხს იძლევა პენტაგონის, აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს გეგმები, რომელიც 1992 წლის 8 მარტს გამოაქვეყნა ამერიკის დიდმა გაზეთმა "ნიუ-იორკ-ტაიმსმა", რომელიც გვაწოდებს "პენტაგონის გეგმების" მთავარ მიზანდასახულობას:

ამერიკის შეერთებული შტატები, ნათქვამია ამ გეგმაში , - უნდა დარჩეს ერთადერთი "ზე-სახელმწიფო" და შესაძლებელი "კონკურენტები"="მოქიშპეები", როგორც, მაგალითად, გერმანია ან იაპონია, - უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ მათ არ ესაჭიროებათ მისწრაფება უფრო დიდი როლისაკენ საერთაშორისო პოლიტიკაში, ან უფრო აგრესიული მოქმედება, რომ მით მათი ინტერესები დაიცვან. მართალია, ეს "ნიუ-იორკ-ტაიმსის" მიერ 8 მარტს გამოქვეყნებული "პენტაგონის გეგმა"არის ე.წ-ლი"თავდაცვის გეგმის მთავარი მიმართულება",რომელსაც პენტაგონი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ადგენს და "ეროვნულ უშიშროების საბჭოსა" და "თეთრ სახლს" წარუდგენს განსახილველად, მაგრამ კონცეფცია ნათელია: მასში მოცემულია აშშ-ს "კეთილი ნებელობის ბატონობა", რომლის დროს, როგორც ჩანს, ამერიკა ეყრდნობა არა უშიშროების კოლექტიურ სისტემებს, როგორც მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას,არამედ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას რეგიონალური და მსოფლიო მასშტაბის კრიზისების აცილების საქმეში. პენტაგონის ამ გეგმაში ნათქვამია აგრეთვე, რომ მსოფლიოს მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებს უნდა "ვურჩიოთ", რომ კითხვის ქვეშ არ დააყენონ ამერიკის წამყვანი როლი, ან შეეცადონ "მოცემული პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის" შეცვლას. ამერიკა, მართალია, მხარს უჭერს ევროპის ინტეგრაციას, მაგრამ არ უნდა იქნას დაშვებული წმინდა ეროვნული უშიშროების სისტემის შექმნა, რაც "ნატოს" ძირს გამოუთხრიდა. ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კი მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს რუსეთისა და უკრაინის გადაყვანას დემოკრატიასა და საბაზრო მეურნეობის სისტემაზე. და თუ საშიშროება საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებიდან შეიქმნება, მაშინ აშშ-ს შეუძლია განიხილოს საკითხი უშიშროების გარანტიების გავრცელებისა შუა- და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე, როგორც ეს მოხდა სპარსეთის უბის ომის დროს. ეს ნატოს მოქმედების სფეროს გაფართოებისაკენ მიუთითებს.

VII.

აღნიშნული ფაქტები მიუთითებენ იმისაკენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები "უნი-პოლარული"="ერთ-პოლუსიანი" მსოფლიოს შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვის, რომლის "პოლუსი", ნათელია, ვაშინგტონია , და მისი "კეთილი ნებელობის ბატონობა" უნდა აღიაროს არა მარტო ისეთმა ინდუსტრიულმა გიგანტებმა,როგორიცაა გერმანია და იაპონია, არამედ ჩინეთმა, რუსეთმა, საფრანგეთმა, ინდოეთმა თუ ინგლისმა; ხოლო სხვა "მოდიოთ" თუ "პატარა" სახელმწიფოები საერთოდ , ანგარიშშიც კი არ არის შეტანილი, და მათ რიცხვშია, გასაგებია, ჩვენი სამშობლო საქართველოც.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოაცხადეს ბორის ელცინმა (რუსეთი), სტანისლავ შუშკევიჩმა(ბელორუსია) და ლეონიდ კრავჩუკმა(უკრაინა) 1991 წელს, რასაც მოყვა სსრკ-ის პრეზიდენტის გადადგომა 1991 წლის 27 დეკემბერს, რასაც - თავის მხრივ მოყვა - საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება, თუმცა საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა 1991 წლის 9 აპრილს - 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად.

მაგრამ საქართველოს დღევანდელი რთული მდგომარეობა,-რომლის დასაწყისია 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედია, როცა რუსეთის ჯარმა თბილისში სისხლის ღვარი დააყენა და საწამლავი ნივთიერებაც კი გამოიყენა მშვიდობიანი

დემონსტრანტების წინააღმდეგ, რასაც დიდი მსხვერპლი მოყვა ორლესილი ბა-რებით დაჩეხილებისა და მოწამლულთა სახით, - ხელოვნურად შექმნა რუსეთმა და გამოუცხადებელი ომი დაიწყო შიდა ქართლსა და აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ ოსი და აფხაზი ექსტრემისტების ნიღბის ქვეშ, რასაც, თავის მხრივ, მოყვა საქართველოს დაჩოქება სოხუმში 1993 წლის 27 სექტემბერს. ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობა კი რუსეთმა აყარა საქართველოს კუთხე აფხაზეთიდან და დევნილებათ აქცია თვით საქართველოში. ახლა კი - გაეროს ეგიდით - რუსეთის შეიარაღებული ძალები "ცისფერი ქუდებით" განლაგებულია ენგურის პირას და ქართველობას გადაკეტა სამშობლოში დაბრუნების გზა. და, ჩვენის აზრით, რუსეთი აწარმოებს ამგვარ იმპერიულ ვაი-პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რადგან მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთი ზე-სახელმწიფოა - ამერიკის შეერთებული შტატები -, რომელმაც, როგორც ჩანს, რუსეთს ხელი გაუხსნა ამიერკავკასიაში და რუსეთი, გორბაჩოვი იყო მისი ხელმძღვანელი თუ დღეს ბორის ელცინია, -ისე მოქმედებს, რომ საქართველოს, ქართველობას არავითარი - არც სამხედრო და არც დიპლომატიური - საშუალება არ გააჩნია წინ აღუდგეს რუსეთის ამგვარ მართლაც ვაი-პოლიტიკას საქართველოს, ქართველი ერის მიმართ.

და ამერიკის დუმილი, რაც თანხმობას ნიშნავს, არ ადასტურებს იმას, რომ "უნიპოლარული" მსოფლიო დაღუპვაა, რადგან საქართველოსავით პატარა სახელმწიფოებს არავითარი საშუალება არ გააჩნიათ წინ აღუდგეს რუსეთის იმპერიალიზმს, რადგან ვაშინგტონი დუმილით ხვდება მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკას საქართვე-ში; "ევროპა კი მოწმეა საქართველოს ნელი სიკვდილის...", როგორც ამას პარიზის ერთი გაზეთი წერს.

VIII.

მაგრამ "საჭაბური კითხვა": ვითომ შესაძლებელია "ერთ-პოლუსიანი" მსოფლიოს შენარჩუნება, როგორც ეს დღეს არსებობს "საბჭოთა იმპერიის" დანგრევის შემდეგ, და, საერთოდ, სასურველია "უნი-პოლარული" მსოფლიოს არსებობა?.. თუ დემოკრატია პოზიცია-ოპოზიციის "დაუნდობელი" ბრძოლაა, თუ საბაზრო მეურნეობა კონკურენციის "დაუნდობელი" ბრძოლის არენაა, თუ თეზისი-ანტითეზისი-სინთეზი "განვითარების" მოტორია, -მაშინ მსოფლიო არ უნდა იყოს, "უნიპოლარული კი არა, "ბი-პოლარული" თუ "მულტი-პოლარული", ე.ი. "ორ-პოლუსიანი" თუ "მრავალ-პოლუსიანი?.."

IX.

და ყველაფერ ამას ვითომ უშუალო კავშირი არ აქვს ჩვენს პატარა საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან და ამით ჩვენი ხალხის დამოუკიდებელ ცხოვრებასთან?.. მაგალითად, გორბაჩოვის თუ ელცინის რუსეთი, როგორც ჩანს, საქართველოს არ "წყალობდნენ" და "არ წყალობენ", და იმასაც კი გვისაყვედურებენ, რომ თითქოს რუსეთში თავისუფლებაა, ხოლო საქართველოში - არა, და "მხსნელად" ედუარდ შევარდნაძე მოგვივლინა. ანალოგიურად აფასებს საქართველოს მდგომარეობას ჯორჯ ბუში თუ ჯეიმს ბეიკერი, როცა პირველმა კიევში თქვა, რომ "თავისუფლება დამოუკიდებლობა არ არის", ხოლო მეორემ პირდაპირ დაიმუქრა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას არ ვიცნობთო.( შემდეგ შეიცვალა თავისი აზრი, რადგან საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე გახდა გადაიბარა საქართველოს ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტის ფუნქცია, უკანონოდ, როგორც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ). და ასეთ პირობებში საჭირო არ არის, რომ მსოფლიო იყოს არა "უნი-პოლარული", არამედ "ბი-პოლარული" მაინც, რომ საქართველოს, ქართველ ხალხს შეეძლოს ბუშ-ბეიკერის თუ გორბაჩოვ-ელცინის "განაჩენის" გადასინჯვა "მეორე ზე-სახელმწიფოს" შემწეობით, რომელიც დღესდღეობით არსად ჩანს?..

X.

და აქ მაგონდება - საქართველოს მაგალითის სფეროში რომ დავრჩეთ - საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორია ჩვენი ერის "ოქროს ხანის" დაცემის შემდგომ პერიოდში: საქართველომ თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მიუხედავად შინაგანი დაქუცმაცებისა, შეინარჩუნა 1801 წლამდე იმის წყალობით, რომ ჩვენმა დიპლომატებმა და მეფეებმა დიდი დიპლომატიური ხელოვნება გამოიჩინეს საქართველოს დამოუკიდებლობის უშუალო მტრების - თურქეთ-სპარსეთ-რუსეთის - მიმართ, რომლის ერთს ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს იყენებდა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაჩანაგება მაშინ დაიწყო, როცა საქართველოს დიპლომატიამ კი არ განაგრძო ამ სამ-მეზობელ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობათა გამოყენება, არამედ რუსეთს მიემხრო, რაც საბედისწერო გამოდგა საქართველოსათვის დღემდე.

XI.

ამდენად,"უნიპოლარული" მსოფლიოს არსებობა არა მარტო არა-სასურველია, არამედ შეუძლებელია, რადგან არ არსებობს ძალა, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა ვაშინგტონის "კეთილი სურვილის ბატონობას";"წინააღმდეგობის გაწევა" კი საჭიროა, აუცილებელია, თუ ჩვენ არ გვსურს თეზის-ანტითეზის-სინთეზის დიალექტიკური პროცესის და ამის საერთო განვითარების პროცესის გაყინვა, რაც - თავის მხრივ - შეუძლებელიცაა. ამიტომ - ვაშინგტონს სურს ეს თუ არა -, შორს არ არის ის დრო, როცა საერთაშორისო არენაზე გამოჩნდება არა მარტო"მეორე", არამედ "მესამე" თუ "მეოთხე" "ზე-სახელმწიფო" - იქნება ეს გერმანია, იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი თუ თვით რუსეთი. ამ დიალექტიკური პროცესის დროებითი "შეჩერება" თუ შესაძლებლად გვეჩვენება, მისი აღკვეთა კი შეუძლებელია. და ამ "გიგანტების",ვიმედოვნებთ, მშვიდობიან"მოქმედებაში" შესაძლებელია შევინარჩუნოთ ჩვენც ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, თუ ჩვენ ჩვენს აღნიშნულ ტრადიციულ დიპლომატიას დავუბრუნდებით. პოლიტიკა ყოველთვის იყო, არის და იქნება შესაძლებლობის ხელოვნება, რომლის ეკონომიკური ბაზა ეყრდნობა "დო უტ დეს"="მომეცი და მოგცემ" , ესე-იგი, სა-ერთა-შორისო ურთიერთობა "ანგარიშზეა" დამყარებული თვით"ზე-სახელმწიფოებთანაც" კი, და ამიტომაც სასურველია ორი- ან მეტი "ზე-სახელმწიფოს" არსებობა, რომ "ენის-ამოღების" შესაძლებლობა გააჩნდეს ისეთ პატარა სახელმწიფოსაც კი, როგორიცაა ჩვენი საქართველო.

XII.

მაშ, სად არის ჩვენი ადგილი ერთპოლუსიანი, ორპოლუსიანი, მრავალპოლუსიანი თუ ინდუსტრიულად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებს შორის? - აი, საკითხი, რომელიც დგას საქართველოს სახელმწიფოს, ქართველი ერის წინაშე. ისტორიულად საქართველო ევროპის კულტურის სფეროში შედის, თუმცა ერეკლე II-ის 1783 წლის ქართ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის დადებული ე.წ.-ლი ტრაქტატით ჩვენი ისტორიული ტრადიციული პოლიტიკური კურსი შეიცვალა, როცა ჩვენი უშუალო მეზობლების რუსეთის, თურქეთისა და ირანის იმპერიული ქიშპობის პროცესში, ამ ძალების დიპლომატიური მერყეობის პოლიტიკაზე უარი თქვა, რასაც მოჰყვა რუსეთის თითქმის ორას-წლოვანი გაბატონება საქართველოზე. მაგრამ დღეს, არა მარტო ტექნიკის განვითარების, არამედ მასზე დაყრდნობით და მისგან გამომდინარე მსოფლიო ერების სა-ერთა-შორისო გაგება იმდენად შეიცვალა, რომ სა-ერთა-შორისო ურთიერთობამ გლობალური ხასიათი მიიღო, რომლისაგან, გასაგებია, გამომდინარეობს რეგიონალური, ჩვენს შემთხვევაში, კავკასიის ურთიერთობის საკითხიც. ის დრო, როცა თურქეთი, ირანი თუ რუსეთი ნებისმიერ ქვეყანას, ან მის ნაწილს იპყრობდა და იმპერიის განუყოფელ ნაწილად აცხადებდა, ვფიქრობთ, სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას, თუმცა სახელმწიფო საზღვრების ნებაყოფლობითი შეცვლა მაინც ძნელად წარმოსადგენია. ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტის მუქარა საქართველოს, ქართველი ერის მიმართ - თუ რუსეთი არა,თურქეთი დაგვიპყრობს - იმპერიული ფანდია, რომლითაც "ძველი" თუ "ახალი" იმპერიალისტები იმპერიის აღდგენის თუ შენარჩუნებისათვის იბრძვიან. დღეს უკვე არავის არ შეუძლია დიდი თუ პატარა ერის ისე დაჩაგვრა-დამონება, რომ მასზე მსოფლიო არ ალაპარაკდეს, თუმცა დაპყრობილ, დამონებულ ერების რიცხვი არც ისე მცირეა მსოფლიოში.

საქართველო, ქართველი ერი კი, - რჩება რა ევროპის კულტურის სფეროში და ამით ევროპის პოლიტიკურ,კულტურულ,ეკონომიკურ,სოციალურ მონაპოვართა ოჯახში,-უნდა დარჩეს მსოფლიოს მრავალპოლუსიანობის მომხრე, რომ ჩვენ ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს ტრადიციულ საგარეო პოლიტიკას არა მარტო საქართველოს უშუალო მეზობლების მიმართ. მსოფლიოს განსაზღვრული რეგიონების რომელიმე ზე-სახელმწიფოს გავლენის სფეროდ გამოცხადება, ხდება ეს ღიად თუ ფარულად, გადალახული უნდა იქნას. ეს ადვილი საქმე არ არის, როცა "ადამიანი ადამიანისათვის" და "ერი ერისათვის" მგელია, გამომთვლელი მანქანებისა და ტექნიკის ეპოქაშიც, მაგრამ თავისუფლება იყო, არის და იქნება გამოწვევა, რომელსაც ყოველდღიური, განუწყვეტელი განხორციელება ესაჭიროება. ამისათვის კი უფრო ნაყოფიერია მრავალპოლუსიანი მსოფლიო, რომ ყოველ ერს გააჩნდეს რეალური საშუალება არ მოექცეს რომელიმე ერთი ქვეყნის გავლენის ქვეშ, თუნდაც ის იყოს დემოკრატიული.

XIII.

მართალია, რომის "უძლეველმა" იმპერიამ "გამოთიშა" კართაგის "მეორე იმპერია" და გახდა მაშინდელი "ევროპული" სამყაროს ერთადერთი ბა-

ციონი, მაგრამ ძალუძს მან "პატარა" ხალხების-სახელმწიფოების" უგულებელყოფა და მათი დამორჩილება?.. შეიძლება მსოფლიო, საერთოდ, "უნიპოლარული" გახდეს?.. ეს ილუზია არ არის, რომელსაც, პირველყოვლისა, თვით "ზე-სახელმწიფოები" ეწირება?..და ამის მაგალითად არ გამოდგება აღნიშნული რომისა და კართაგენის ისტორიული ბედი?.. და ვითომ "პატარა სახელმწიფოები","პატარა ერები" უფრო ცხოვრებისუნარიანია,ვიდრე ჰიპერტროფირებული "ზე-სახელმწიფოები?.."

კითხვები, კითხვები, კითხვები, რომლის პასუხათ, შეიძლება, "პატარა საქართველო", "პატარა ქართველი ერი" გამოდგება, რომელმაც უხსოვარი დროიდან შეინარჩუნა თავისი ეროვნული მეობა, თუმცა მრავალი "ზე-სახელმწიფოს" დასამარება-გაქრობის მომსწრეა.

XIV.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვუსურვებთ ამგვარი ბედი გაიზიარონ მსოფლიოს დღევანდელმა "ზე-სახელმწიფოებმა", მაგრამ "უნიპოლარული" მსოფლიო იმ მარტივი მიზეზის გამოც საზიანოა მსოფლიოსათვის, რომ მას მოწინააღმდეგე აღარ გააჩნია და თვითნებურადაც შეუძლია სხვა, განსაკუთრებით პატარა ქვეყნების ბედი გადაწყვიტოს, როგორც ეს ახლა საქართველოს მიმართ          როგორც ჩანს, რუსეთს მთელი ქართველობის ფიზიკური განადგურების გზაზე დაყენებაც კი შეუძლია, რადგან ამერიკა დუმს; დუმილი კი თანხმობის ნიშანია.

XV.

თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 1776 წლის 4 ივლისის "დამოუკიდებლობის აქტით" მსოფლიოს ყოველი დიდი და პატარა ერის თავისუფლების სიმბოლოცაა, მაგრამ როგორ უნდა დამყარდეს წონასწორობა საერთაშორისო მასშტაბით თუ, ვთქვათ, მეორე "ზე-სახელმწიფო" არ არსებობს, რომელიც მიუთითებდა პირველ "ზე-სახელმწიფოს", ამ შემთხვევაში, ამერიკას მოქმედებისაკენ საქართველოს სასარგებლოდ; მით უმეტეს, რომ "ევროპა საქართველოს ნელი სიკვდილის დამხმარეა", როგორც ამას პარიზის ერთი გაზეთი წერს?...

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1994 წლის 12 მაისი

---

## კანონის უზენაესობა

"კანონის უზენაესობა არის დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი, რომლის უგულებელყოფა უდრის დემოკრატიის უგულებელყოფას. პოზიცია-ოპოზიცია ერთნაირად იცავს კანონის უზენაესობას, თუმცა საჭირბოროტო პრობლემების მოგვარების გზის განსაზღვრისას დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს კონსტრუქციული კრიტიკის გზით. იარაღის ძალით კანონის უზენაესობის დარღვევა დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლების დარღვევას უდრის. არავინ არ დგას კანონზე მაღლა. დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე ემორჩილება და იცავს კანონს, რადგან იგი ემორჩილება თავის საკუთარ თავს, რადგან იგი არის, როგორც ამომრჩეველი თუ არჩეული, კანონის შემქმნელი; და როდესაც კანონები, თვით ძირითადი კანონის - კონსტიტუციის ჩათვლით, შექმნილია სახელმწიფო ხალხის უმრავლესობის მიერ და მათ ესმით, რომ ამ კანონებს თვითონვე უნდა დაემორჩილონ, მაშინ მოქმედებაშია როგორც სამართალი, ისევე დემოკრატია. კანონის ამგვარი უზენაესობა კი ზღვარს უდებს კანონის ბოროტად გამოყენებას როგორც ცალკეული პირის, ისე რომელიმე ჯგუფის მიერ".

კ.ი., 1993 წლის 18 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს   ბ ა ღ ი"

## ც ნ ო ბ ა

### ათონის წმინდა მთაზე(საბერძნეთი) მოგზაურობის შესახებ

### 5-18 სექტემბერი,1993 წ.

"ამპარტავნებათა ამპარტავნება,
ყველაფერი ამპარტავნებაა, რაც
სიკვდილის შემდეგ არ არსებობს!"

"Eitelkeit der Eitelkeiten, und alles ist
Eitelkeit, was nicht nach dem Tode exis-
tiert".

Salomon(Ekkl.A,2)

1.

"ღვთისმშობლის ბაღი" -ასე მონათლეს ათონის წმინდა მთა საბერძნეთში, რომელსაც აგრეთვე მართლმადიდებლობის აკროპოლსაც უწოდებენ, სადაც განლაგებულია 20 მონასტერი. ათონის მთას უწოდებენ "წმინდა მთას"-Hagion Oros -მართლმადიდებლობისა, რომელიც განლაგებულია აღმოსავლეთ მხარეს ქალკიდონის სამი ნახევარკუნძულიდან. ათონის მთა არის დაახლოებით 60 კილომეტრის სიგრძისა და 8-12 კილომეტრის სიგანის ნახევარკუნძული დაახლოებით 360 კვადრატული კილომეტრის ფართობით.ათონის ნახევარკუნძულის ყელის ზედაპირი არის დაბლობი, რომელიც თანდათანობით მაღლდება, რომელთა ზღვაში შეჭრილი დასავლეთი ნაწილი რამდენიმე მაღალ მთას წარმოადგენს, რომელთა მწვერვალია მარმარილოს 2030 მეტრის სიმაღლის ათონის წმინდა მთა, რომელიც თითქმის ყოველთვის დაფარულია თოვლით.

2.

ათონის მთის შესახებ, გასაგებია, არსებობს რამდენიმე,ერთმანეთისაგან განსხვავებული ლეგენდა. ანტიკურ პერიოდში ათონის მთას ეწოდებოდა აკტე. სპარსეთის მეფეს ქსერხეს(481 წელს ქრისტეს წინ) სურდა ამ ნახევარკუნძულის ყველაზე უფრო ვიწრო ყელში გაეყვანა არხი, რომ მისი იალქნიანი გემები ადვილად გაეყვანა ათონის ნახევარკუნძულის დასავლეთით საბერძნეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, რადგან ათონის ნახევარკუნძულის შემოვლა არა მარტო დიდ დროს მოითხოვდა, არამედ ამ კუნძულის აღმოსავლეთით ეგეის ზღვაც თითქმის ყოველთვის მღელვარე იყო, რაც აბრკოლებდა ჯარის სასწრაფო გადაყვანას ამ ნახევარკუნძულის დასავლეთით; თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ქსერხეს ეს არხი არასოდეს არ გაუყვანია; ის მხოლოდ ახერხებდა გემების გადაყვანას ამ ვიწრო ყელზე გადაგორებით.

3.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი ლეგენდა, რომელსაც მრავალი ისტორიული წყარო გააჩნია: ალექსანდრე მაკედონელის არქიტექტორს სტასიკრატეს სურდა მთელი ათონის მთის დამუშავება, რომ მისთვის მიეცა ალექსანდრე მაკედონელის ფიზიოლოგიური კამომეტყველების ფორმა, რომლის ერთერთ ხელზე აშენებული უნდა ყოფილიყო ხალხმრავალი ქალაქი; ხოლო მის მეორე ხელიდან ზღვაში უნდა ჩასულიყო ნაკურთხი მდინარე. ალექსანდრე მაკედონელს კი უარყვია მისი არქიტექტორის ეს იდეა და უბრძანებია ათონის მთისათვის ხელი არ ეხლო.

პლუტარქე(დაიბადა დაახლოებით 46 წელს ახალი წელთაღრიცხვით) კი ამის შესახებ ასე წერს: "ალექსანდრემ...ამჯობინა, ყველა ხელოვანზე უფრო მეტად დაყრდნობოდა სტასიკრატეს, რომელიც ჩვეულებრივ, მუდამ იძლეოდა ხოლმე დაპირებას, რომ თავისი აქამდე გაუგონარი ხელოვნებით შეჰქმნიდა რაღაც საუცხოოს, გოლიათურსა და ზვიადურს. ჯერ კიდევ წინათ, სტასიკრატე ალექსანდრეს შეხვდა, მან მთავარსარდალს უთხრა, რომ თრაკიის მთას, ათონს, ყველა მთაზე უკეთესად შეუძლია მიიღოს ადამიანის გამოსახულებაო. და თუ შენ მიბრძანებო, - ეუბნებოდა იგი მას, - ათონის მთას შენი სახელის უკვდავსაყოფად მარადიულ და ბრწყინვალე ძეგლად გადავაქცევ; მარცხენა ხელი შენ შემოხვეული გექნება ათი ათასი კაცით დასახლებული ქალაქისათვის, ხოლო მარჯვენა ხელთ გეპყრება კალაპოტი წყალმრავალი მდინარისა, რომელიც თავის ტალღებს ზღვისკენ წარმართავსო. ალექსანდრემ სტასიკრატეს ამ წინადადებაზე მაშინ უარი სთქვა..." (პლუტარქე: "ალექსანდრე მაკედონელი". თბილისი. 1957 წ., გვ.189).

ვითომ ალექსანდრეს არ სურდა ქსერქსესავით მისი თავმომწონეობის ლეგენდა შეექმნა?..

თუ პლუტარქეს (59-125 ქრ.შემდეგ?)დავუჯერებთ, ალექსანდრე მაკედონელი, მართალია, "დიდხანს იჯდა ხოლმე სუფრასთან, მაგრამ იმდენ დროს ღვინის სმა-

ში არ აჭარებდა, რამდენხაც ენამრავლობას ანდომებდა". "...მაგრამ მერე აუ-
ცანელი გახდა თავისი ცრაზახით". ალექსანდრე მაკედონელს ცრაზახი ესაჭირო-
ბოდა?!..

4.

ამპარტავნობა, თავმომწონეობა, ცრაზახი ვითომ 'ღროს დაზოგვაა', როგორც
ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ ჩვენი ცხოვრების დროს დინება, რომელიც გა-
ნუწყვეტლივ შემოუბრუნებლად მიედინება, გახანგრძლივებული, ახალანი გახდ-
ეს?.. თუ სამართლიანნი, როგორც სოლომონის სიბრძნე გვასწავლის, მარადიულად
ცხოვრობენ როგორც 'ამ', ისე 'იმ' ქვეყანაში, სადანაც, როგორც მექსპირი
ამბობს, არავინ უკან არ დაბრუნებულა?..

5.

მეორე მხრივ, დრო ყველაფერს სპობს, ამსხვრევს, ანადგურებს!.. სად გაქრა
ქალაქები, სასახლეები, 'შვიდ სასწაულთა' ნაგებობანი, თუმცა ისინი, ერთი
მხრივ, ადამიანის გონისა და ხელისაგან იქნენ შექმნილი, მაგრამ, მეორე მხრივ,
უსულო მასალისაგან შესდგებოდა?.. დრო, 'ჩარხის უკუღმა ტრიალი' ვითომ ქვა-
საც ამსხვრევს, ანადგურებს?.. და თუ ეს ასეა - და ეს ასეა უთუოდ - მაშინ
უკვდავია სული, რომელიც უსულო ქვაშიც კი სახლობს,.რადგან აღნიშნულ ნა-
გებობათა შექმნისას ქვაშიც კი სული შთაბერა ადამიანის ღვთიურმა გონმა?..
და ამგვარი ღვთიური ბუნებრივი გონისაგანაა მოვლენილი მთელი ათონის მთა,
რომელსაც წმინდა სული შთაბერა ღვთიურმა ადამიანმა?.. და ვითომ სიცოცხლე-
სიკვდილის საზღვარია, მ ამით მარადიული იყო და დარჩა ათონის მთა იმიტომაც,
რომ იქ ადამიანი კი არ იბადება, არამედ შედის, გადადის მარადიულობაში?...
და ვითომ ამ მარადიულობაში'ღუმილი'სახლობს, როგორც ამას მექსპირი გვე-
უბნება, თუ გონი, სული განაგრძობს მარადიულ არსებობას, რის დასადასტურებ-
ლად შეიძლება ისიც გამოდგება, რომ ათონის მთა წარმართულ ეპოქაშიც 'წმინდა'
მთა იყო, რასაც ცხადად ნანგრევები, ქვებიც ადასტურებენ, რომლებიც გასუ-
ლიერებული იყო ადამიანის გონისაგან?!..

6.

როგორ უნდა გავიკვლიოთ გზა აზრით ამგვარ ჯუნგლებიდან, როცა ადამიანის ცხო-
ვრება ხანმოკლეა, მეტად ხანმოკლე, რის გამო ერთმა ბრძენმა თქვა:'ადამია-
მა რომ მისი სიცოცხლის ხანმოკლეობა შეიცნოს, უნდა იცხოვროს,ხუთ ცოტა,ხუ-
თასი წელიწადი!'
და როგორ ამბობს ნიზამი(1141-1209), სპარსელი პოეტი?.. "და რა არის ჩვენი
ყოფიერება როგორც ადამიანებისა? მოკლესანს თუ დიდხანს გაგრძელდება ეს, ათა-
სი წელიც კი: ეს სულის ერთი ამოთქმაა, რომელიც მარადიულობაში გადადის. და-
საწყისიდან ცხოვრება სიკვდილს აჭარებს თავისთავში, და ორივე საიდუმლოდ და-
ძმობილებულია როგორც თვალები".

მაგრამ ადამიანი უკვდავი არ არის ოჯახის, გვარის, ტომის,
ერის მეშვეობით, რადგან ერი უკვდავია, მარადიულია თუ იგი მისი მეობის შე-
ნარჩუნებისათვის განუწყვეტლივ ზრუნავს?!.. და ამგვარი ეროვნული უკვდავე-
ბის, მზრუნველობის ტაძარი არ არის ათონის წმინდა მთა, ქართველთა სავანე
'ივერიონის' მონასტრის ჩათვლით?.. და საქართველოს, ქართველი ერის ფიზიკუ-
რი და სულიერის უკვდავების, მარადიულობის კერა არ მოგვეპოვებოდა ჩვენ სა-
ქართველოს საზღვრებს გარედაც, რომლის სიმბოლოა ქართველთა სავანე იერუსა-
ლიმში -'ჯვარის მონასტერი', სხვა მრავალთა შორის?..

7.

V - VIII საუკუნეებში პალესტინაში და სინის მთაზე 20-მდე ქართული სავანე
ყოფილა. თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.
მწიგნობარ-მეცნიერთაგან ცნობილია იოანე-ზოსიმე(X ს.), ეფრემ მცირე(XI ს.),
ნიკოლოზ გულაბერისძე(XII ს.), და სხვ. გოლგოთაც და აღდგომის სავანეც
ქართველების საკუთრება ყოფილა.

ვენეციელი ისტორიკოსის სანუდოს(1270-1343) ცნობით, მხოლოდ ქართველებს
ჰქონდათ უფლება შესულიყვნენ იერუსალიმში ცხენებზე ამხედრებული და გაშლილი
დროშებით.საბოლოოდ ქართველებს ეს უფლება-პრივილეგიები ჩამოართვეს ფრანცის-
კელებმა, XV საუკუნის შუა წლებში.

ქართველთა და ჯვაროსანთა ურთიერთობების ამ ფონზე გასაგები ხდება საღვთო
რომის იმპერიის იმპერატორის ფრიდრის I ბარბაროსას ცდა თავისი ერთერთი
ძისათვის ცოლად შეერთო თამარი. როგორც ჩანს, დამოყვრების ამ ცდას საფუძ-
ვლად ედო გერმანელი შტაუფენებისა და ქართველი ბაგრატიონების ანტიბიზან-
ტიური განწყობილება კონსტანტინოპოლში ანგელოსების დინასტიის გაბატონების
ჟრიიდან.დიდგორის ბრძოლაში,1121 წელს, საქართველოს მხედრობის გვერდით ჯვაროსნე-
ბის რაზმიც იბრძოდა. დავით IV-ს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ჯვაროსანთა შორის.

8.

ჯვრის მონასტერი
დააარსა 1030-1050-იან წლებში გიორგი-პროხორე შავშელმა საქართველოს სამეფო კარის დახმარებით. გადმოცემით, მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც ქრისტე აცვეს. 1273 წელს მონასტერი ჩამოერთვა ქართველებს და მეჩეთად გადაკეთდა. 1305 წელს მეფე დავით VIII-ის მცდელობით იგი ქართველებს დაუბრუნდა. მე-17 საუკუნის დასასრულს ჯვარის მონასტერი, სხვა ქართულ სავანეებთან ერთად, იერუსალიმის პატრიარქოს დაექვემდებარა. ბერძნების სამღვდელოება ჩქმალავდა ჯვრის მონასტრის საქართველოსთან კავშირს, ფრესკები სავანგებოდ შეათეთრეს.

1960 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჯვრის მონასტერს ეწვია სამეცნიერო ექსპედიცია ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის შემადგენლობით. მათ აღმოაჩინეს მთავარ ეკლესიაში ფრესკა, რომელზედაც გამოხატულია ორი წმინდანი - იოანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი და მუხლმოდრეკილი და ხელებაპყრობილი შოთა რუსთაველი, წარწერით:

"ამისა დამხატავსა შოთა(ნ) შეუნდვენ ღმერთმან, ამინ".

პოეტის გამოსახულების ქვემოთ მინაწერია: "რუსთველი". (ქ.ს.ე.).

9.

ქალკედონის ნახევარკუნძულზე(საბერძნეთი) დაარსდა,980-983 წლებში, ივერიონის მონასტერი, რომლის შექმნა დაკავშირებულია იოანე მთაწმინდელისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან. თორნიკე ერისთავმა ბარდა სკლიაროსის ლაშქრის დამარცხების შემდეგ, 979 წელს, ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი,რომელიც მოახმარა ათონის ივერთა მონასტრის მშენებლობას. მონასტრის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობაა;"დიდი ეკლესია" - გუმბათოვანი ტაძარი...

მონასტერი არა მარტო ბიზანტიაში, არამედ საერთოდ ქართველთა სულიერი კულტურის კერა გახდა. აქ აღმოცენდა ლიტერატურული სკოლა, რომელსაც სათავეში ედგნენ ექვთიმე მთაწმინდელი და შემდეგ გიორგი მთაწმინდელი, რომელთა ხელმძღვანელობით X-XI საუკუნეებში გაჩაღდა შემოქმედებითი საქმიანობა. აქ ქართულიდან ბერძნულად ითარგმნა "სიბრძნე ბალავარისა"; დაიწერა ორიგინალური თხზულებები, ქართულად ითარგმნა ბერძნული ლიტერატურის ძეგლები. მე-13 საუკუნიდან ბერძნები თანდათანობით დაეპატრონენ "ივერიონის" მონასტერს; მე-19 საუკუნეში კი მთლიანად დაეპატრონენ მას, თუმცა ქართველი ბერები შემდეგაც აგრძელებდნენ მოღვაწეობას ამ მონასტერში. უკანასკნელი ქართველი ბერი, გვარად ფადავა, გარდაცვლილა 1912 წელს. 1900 წელში კი "ივერიონის" მონასტერში 51 ქართველი ყოფილა. (ქ.ს.ე.).

10.

ათონი გახდა, VII-VIII საუკუნეებში განდეგილებისა და მონაზვნების თავშესაფარი. მე-8 საუკუნის ბოლოს, ქართველ მონაზვნებს ათონზე მცირე სავანე "ათო" დაუფუძნებიათ. მაგრამ შემდეგ, არაბთა თავდასხმების შედეგად, ათონის მთა რამდენიმეჯერ გაუკაცრიელებულა.

პირველი დიდი მონასტერი -"დიდი ლავრა" - ათონის მთაზე ააგო 963 წელს ათანასე ათონელმა; მის სიცოცხლის დროს დაარსდა ათონის მთაზე აგრეთვე "ვატოპედის" მონასტერი და "ივერთა" მონასტერი. ბერძნებსა და ქართველებს გარდა, აქ მონასტრები ააშენეს სერბებმა -"სილანდარი", ბულგარელებმა -"ზოგრაფუ", რუსებმა -"როსიკონი", და სხვა. მე-15 საუკუნეში ათონის მთაზე არსებობდა 30 მონასტერი 30-ათასამდე მცხოვრებით. ბიზანტიის იმპერიის დაცემის ხანაში, როცა ოსმალებმა დაიპყრეს თესალონიკე(1430 წ.), ყოველწლიური გადასახადის პირობით, ათონის მონასტრებს მმართველობისა და კულტის თავისუფლება მიანიჭეს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ათონი საბერძნეთის შემადგენლობაში შევიდა.

ათონის უმაღლესი იურისდიქციის უფლება კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელშია. მაგრამ ათონის წმინდა მთას მართავს ათონზე განლაგებული 20 მონასტრის ოცი წარმომადგენლისაგან შემდგარი საბჭო. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მორიგეობით არჩეულ საბჭოს ოთხ წევრსა და კრების თავჯდომარეს - პროტოსს, რომლის ადგილსამყოფელია ათონის მთის მთავარი ქალაქი კარიესი, მე-10 საუკუნიდან. ათონის საკულტო არქიტექტურისათვის დამახასიათებელია გუმბათიანი სამაბსიდიანი ტაძრები. მონასტერთან არის სატრაპეზოები, საცხოვრებლები, სენაკები, ბიბლიოთეკები და სამეურნეო ნაგებობები. ზოგიერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტერშია. მეხანიშნავი ერეხკები, მოზაიკა, ხატები, ოქრომჭედლობისა და მინანქრის ნიმუშები. მონასტრების ძვირფასი საგანძურია 11-ათასამდე ხელნაწერი ბერძნულ, ქართულ თუ სლავურ ენებზე; აგრეთვე სიგელ-გუჯრები და სხვა დოკუმენტები. ბევრი ხელნაწერი დაიღუპა ბერძენთა განმათავისუფლებელი ომის დროს ოსმალეთის წინააღმდეგ, განსაკუთრებით 1821-29 წლებში. (ქ.ს.ე.).

11.

უკვე მეოთხეჯერ ვიმოგზაურე ათონის მთაზე, პირველად, 1967 წელს, მეორეჯერ, 1981 წელს, მესამეჯერ, 1983 წელს და მეოთხეჯერ, ახლა, 1993 წლის 5 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე, რომლის დროს მხოლოდ სამი დღე ვიყავი ათონის მთის ივერიონის ქართულ მონასტერში. მაგრამ, განსხვავებით სამი წინა მოგზაურობისა, ამჯერად, ასე ვთქვათ, არაოფიციალურად, პიროვნულად მოვინახულე ჩვენი ეს კულტურის ერთერთი ცენტრი, რითაც იმის თქმა მსურს, რომ წინა სამი მოგზაურობისას იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, ათონის მთის ივერიონის მონასტერში და კონსტანტინეპოლის(სტამბოლის) ქართულ კათოლიკურ მონასტერში ვიმოგზაურე როგორც რადიო 'თავისუფლების' რეპორტერი, და ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილებანი და მასალები არა მარტო გადავეცი რადიო 'თავისუფლებით', არამედ ამასთანავე გამოვეცი როგორც კრებული ტიტრით 'ივერიონი. დარსების 1000-ის წლისთავი'(529 გვ.),მიუნხენი, 1980-1983 წლები' და მეორე კრებული ტიტრით 'რადიოდღიური. ჯვარი. ივერიონი'(112 გვერდი), მიუნხენი, 1984 წელი. ამლენად ამჯერად მსურს მოკლედ აღვწერო ჩემი ამ მეოთხე მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი'ივერიონის'ანუ, როგორც ბერძნები უწოდებენ, 'ივირონის' ღვთაებდელი მდგომარეობის შესახებ, 'ივერიონისა', რომელიც, თავისი მნიშვნელობით, მესამე მონასტერია, სულ ოცი მონასტრიდან, ათონის მთაზე, ღვთისმშობლის მართლაც ამ ბაღში.

12.

ათონის წმინდა მთის დათვალიერება, მოლოცვა განსაზღვრულ წესრიგით ხდება: საბერძნეთის სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა საკმარისი არ არის ათონის მთაზე ასვლისათვის, რადგან ათონის მთას, საბერძნეთის სახელმწიფოს ფარგლებში, მინიჭებული აქვს განსაზღვრული ავტონომია, რაც ათონის, როგორც მართლმადიდებელთა 'აკროპოლის'='წმინდა მთის' განსაკუთრებულ სტატუსიდან გამომდინარეობს. ათონის მთის დათვალიერება-მოლოცვა შეუძლია, მაგალითად, მხოლოდ მამაკაცებს, რაც სასტიკად ტარდებოდა ცხოვრებაში საუკუნეების განმავლობაში. მაგრამ დღეს, როგორც ჩანს, შესაძლებელია გამონაკლისის გაკეთება. 1993 წლის 13 აგვისტოს, მაგალითად, გერმანული გაზეთი 'ზც' იტყობინებოდა: 'ყოფილი დედოფალი ათონის მთაზე. ათენი. საბერძნეთის ყოფილი დედოფალი ანამარია ეამბორება მართლმადიდებელი ეპისკოპოსის - აუგუსტინო კანდიოტისის ხელს. სამეფო ოჯახი საზღვრული შმებულებას აფარებს მათ ყოფილ სამშობლოში და მოინახულეს ამავე დროს ათონის მთის მონასტრები. ყოფილმა მეფემ კონსტანტინემ მიიღო საჩუქრად ერთი ხატი'. და ამ ცნობის გვერდით გამოქვეყნებულია შესაბამისი ფოტო-სურათი.

13.

სასაგებია, ჩვენ, ე.ი. ჩემი მეუღლე და მე, როცა გავემგზავრეთ პარიზიდან თვითმფრინავით საბერძნეთისაკენ, ამგვარი პრივილეგიებიდან შორს ვიყავით. მოვინახულეთ რა კიდევ ერთხელ ათენის 'ნამღვილი' აკროპოლისი და ანტიკური სხვა ნაგებობა-მუზეუმები, შთაბეჭდილებებით დატვირთული ათენიდან გავემგზავრეთ თვითმფრინავით თესალონიკისაკენ, რომ მივსულიყავით 'მართლმადიდებელთა აკროპოლისზე, - ათონის მთაზე, რაც განსაკუთრებულ ნებართვას მოითხოვს ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროდან, რომელიც იმყოფება თესალონიკში. ათონის მთაზე მოგზაურობისათვის კი სამინისტრომ მოითხოვა ჩემგან,როგორც გერმანული პასპორტის მფლობელმა, გერმანიის გენერალური საკონსულოს მოწმობა, რაც მომცა საკონსულომ თესალონიკში. ამ მოწმობისა და პასპორტის საფუძველზე, ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროს შესაბამისმა განყოფილებამ მომცა მოწმობა, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ათონის მთაზე ასვლის ვიზის მიღება ურანოპოლისში, ათონის მთის საზღვართან ზღვისპირას-მდებარე ქალაქდაბაში.

14.

თესალონიკში(თესალონიკე,სხვათა შორის, ეწოდება ამ ქალაქს ალექსანდრე მაკედონელის დის თესალონიკეს საპატივცემლოდ) მხოლოდ ერთი დღე დავრჩით და ურანოპოლისის მიმართულებით მიმავალი ავტობუსების სადგურისაკენ მივდიოდით, როცა ქუჩაში მოგვესმა ქართული ლაპარაკი...გაგვიხარდა, გამოველაპარაკეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდგა ორი, ერთი ახალგაზრდა და მეორე საშუალო ხნის ცოლქმარი კახეთიდან, რომლებიც 'გამოსახეირნებლად' წამოსულან საბერძნეთში. ჩვენს მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა იმიტომაც, რომ ერთი პარიზში დაბადებული და აღზრდილი ქართველი ქალი(ჩემი მეუღლე) და მე, რომელიც ნახევარი საუკუნეა საქართვე-ლოში არ ყოფილა, შევხვდით კახეთიდან რამდენიმე დღეა მოსულ ქართველებს თე-სალონიკში, უცხოეთში. ალბათ, ამგვარმა თავის-უფლებამ კიდევ უფრო გაგვამ-ხიარულა, როცა ჩვენ ვუთხარით, რომ ათონის მთაზე მივდივართ, ხოლო მათ თქვეს, რომ მალე დაბრუნდებიან საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არეულობას ბოლო არ უჩანს. დროს უქონლობის გამო, ახალგაზრდას, მათ შორის, შევკადრე ხუთი-ათასი დრახმა და ვთხოვე ერთი ჭიქა ღვინო დაელიათ ჩვენი შე-ხვედრის აღსანიშნავად ამ არც ისე შორეულ მხარეს, და ისე გავშორდით ერთმა-ნეთს თითქოს ერთი უახლოესი ოჯახის წევრები ვიყავით. ახ, რა არის სამშობლო, მშობლიური ენა, ეროვნება...ვის შეუძლია ამ ფენომენის ახსნა-განმარტება?..

15.

მივედით ავტობუსის სადგურზე, სადაც 'ქართული სული' სუფევდა იმით, რომ მზიანი ამინდი, ავტობუსები, ყვირილი, არეულ-დარეულობა, საყავე..., ე.ი. ატმოსფერო ისეთი, რომელიც,სულ ცოტა, გერმანიაში არ არსებობს; არ შეიძლე-ბა არსებობდეს; და ჩვენ, ჩემს მეუღლესა და მე, სწორედ ასეთი ატმოსფერო მოგვწონს, თუმცა ავტობუსი ნახევარი საათით გვიან გაეშურა ურანოპოლისისა-კენ. გზაშიც'ქართული ატმოსფერო': ხეხილი, ყურძენი, ლეღვი და თვით ბროწე-ულიც კი,თუმცააქაური ბროწეული, ქართული ბროწეულისაგან განსხვავებით, ტკბილია, რაც საჭმელად, უთუოდ, კარგია, მაგრამ ბროწეულის წვნად რომ არ ვარგა?!..

16.

რა არის ტურისტი რუკებისა და პროსპექტების გარეშე? - და ჩვენც გართული ვართ რუკების თუ პროსპექტების წაკითხვით, და მოუთმენლად ველით დაბა სტა-გირა-ში მისვლას, რომლის შესახებ პროსპექტში ვკითხულობთ:'...სტაგირა...და-ბადების ადგილი დიდი ფილოსოფოსის არისტოტელესი(384-323 ქრ,წინ). სოფლის ერთ მაღლობზე აგებულია ამ დიდი ფილოსოფოსის ქანდაკება, რომლისგან შესაძ-ლებელია მთელი სოფელ სტაგირასა და მის მოპირდაპირე მხარეს-მდებარე სოფელ სტრატონოსის პანორამის დანახვა. ეს მიდამო არის წარმოუდგენლად წყნარი'. მივედით რა სოფელ სტაგირაში, დავინახეთ არისტოტელეს ქანდაკება, მაგრამ ამ სოფლის დათვალიერება 'ხაზის ავტობუსის' მარშრუტში არ შედიოდა, თუმცა დასათვალიერებელი აქ არაფერია აღნიშნული 'წყნარი, მშვიდობიანი მიდამოს' გარდა. მაგრამ კითხვები-კითხვებზე იბადება გონში: დაბადებითაა ადამიანი გენიალური თუ სწავლით თუ ორივეთი ერთად?.. მარტინ ჰაიდეგერსაც დიდ ფილო-სოფოს უწოდებენ არისტოტელეს შემდეგ, თითქოს მათ შორის,თითქმის ორი-ათას-ხუთას წელში, ვერავინ ვერ შესძლო გონის, გონიერების, აზრის, აზროვნების ამგვარ მწვერვალზე ასვლა!.. მოდი გავიღიმოთ: რა იქნებოდა, რომ - თუ გე-ნიოსს ადამიანის გენი და ბუნება ქმნის - 'არისტოტელეს სტაგირადან' და 'ჰაიდეგერს მესკირხიდან' მიმატებოდა 'კარლო კუშუბოურიდან?..' განა კუშუ-ბოური სტაგირასა და მესკირხზე ნაკლები სილამაზის სოფელია?!..

17.

სოფელ სტაგირადან, ზღვისპირას-მდებარე დაბა იერისოს გავლით, მივედით ათონის მთის ყველაზე უფრო ვიწრო ყელთან-მდებარე სოფელ ნეა როდა-ში, სა-დაც, გზატკეცილის მარჯვენა მხარეს დიდი დაფაა წარწერით, რომ აქ სპარსეთ-ის მეფემ ქსერქსემ,481 წელს ჩვენს ერამდე, შეეცადა არხის გაყვანას ათონ-ის მთის დასავლეთ ზღვის სანაპირომდე, რომ მისი ფლოტი სწრაფად გაეყვანა საბერძნეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ნეა როდადან კი სულ რვა კილომე-ტრია ურანოპოლისამდე, რომელიც სასაზღვრო საერო ნავსადგურია ჰოტელებით თუ სასადილოებით, რომელსაც - მიუხედავად ტურიზმის განვითარებისა - მაინც შენარჩუნებული აქვს სოფლური იერი. დავბინავდით რა აქ პენსიონში, მეორე დღესვე ვიმოგზაურეთ ტურისტული გემით ათონის წმინდა მთის დასავლეთი სანა-პიროს გასწვრივ, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ ქალებსაც, რადგან გე-მი ას მეტრზე უფრო ახლოს არ მიდის ათონის მთის ნაპირთან, როგორც ეს წე-სია. მაგრამ გემიდან თავისუფლად მოჩანს ათონის მთის დასავლეთ სანაპირო-სთან განლაგებული მონასტრები ზოგრაფუ, წმინდა პანტელეიმონი თუ გრიგორიუ. ათონის მთის დასავლეთით მდებარეობს აგრეთვე პატარა ნავსადგური დაფნი,სა-იდანაც მლოცველებს შეუძლიათ ავტობუსით ასვლა ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიესში. ათონის მთის აღმოსავლეთი სანაპირო კი არ შედის აღნიშნული გე-

მის მარშრუტში, რის გამო სხვა მონასტრების დანახვა ზღვიდან, თვით ივერიონის მონასტრის ჩათვლით, ვერ შევძელით, თუმცა ათონის წმინდა მთა აქედანაც კარგად მოჩანს, რის გამო ფოტოაპარატები თუ ვიდეოკამერები განსაკუთრებით მიმართულია სწორედ ამ წმინდა მთისაკენ. ერთი სიტყვით, გემიდანაც განსაზღვრული შთაბეჭდილება ექმნება მნახველს ათონის წმინდა მთის რელიგიური განსაკუთრებული ბუნებრივი და არქიტექტურული რაობის შესახებ. თვით ეს მოგზაურობა კი დაახლოებით ორი საათი გრძელდება, რომლის დროს, თითქმის ყოველთვის, დელფინებიც კი 'აცილებენ' გემს, რაც, გასაგებია, განსაკუთრებულ აღმოხფერობა და შთაბეჭდილებას ქმნის მოგზაურში.

18.

ივერიონის მონასტერში წასვლა კი გადავწყვიტე 11 სექტემბერს, 1993 წელს, როცა დილის 9 საათზე, თესალონიკში მიღებული ნებართვის საფუძველზე, ვიზა მივიღე ურანოპოლისში, დიდი არეულ-დარეულობის პირობებში, რადგან შაბათ-კვირას მრავალი მლოცველი მიდის ათონის მთაზე, მით უმეტეს, რომ თვით ბერძნებისათვის მხოლოდ პასპორტია საჭირო ამგვარი ნებართვის მისაღებად. ამგვარად, ჩემი მეუღლე დავტოვე ურანოპოლისში და მე 10 საათსა და 30 წუთზე გავემგზავრე ათონის მთის დასავლეთით-მდებარე პატარა ნავსადგურ დაფნისაკენ, სადაც გემი, მრავალ მონასტრის მისადგომებთან შეჩერების შემდეგ, 13 საათზე მივიდა. ამჯერად კი ერთი ავტობუსი კი არა, მრავალი ავტომობილი იდგა დაფნიში, მაგრამ მაინც ადვილი არ გახდა ერთი ადგილის შოვნა, რის შედეგად საბარგო ძარში ვიშოვე ერთი სადგომი ადგილი, რომელიც ორღო-ჩორღოიანი და უასფალტო, ქვიანი გზის გამო, ძლივს ადიოდა მთაში გაჭრილ ვიწრო გზაზე; და როგორც იქნა მივაღწიეთ ათონის მთავარ ქალაქ კარიესამდე. აქ კიდევ ისეთივე მდგომარეობა: ძებნა ავტომობილისა, რომ 'ჩავიდე' ივირონის მონასტერში, რომელიც, როგორც ავღნიშნე, ათონის მთის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. გადავწყვიტე ფეხით ჩასვლა ივერიონის მონასტერში, რაც კარიესიდან დაახლოებით შვიდი კილომეტრითაა დაშორებული. კარიესში კი ჯერ ვისადილე ჩვეულებრივ რესტორანში, რომელიც აქ უკვე სუფთად და კარგადაა მოწყობილი, ცოტა შევისვენე, და გავუდექი გზას...მაგრამ აქაც ბედმა მიმტყუნა: თან წამოღებული მქონდა არა მარტო ფოტოაპარატი და ჯიბის მაგნეტოფონი, არამედ ვიდეოკამერაც, და ვფიქრობდი თავისუფლად შევძლებ ვიდეო-სურათების გადაღებას, რაც, როგორც შემდეგ გავიგე, გარეთ შეიძლება, მხოლოდ მონასტრებში, სპეციალური ნებართვის გარეშე, აკრძალული ყოფილა. 'ბედმა მიმტყუნა' ვამბობ იმიტომ, რომ დაახლოებით ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ, უკანიდან მომადგა პატარა საბარგო ავტომობილი, რომლის ძარში მლოცველები იჯდენ, ავტომობილი გააჩერეს და არც კი მკითხეს ისე ამიყვანეს ტარში, და დაახლოებით ნახევარ საათში უკვე ივერიონის მონასტერში ვიყავი, რითაც ფსიქოლოგიურად მომზადებული ვერ აღმოჩნდი შთაგონებით შევსულიყავი ჩვენს ამ წმინდა სავანეში.

19.

მე მაინც მოვამზადე, ივერიონის მთავარ სვეტებიან შესასვლელთან მისვლამდე, ჩემი ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა და დავიწყე მშვენივრად მორთული და არქიტექტურულად შესანიშნავი წინამოედანის გადაღება, სადაც სამი ახალგაზრდა ბერიც იდგა. დამინახეს რა ვიდეოკამერათი, ერთი მათგანი აღელვებული მოვარდა ჩემთან, ხელი დააფარა ვიდეოს ობიექტივს და მითხრა, რომ აქ სურათების გადაღება ფოტოაპარატით შეიძლება, მაგრამ ვიდეოკამერათი აკრძალულიაო. ავუხსენი მას, რომ მე ქართველი ვარ და რომ ვიდეოსურათები მსურს გადავიღო, რომ ჩემს თანამემამულეებს ვაჩვენო გერმანიასა და საფრანგეთში ჩვენი ამ მონასტრის მდგომარეობა დღეს. სხვათა შორის, ეს ახალგაზრდა ბერი შესანიშნავად ლაპარაკობდა ფრანგულად, ცოტა მოლბა და მითხრა, რომ მონასტრის ხელმძღვანელს ვთხოვო, სადილის შემდეგ, ვიდეოსურათების გადაღების ნებართვაო. მეწყინა, რადგან - მიუხედავათ იმისა, რომ უკვე მეოთხეჯერ ვარ ივირონის სავანეში - პირველად მაქვს შესაძლებლობა ვიდეოსურათები გადავიღო ამ ჩვენი კულტურისა და რელიგიური ცენტრის შესახებ. მაგრამ, რა მექნა, დავემორჩილე წესრიგს.

20.

ჩემი ნებართვა-ვიზით, როგორც ყოველი მლოცველი, მივედი მისაღებ მშვენივრად მორთულ დარბაზში, სადაც, როგორც წესი, მოგვართვა ერთმა ბერმა ყავა 'ლუხუმით' და წყალი. შემდეგ კი რეგისტრაციაში გაგვატარა ყველა ახლადმოსული, და გაგვაცნო, რომ ივირონის მონასტერი არის იდიორითმული, ე.ი. ლიბერალური, განსხვავებით კინოვიტური, ე.ი. მკაცრი წესრიგის მონასტრებისაგან. ათონის მთაზე არის სულ ოცი მონასტერი, რომელთაგან შვიდი არის იდიორითმუ-

ლი და ცამეტი კინოვიტური. ივერიონის მონასტერი გამონაკლისია ათონის მთის
ყველა სხვა მონასტრიდან დღის დაწყების მხრივ: ივერიონის მონასტერში ნოლი
საათია მზის ჩასვლისას, სხვა მონასტრებში კი ნოლი საათია მზის ამოსვლის-
ას. დღეღამე კი დაყოფილია სამ ნაწილად: 8 საათი ლოცვა, რვა საათი მუშაო-
ბა და რვა საათი ძილი. არა მარტო ათონის მთაა 'ღვთისმშობლის ბაღი', არამედ
თვით ივერიონის მონასტერი არის ღვთისმშობლის წილხვედრი, ისე როგორც
მთელი საქართველო, და ეს დღე აღინიშნება 15 აგვისტოს. ივერიონის ზარების
რეკვაა დილის 4 საათზე, დილის 7 საათზე და ნაშუადღევის 4 საათზე. დღის
დაწყება. მზის ჩასვლისას ემორჩილება, როგორც ვკითხულობთ, 'ქალდეური"დროს
აღნიცხვას. სასმელ-საჭმელს ბერები და მლოცველები ღებულობენ ერთად რეფრე-
ქტორიუმში ორჯერ - დილით და საღამოს, წირვის შემდეგ.

21.

ამასობაში დადგა ნაშუადღევის 4 საათი და ჩატარდა ივერიონის ზარების რე-
კვის მთელი ცერემონია, რომლის დასაწყისია ხის მოლიდო დიროზე ჯოხის დარ-
ტყმა, რომლის დროს ბერი გარშემო უვლის მთავარ ეკლესიას - კათოლიკონს -
და შემდეგ იწყება ზარების რეკვა, რომელიც ძლიერდება ყველა ზარის მასში
ჩარევით და ბოლოს ქმნის აღმაგზნებელ გუგუნს. რა თქმა უნდა, ზარების რეკ-
ვა ჩავწერე მაგნიტოფონის ფირზე. ამას მოყვა ლოცვა კათოლიკონში, ე.ი.მთა-
ვარ ეკლესიაში, და ლოცვა აგრეთვე უფრო პატარა ეკლესიაში, რომელიც კათო-
ლიკონის ერთ მხარესაა განლაგებული და რომელშიც დასვენებულია 'სასწაულ-
მოქმედი ხატი':'წმინდა ღვთისმშობელი პორტაიტისა', ე.ი.'მეკარე'. ამის
შემდეგ, გაიღო სასადილოს უზარმაზარი კარები და ბერები და მლოცველები შე-
ვედით სასადილოში, რომლის დროს ბერები დაჯდენ მარცხნივ განლაგებულ ერთობ-
რივ მაგიდასთან, ხოლო მლოცველები მარჯვნივ განლაგებულ მაგიდასთან. სასმელ-
საჭმელი უკვე დალაგებული იყო მაგიდაზე ერთი ჭიქა თეთრი ღვინით, ბოსტნე-
ულის კერძითა და პურით, და მაშინვე შევექეცით საქმელ-საჭმელს, რომლის დროს
ერთი ბერი კითხულობდა მესაფერის ლოცვას ბიბლიიდან. სადილი გარგრძელდა სულ
ნახევარი საათი, რომლის შემდეგ ადგა მონასტრის ხელმძღვანელი, მასთან ერ-
თად ყველა ბერი და მლოცველი. სასადილოდან პირველად გავიდა მონასტრის ხელ-
მძღვანელი, რომელსაც ხელში ეჭირა კვერთხი, მას გაყვა ყველა ბერი და მლო-
ცველი; და როცა სასადილოდან გამოვდიოდი, მთავარი კარის მარჯვნივ იდგა მო-
ნასტერის ხელმძღვანელი დალოცვის პოზით, ხოლო მის პირდაპირ სამი თავდახრი-
ლი ბერი, რომელთა შუაში ჩვენ გავიარეთ სასადილოდან გამოსვლისას. როცა ეს
ცერემონია დამთავრდა, მივედი მონასტრის ხელმძღვანელთან და ვთხოვე ჩემთ-
ვის, როგორც ქართველისათვის, მოეცა ვიდეო-სურათების გადაღების უფლება,
და ვთხოვე აგრეთვე, რომ რაიმე სამახსოვრო მოეცა ჩემი სოფლის კუმუბოურის
ეკლესიისათვის, რომელსაც აშენებს ჩვენი სოფლელები მეთქი. მან მხოლოდ მით-
ხრა 'მოვიფიქრებო', რაც მე უარის ნიშნად აღვიქვი, რაც შემდეგ დადასტურ-
და; და მისი ამგვარი მოქმედებისგამართლებას იმით შევეცადე, რომ მართლაც
მლოცველ-სტუმართა რაოდენობა მეტად გაზრდილა და სად შეუძლია მონასტერს ყვე-
ლა თხოვნის ან სურვილის დაკმაყოფილება, რომლებითაც(ალბათ) მიდიან მასთან
მლოცველები. ასე იყო თუ ისე, ვიდეოსურათების გადაღება ივერიონის მონას-
ტერში, რაც ასე გულმოდგინეთ მქონდა მომზადებული, ვერ მოვახერხე, რის შემ-
დეგ მონასტრის ხელმძღვანელს აღარ ვთხოვე ივერიონის მონასტრის ბიბლიოთე-
კის დათვალიერებაც, თუმცა ეს ბიბლიოთეკა უკვე ორჯერ მქონდა დათვალიერებუ-
ლი წინა მოგზაურობის დროს. სამაგიეროდ, გამოველი ივერიონის მონასტრის ეზო-
დან, გარს შემოუარე ამ უშველებელ მონასტერს და გარედან გადავიღე ვიდეო-
სურათები 'ტოტალური ხედებით', რაც მაინც კარგია, რადგან არარაობას მაინც
ჯობია; და უკვე მონასტერში შევდიოდი, როცა მოხდა 'სასწაული':

22.

ერთმა შუახნის ბერმა შემაჩერა, რომელიც,ალბათ, ერკვეოდა ჩემ მდგომარეო-
ბაში და მითხრა, რომ აქ არიან ორი ქართველი ბერი და თუ ნახეთო?.. ჩემს
განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა და ისევ-და-ისევ შევეკითხე ხომ არ ეშ-
ლება, აქ ქართველები ბერები საიდან უნდა იყვნენ. მან დაბეჯითებით მითხრა,
რომ ამ ორ ქართველ ბერს მაჩვენებს და გამაცნობს, და ამ დროს გაიხედა ჩვენს
გვერდით და მიმითითა ორ ახალგაზრდა ბერზე, რომლებიც ჩვენს გვერდით მიდიო-
დენ და მითხრა, დაელაპარაკე ქართულადო...ჩემს შეკითხვაზე 'ქართველები ბრძა-
ნდებით' მივიღე დადებითი პასუხი, რამაც ისე დამაბნია, რომ მადლობის თქმაც
კი დამავიწყდა ბერძენი შუახნის ბერისათვის. გავმართეთ საუბარი: ეს ორი
ბერი წამოსულან საქართველოდან, ბეთანიის მონასტრიდან ივერიონის მონასტრის

გასაცნობათ. ბერი არქიმანდრიტი ლაზარე, არის 29 წლის, ხოლო ბერ-დიაკვანი პეტრე 22 წლისა. მათ მომიყვეს საქართველოში არსებული დუხჭირი ცხოვრების ამბები და თვით მონასტრების დაარსებისა და მოღვაწეობის რთული პირობები, და ღრმა მთაგონებით აღნიშნეს, რომ საქართველოს გადაარჩენს ქრისტიანული რწმენა, და ამისათვის იღწვიან ისინი. შემდეგ თავი მოვიყარეთ მათ ოთახში, რომლის დროს მათ მაჩუქეს ქართულ გალობათა ერთი გრამაფონის ფირფიტა. მე, ჩემი მხრიდან, კი ვუთხარი მათ, რომ პირველად ჩემს ცხოვრებაში ვხედავ ქართველ ბერებს; და მოუთხრე მათ, რომ ივერიონის მონასტერში უკვე მეოთხეჯერ ვარ; სამჯერ იერუსალიმშიც ვიყავი, სადა მოვინახულე ჩვენი ჯვარის მონასტერი, რომელიც ახლა მუზეუმადაა გამხდარი; სამჯერ მოვინახულე აგრეთვე კონსტანტინეპოლში(სტამბოლში) ქართული კათოლიკური მონასტერი; და გამოვთქვი ჩემი დიდი კმაყოფილება, რომ ახლა გზა გახსნილია და უკვე ქართველი ბერები მოდიან ივერიონის მონასტერში, თუმცა ამ ქართულ სავანეში ქართველი ბერი, როგორც მითხრეს 1967 წელს, როცა ივერიონი მოვინახულე პირველად, - აღარ არიან 1912 წლიდან, როცა გარდაიცვალა ივერიონის უკანასკნელი ქართველი ბერი გვარად ფაღავა. არქიმანდრიტმა ლაზარემ თქვა, რომ უკვე განზრახულია ქართველი ბერები მოვიდენ ივერიონის სავანეში რამდენიმე წლით, რაც, ჩემის აზრით, დასაწყისი გახდება იმისა, რომ ივერიონის მონასტრის მართველობაში, სულ ცოტა, მონაწილეობა მიიღოს ქართველ ბერებმაც, რაც, გვჯერა, ასეც მოხდება, ასე უნდა მოხდეს.

23.

მიუხედავათ ჩემი ამგვარი აღტაცებისა, მე მაინც ვუამბე არქიმანდრიტ ლაზარესა და ბერ-დიაკვან პეტრეს, რომ არ შეექმნათ მათ მთაბეჭდილება, რომ მე ვარ ღრმად მორწმუნე ადამიანი. მართალია, მე მონათლული ვარ, რადგან 1919 წელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროს დავიბადე, მაგრამ საქართველოში ეკლესიაში წირვა მე არასოდეს არ მინახავს, რადგან ეკლესიები ან დაანგრიეს ან საწყობებად აქციეს; და, რომ მე ქრისტიანულ რელიგიაში ვხედავ ქართველ ერს, ქართველობას, თუმცა ქართველთა მოზრდილი ნაწილი მაჰმადიანებიც არიან. ამდენად, მე მწამს, რომ ქართველი ერი აღადგენს იმ ჰუმანიტარულ, შემწყნარებლობით ტრადიციას, როცა ქრისტიანიზმი, მაჰმადიანიზმი თუ იუდაიზმი ისევ მშვიდობიანად იარსებებენ ერთმანეთის გვერდით, როგორც ეს იყო ყოველთვის.ამიტომ მსურს მონაწილეობა მივიღო ეკლესიის აგებაში ჩემს სოფელ კუმუზოურში(ვანის რაიონი), და ამის გამო ჩამოველი აქ, ივერიონის მონასტერში, ამჯერად, რომ რაიმე სამახსოვრო წავიღო აქედან კუმუზოურის ეკლესიისათვის. და აქ ვუამბე ჩემი შეხვედრა ივერიონის მონასტრის ხელმძღვანელთან და დავძინე, რომ მგონი ხელცარიელი წავალ აქედან მეთქი. და ამასთანავე აღვნიშნე, რომ რაიმე გზით მსურს ჩემი პირველი შეხვედრა ქართველ ბერებთან აღვნიშნო, და ვფიქრობ შემოწირულების გაღება,ჩემი მხრიდან, შესაფერ ასეთ საშუალებად. სულ ჯიბეში მაქვს 150-ათასი დრახმა, რომლიდან 100-ათასი მსურს შევწირო ბეთანიის მონასტერს. გადავეცი რა ეს(500 დოლარის ფასი?)ფული, არქიმანდრიტმა ლაზარემ ჩაიწერა ჩემ ახლობელ გარდაცვლილთა სახელები და მითხრა, რომ როცა საქართველოში დაბრუნდება ბეთანიის მონასტერში გადაიხდის მათ მოსახსენებელ პანაშვიდს.

24.

მეორე დღეს, ჩემი კარიესში გამგზავრებისას, ივერიონის მონასტრის ეზოში მივესალმეთ ერთმანეთს არქიმანდრიტმა ლაზარემ და მე და მან გადმომცა ხატი კუმუზოურის ეკლესიისათვის, რომელსაც აქვს ასეთი წარწერა:

'ეს ხატი არის ივერიის ყოვლად წმინდა ღმრთისმშობლის ხატის ზუსტი ასლი და ასვენია თბილისში სიონის ტაძარში.

ბატონ კარლოს სახსოვრად ივერიელ ბერთაგან ბეთანიის მონასტრისა.

ათონის მთა ივერონის მონასტერი, 1993 წლის 11 სექტემბერი

არქიმანდრიტი ლაზარე, ბერ-დიაკვანი პეტრე.'

ეს სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის ასლი ჩასვა ჩარჩოში იტალიელმა არქიტექტორ-ქალმა მინა ვესკოვიმ, და მე დავამატე შემდეგი წარწერა ქართულად და ფრანგულად:'სოფელ კუმუზოურის ღვთისმშობლის ეკლესიას; ვანის რაიონი; საქართველო. სასწაულმოქმედი ხატი მეკარე.'

ივერიონის მონასტერი, ათონის მთა,საბერძნეთი.

1993 წლის 12 სექტემბერი.'

ამასთანავე ათონის მთაზე შევიძინე ივერიონის მონასტრის სასწაულმოქმედი ხატი 'პორტაიტისა'='მეკარე', რომლის მეორე გვერდზე ანალოგიური წარწერაა. ვიმედოვნებთ, კუმუზოურის ეკლესია აშენდება და ეს ხატები დაისვენებს მასში.

25.

12 სექტემბერი, 1993 წელი: დილის 4 საათზე ისევ ივერიონის ზარების შესანიშნავი რეკვა; წირვა კათოლიკონში,ე.ი.მთავარ ეკლესიაში; საუზმე სასადილოში; შეხვედრა ბერებთან საერთოდ, ქართველ ორ ბერთან კერძოთ; გამომშვიდობება და გაუვლექი გზას...ავტობუსი ივერიონის მონასტრიდან კარიესიდან ჩამოდიოდა და ისევ კარიესში, ათონის მთის მთავარ ქალაქში, მიდიოდა 10 საათზე; კარიესიდან კი სხვა ავტობუსი მიდიოდა სადილობისას, ათონის მთის მეორე მხარეს მდებარე ნავსადგურში, საიდანაც პატარა გემი მიდიოდა ურანოპოლისში. მაგრამ მე ვამჯობინე ივერიონის მონასტრიდან კარიესში ასვლა ფეხით, რომ 'მეგრძნო' ჩვენი ივერიონის მონასტრის შესანიშნავი შემოგარენი და,საერთოდ, ათონის მთის ბუნებრივი სიმშვენიერე, რაც ადვილი საქმე არ გამოდგა: ვიწრო ბილიკები, აღმართ-ჩაღმართში ასვლა-ჩასვლა, აქა-იქ მიმოფანტული განცალკევებული ბერების სახლ-კარის დათვალიერება და ვიდეო-სურათების გადაღება...ისე გავერთვე ამგვარი განდეგილი მოგზაურობით, რომ კარიესში ასვლისათვის თითქმის ოთხი საათი დრო დამჭირდა; და როცა მოქანცული, მაგრამ ნახულითა და განცდილით მეტად კმაყოფილი კარიესის მთავარ მოედანთან მიველი, ავტობუსი დაფნისაკენ უკვე წასული იყო; მითხრეს, რომ ხვალ 12 საათამდე აქ უნდა დარჩე, ღამე რომელიმე მონასტერში უნდა გაათიო და ხვალ 12 საათზე შეგეძლება დაფნიში ავტობუსით წასვლა და იქიდან გემით ურანოპოლისში გამგზავრებაო. მე კი მაინც დავიწყე შესაძლებლობის გამონახვა იმდღესვე წავსულიყავი ურანოპოლისში, და ამ დროს გამოჩნდა ის ახალგაზრდა, ფრანგულად მოლაპარაკე ახალგაზრდა ბერი, რომელმაც ივერიონის მონასტერში მიმითითა, რომ ვიდეო-სურათების გადაღებისათვის მონასტერში საჭიროა მონასტრის ხელმძღვანელის ნებართვაო, რაც მე ვერ მივიღე. მეტად თავაზიანად, გამომკითხა ჩემი გულნადები და მისივე ავტომობილით, სამ სხვა მლოცველთან ერთად, ჩამომიყვანა ისევ ივერიონის მონასტრის ნავ-მისადგომთან და მითხრა, რომ აქ პატარა გემი მოვა, რომელიც მიდის ნეა როდას ნავსადგურისაკენ და იქიდან შეგიძლია ავტობუსით ურანოპოლისში მისვლაო. მართლაც, ისევ ჩავედი ივერიონის მონასტერში ამ ახალგაზრდა ბერის მცირე საზარგო ავტომობილით და მისგან გამომშვიდობებაც კი ვერ მოვახერხე, რადგან ის ჩემს მიმართ,ვფიქრობ, დარცხვენილად გრძნობდა თავს, თუმცა მისი ბრალი არ იყო, რომ ივერიონის მონასტრის ხელმძღვანელმა მე ვიდეო-სურათების გადაღების უფლება არ მომცა. ასე იყო თუ ისე, მე მაინც ისევ შევუდექი ფოტოსურათებისა და ვიდეოსურათების გადაღებას ივერიონის მონასტრის გარეთ, სანამ ნავი მოვიდოდა; და როცა ნავში ჩავჯექით და ივერიონის მონასტერი ზღვიდან დავინახე და ვიდეოკამერითიც გადავიღე, კმაყოფილი დავრჩი ამ 'მცირე ოდისეიადით', რადგან საშუალება მომეცა ათონის წმინდა მთის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადაგებული მონასტრების შესანიშნავი მდებარეობის ვიდეო-აღნუსხვისა, რომლის დროს ისევ გამიტაცა აზრებმა:

26.

'რა ძალაა რწმენა, რომელმაც ქართველობა ასე შორს, უცხო მხარეში გახიზნა, რომ შეექმნათ რწმენისა და კულტურის კერები 'სამი მსოფლიო რელიგიის ცენტრის'- იერუსალიმის - ირგვლივ!.. სხვათა შორის, ივერიონის მონასტრის კათოლიკონი, ე.ი.მთავარი ეკლესია აგებულ იქნა მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ბერის გიორგი ვარაშვაძის მიერ, გვაუწყებს, სხვა მრავალთა შორის, ისტორიული დოკუმენტები. 'ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია პალესტინაში ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის მიწურულიდან დაწყებულა...მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში აქ მოღვაწეობდა ქართლის მეფის დიდი ბაკურის შვილი - პეტრე(ერობაში მურვანი) იბერი(411-491). იგი ბერად 429 წელს აღიკვეცა...'(ქ.ს.ე.).

27.

ამგვარი ფიქრებით გატაცებული, მივადექით ნეა როდას პატარა ნავსადგურს, საიდანაც, ორი საათის შემდეგ, ავტობუსით მიველი ურანოპოლისში, სადაც, ჩემს მეუღლესთან ერთად, გავხდით მოწმე(კიდევ ერთხელ) მზის შესანიშნავი ჩასვლისა, თუმცა ვიცით, რომ მზე კი არ 'ჩადის', არამედ დედამიწა ბრუნავს მის 'ღერძზე' და მოძრაობს მზის ირგვლივ; და ჩვენთვის, ადამიანებისათვის მზე მაინც ამოდის და ჩადის. განა ისევ არ მივდივართ იმ ძალასთან, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ?.. როგორ ამბობს შოთა?..

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,

ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
და მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

და რომ ამ უსახრულო სამყაროში რომ ადამიანი არ დაიკარგოს, არ დაკარგოს
საყრდენი ფეხის ქვეშ, ამიტომ არ შევქმენით ოჯახი, გვარი, ტომი, ერი, სა-
მშობლო, რომელთა საფუძველი გავხადეთ რწმენა, რომლის ურყევი კერაა, თუ გნე-
ბავთ, ჯვარის მონასტერი იერუსალიმში თუ ივერიონის მონასტერი ათონის წმინ-
და მთაზე?..

28.

ამგვარი აზრებით დატვირთული, დავტოვეთ ათონის მთა, ურანოპოლისი და ისევ
დავუბრუნდით თანამედროვე ცივილიზაციას, როცა თესალონიკიდან თვითმფრინა-
ვით, ერთ საათში, ათენში ჩავფრინდით; და საღამოს, აკროპოლის ფერდობზე
მდებარე ჰეროდეს ატიკუს ოდეონში, ამფითეატრში ჩვენი აწ მხოფლიოში სახელ-
მოხვეჭილი მომღერალი პაატა ბურჭულაძე ვნახე-მოვისმინეთ, რომელმაც, როგორც
ყოველთვის, აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენში და ყველა მაყურებელ-მსმენელში,
მით უმეტეს, რომ პაატა ბურჭულაძის ეს კონცერტი მიძღვნილი იყო ცნობილი მო-
მღერლის მარია კალას გარდაცვალების წლისთავისადმი-ათენის 1993 წლის ფეს-
ტივალის ხფეროში; სხვათა შორის, ათენის ამ საერთაშორისო ფესტივალში მონა-
წილეობდა აგრეთვე ჩვენი ცნობილი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე,რომელმაც ათენის
სახელმწიფო ორკესტრს უდირიჟორა 1993 წლის 16 ივლისს. პაატა ბურჭულაძის
კონცერტი კი ჩატარდა 1993 წლის 16 სექტემბერს, რომლის დამთავრების შემდეგ
შევხვდით მას და საუბარი გაიმართა არა იმდენად ხელოვნებაზე, რამდენადაც
საქართველოს რთულ მდგომარეობაზე, რომელსაც ყოველი ქართველი განიცდის, სა-
დაც არ უნდა იყოს ის. 'როგორმე ვუშველოთ საქართველოს!' - იყო ჩვენი დამ-
შვიდობების სიტყვები. მაგრამ როგორ?.. 'არსაიდან ხმა, არსად ძახილი?..'
ღმერთმა დაგვიფაროს!..

29.

როგორ ვთქვით დასაწყისში? - 'ამპარტავნებათა ამპარტავნება, ყველაფერი
ავპარტავნებაა, რაც სიკვდილის შემდეგ არ არსებობს'; და ამ ლებულების
ინტერპრეტაციათ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ ამპარტავნობა, თავმომწო-
ნეობა უკანა პლანზე უნდა იქნეს დაყენებული, როცა საქმე მარადიულობას ეხე-
ბა, რომლის ფუძე, უდავოა, ერი, ეროვნულობაა,რომლის ერთერთი ნიშანსვეტია,
ამ შემთხვევაში, ივერიონის ქართველთა სავანე ათონის მთაზე,.ამ ღვთისმშო-
ბლის ბაღში?..

30.

მაშ, შევეცადოთ, რომ ყველაფერ პიროვნულზე მაღლა ეროვნული ღირსება, ეროვ-
ნული ერთობა დავაყენოთ, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენი ეროვნული მეობის შენარ-
ჩუნება-გაფურჩქვნას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც, რომლის ერთ-
ერთ მიზნად მესახება ივერიონის ქართული მონასტრის ისევ ქართველთა მფლობე-
ლობაში გადმოსვლა, რაც - თავის მხრივ -, გასაგებია, დიდ დიპლომატიურ ხე-
ლოვნებასა და სიფაქიზეს მოითხოვს; და,მჯერა, ჩვენ ამას შევძლებთ. ამ რწმე-
ნით მსურს დავამთავრო ჩემი ეს ცნობა ათონის წმინდა მთაზე მოგზაურობის შე-
სახებ, დავბრუნდით რა ისევ პარიზში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1993 წლის 21 სექტემბერი

დანართი: 1.გერმანიის გენერალური საკონსულოს მოწმობა(თესალონიკი);
2.ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროს მოწმობა(თესალონიკი);
3.ათონის წმინდა მთის ვიზა(ურანოპოლის).

შენიშვნა: კუშუბოურში უკვე დაწყებულია ეკლესიის მშენებლობა, რომლის ა
ილი დალოცა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიმა მეუფე კა
სტრატემ,და ეკლესია მონათლა როგორც "ღვთისმშობლობის მიძინე
სიონის ეკლესია".

- . - . - . - . - . - . -

Generalkonsulat
der Bundesrepublik Deutschland
Γενικόν Προξενεῖον τῆς
Ὁμοσπονδιακῆς Δημοκρατίας
τῆς Γερμανίας

KU 651.oo

Παράκληση έγκρισης εισόδου

Το Γενικό Προξενείο της Ομοσπονδιακής Δημοκρατίας της Γερμανίας στη Θεσσαλονίκη λαμβάνει την τιμή να γνωρίσει στο Υπουργείο Μακεδονίας-Θράκης, ότι

ο γερμανός υπήκοος
xxxxxxxxxxxxxxxxxxxοι

| Όνομα | έτος γεν. | επάγγελμα | αριθμ. διαβατ. |
|---|---|---|---|
| Dr. Karlo INASARIDSE | 15.11.1919 | Νομικός | 0436549/0618/8[illegible] |

εξέφρασε|xxxxxxxxxxxτην επιθυμία να επισκεφθεί|xxxxxxxxxxxxxτο Άγιο Όρος για προσκύνημα.

Το Γενικό Προξενείο, για το οποίο δεν προκύπτει με την παρούσα καμμία νομική δέσμευση, παρακαλεί για την έγκριση εισόδου του|xxxx και εκφράζει προς το Υπουργείο Μακεδονίας-Θράκης την διακεκριμένη του υπόληψη.

Θεσσαλονίκη, 09.09.1993

GENERALKONSULAT DER BUNDESREPUBLIK DEUTSCHLAND THESSALONIKI 3

Προς το
Υπουργείο Μακεδονίας-Θράκης
Υπηρεσία Πολιτικών Υποθέσεων

Ε ν τ α ύ θ α

Bescheinige
Reg. Nr. 1848/93
Ermässigte Gebühr
Tarif 130
DM 10,- Drs. 1408,-

ΥΠΟΥΡΓΕΙΟ ΜΑΚΕΔΟΝΙΑΣ - ΘΡΑΚΗΣ
ΥΠΗΡΕΣΙΑ ΠΟΛΙΤΙΚΩΝ ΥΠΟΘΕΣΕΩΝ

Προς
την Διοίκηση του Αγίου 'Ορους
Καρυές

Αριθμός εγγράφου 1252
Θεσσαλονίκη 9 . 9 . 1993

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. Σας γνωρίζουμε ότι εγκρίνουμε την μετάβαση των κατωτέρω αλλοδαπών στο 'Αγιο 'Ορος, για προσκυνηματική επίσκεψη στις εκεί Ιερές Μονές και την παραμονή τους στο 'Αγιο 'Ορος για χρονικό διάστημα τεσσάρων (4) ημερών.

II. Ως ημερομηνία εισόδου τους στο 'Αγιο 'Ορος έχει προσδιοριστεί η **13-9-1993** ημερομηνία η οποία και πρέπει να τηρηθεί.

| III | IV | V | VI | VII | VIII | IX | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | Διαβατήριο ~~ή Ταυτότητα~~ | |
| α/α | Επώνυμο | 'Ονομα | Ημερομηνία Γεννήσεως | Επάγγελμα | Υπηκοότητα | Αριθμός | Χρον. Εκδόσ. |
| 1. | INASARIDSE | KARLO | 15-11-1919 | Συνταξιούχος | Γερμανική | 0136549 | 7-7-1990 |
| 2. | | | | | (καταγωγή | (Ταξ. Έγγραφο) | |
| 3. | | | | | Γεωργία) | | |
| 4. | | | | | | | |
| 5. | | | | | | | |

X. Παρατηρήσεις:

ΕΛΛΗΝΙΚΗ ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑ
ΥΠΟΥΡΓΕΙΟ ΜΑΚΕΔΟΝΙΑΣ - ΘΡΑΚΗΣ
ΥΠΗΡΕΣΙΑ ΠΟΛ. ΥΠΟΘΕΣΕΩΝ

ΕΝΤΟΛΗ ΥΠΟΥΡΓΟΥ
Διευθυντής

Λ. Πλέσσα - Στεφανέλη
Διοικ. Γραμματεύς

NOTE: This is a document, addresed to the Governor of the Holy Mountain at Karyes, permitting the aforementioned persons to visit the Monasteries of Mount Athos for pilgrimage purposes. Sojourn at the Holy Mountain cannot exceed four (4) days and the date of entry to it has been noted in the small square of paragraph II above. This entry date must be cerefully observed.

12






ΙΕΡΑ ΕΠΙΣΤΑΣΙΑ
ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ
ΑΘΩ

ΚΑΡΥΑΙ, ΤΗ ... 1993 ... 199......

Α/Α 13891 *

# ΔΙΑΜΟΝΗΤΗΡΙΟΝ

ΠΡΟΣ
ΤΑΣ ΕΙΚΟΣΙΝ ΙΕΡΑΣ ΚΑΙ ΣΕΒΑΣΜΙΑΣ ΜΟΝΑΣ
ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ
ΑΘΩ

Ὁ κομιστὴς τοῦ παρόντος Ἱεροκοινοσφραγίστου καὶ ἐνυπογράφου γράμματος ἡμῶν

κ. ος INASARIDSE KARLO ............

Α.Δ.Τ. ........ 0435549 ............

..........................................................................

συνιστώμενος ἡμῖν ὑπὸ τοῦ ..........................................................

.......................... μὲ ἄδειαν παραμονῆς ἡμερῶν (4) ΤΕΣΣΑΡΩΝ

ἀφίκετο πρὸς ἐπίσκεψιν τῶν Ἱερῶν σκηνωμάτων καὶ προσκύνησιν τῶν ἐν Αὐτοῖς ἀποκειμένων Ἱερῶν καὶ Ὁσίων τῆς Πίστεως ἡμῶν.

Παρακαλεῖσθε ὅθεν, ὅπως παράσχητε αὐτῷ, πρὸς τῇ φιλόφρονι ὑποδοχῇ καὶ πᾶσαν ἅμα δυνατὴν φιλοξενίαν καὶ περιποίησιν πρὸς ἐκπλήρωσιν τοῦ δι' ὃν ἔρχεται αὐτόσε σκοποῦ.

Ἐφ' ᾧ διατελοῦμεν λίαν φιλαδέλφως ἐν Χριστῷ ἀδελφοί

ΟΙ ΕΠΙΣΤΑΤΑΙ ΤΗΣ ΙΕΡΑΣ ΚΟΙΝΟΤΗΤΟΣ ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ ΑΘΩ

Ο ΧΙΛΙΑΝΔΑΡΙΟΥ ΠΡΩΤΕΠΙΣΤΑΤΗΣ [signature]

Ο ΞΗΡΟΠΟΤΑΜΟΥ ΕΠΙΣΤΑΤΗΣ Γέρων Χρυσόστομος

Ο ΑΓΙΟΥ ΠΑΥΛΟΥ » Γέρων Νικόδημος

Ο ΟΣΙΟΥ ΓΡΗΓΟΡΙΟΥ » Ἱερομ. Ἰγνάτιος

# "მ ე   ვ ს ვ ა მ   ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ს!"

## როგორ "გამოიგონა" ბერმა პერინიანმა შამპანური

I.

"მოდით ჩქარა, მე ვსვამ ვარსკვლავებს!" - წამოიძახა, გადმოცემით, ბენედიქტეს მიმდევარ ბერმა დომ პერინიანმა, როცა მოსვა შამპანურის პირველ ჭიქას. შამპანურის "გამოგონებასაც" ბერ დონ პერინიანს აწერენ, რომელიც იყო 1668 წლიდან მარნის ხეობის მაღლობზე განლაგებული მონასტრის ოტვილიერის მეღვინეთ-უხუცესი: 1670 წელს, ამ ჩასუქებულ ბერს გამოუგონებია შამპანური და გარდაცვლილა 1715 წელს, იმავე წელს, როცა გარდაიცვალა საფრანგეთის "მზიური მეფე"- ლუი XIV, რის გამო არა მარტო სატირიკოსები ცინიკურად შენიშნავენ თუ რომელი ამ ორიდან უფრო მნიშვნელოვანი გახდა საფრანგეთის მომავალისათვის?.. ბერი პერინიანი უცილობლად. (Dom Pérignon).

II.

André Secondé-Prevoteau

მევენახე და შამპანიურის ოსტატი სოფელ ამბონაიდან - ანდრე სეკონდე-პრევოტო - ამბობს, რომ რენსის შესანიშნავი კათედრალის დასავლეთის მთავარ ფასადზე გამოკვეთილი მომღიმარი ანგელოზი, თუ მას მნახველი დააკვირდება, - სეკონდე-პროვოტოს აზრით - "...შეხედავს,რომ ანგელოზს თითქოს ხელში უჭირავს შამპანურით სავსე ჭიქა და ამ ღვთიური სასმელით გვპატიჟებს ამ დალოცვილ ტაძარში"; თუმცა ნათელია, რომ რენსის კათედრალური ტაძრის ანგელოზი უკვე 1250 წლიდან იღიმება, ხოლო შამპანური პირველად 1670 წელს იქნა გამოგონებული.

III.

Ay

აღნიშნული ლეგენდის მაინც-და-მაინც არ ჯერა შამპანურის სოფლის - აი-ს - მევენახესა და შამპანურის ოსტატს როჟერ ბრიუნს, მაგრამ ამბობს, რომ შამპანური ციდან წვიმასავით არ მოსულა; უთუოდ, წმინდა ბერებს უნდა ცოდნოდათ თუ როგორ ხდება "cuvée", ე.ი. ყურძნის დადუღება დიდ საწნახელში თუ საცავში, ის გადამწყვეტი შერევა სხვადასხვა სახისა და წლების ღვინისა, რომლის შედეგად იქმნება შამპანურის უცვლელი ხარისხი.

IV.

Nicolas Ruinart

შამპანურის "პირველი სახლი" შექმნა რენსში ნიკოლას რიუნარტმა,1729 წელს, რომელიც იყო ბენედიქტეს ბერის დომ თიერი რიუნარტის ძმის შვილი, თიერი რიუნარტისა, რომელიც დომ პერინიანის მეგობარი იყო. ნიკოლას რიუნარტის სარდაფებია,32 მეტრის სიღრმეში რომაული ეპოქის კირის საბადოებში, რომელიც უკვე ისტორიულ ძეგლების დაცვის ნუსხაშია შეტანილი.

V.

შამპანურის დადუღება-დაყენებაზე უფრო რთული პროცესი მეღვინეობაში, ალბათ, არ არსებობს: შამპანურს ესაჭიროება ორმაგი დადუღება, რომლის დროს ბოთლის "შემბრუნებლები", რომლებიც ყელით დაბლა, ხის თაროებში "ჩასობილ" ბოთლებს განსაზღვრული დროის განმავლობაში შეაბრუნებენ ხოლმე, რომლის დროს თითოეული "შემბრუნებელი" ="remueurs" დღიურად 60-ათასამდე ბოთლს აბრუნებს. თხლე, რომელიც ბოთლის ყელში იყრის თავს, უნდა გამოსხმულ იქნას ბოთლიდან ე.წ-ლი"ყინულოვანი შოკით", ბოთლი უნდა შეივსოს და დაცობილ იქნას პროპკით.

VI.

შამპანურის ვენახის გაშენება, მოვლა-პატრონობა, ადგილის არჩევა და დაყენება სასტიკი კანონითაა განსაზღვრული. შამპანში, შამპანურის ამ რეგიონში, რომლის დედაქალაქია რენსი, სულ არსებობს 15.000-ი მევენახე, რომელთაგან შამპანურის "დიდი სახლებია" სულ 150-ი. შამპანურის მამულებს კი უკავია სულ 34.000-ი ჰექტარი. ერთი ბოთლი შამპანურისათვის საჭიროა ორ-ნახევარი გირვანქა ყურძენი.

VII.

საფრანგეთში 1992 წელს, მაგალითად, დამზადებულ იქნა სულ 214-ი მილიონი ბოთლი შამპანური, რომელთაგან 139 მილიონი ბოთლი დალიეს თვით ფრანგებმა, ხოლო 75 მილიონი ბოთლი გაიტანეს უცხოეთში, ყველაზე მეტი კი გერმანიაში, სადაც გერმანელებმა დალიეს 14-ი მილიონი ბოთლი ფრანგული შანპანური იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, როცა თვით გერმანია 370-მილიონ "გერმანულ სექტს" ამზადებს, რომლის დაყენება დაახლოებით შამპანურის წესით ხდება, მაგრამ – ვერსალის ხელშეკრულების თანახმად –"შამპანური"არ შეუძლია უწოდოს.

VIII.

შამპანის რეგიონში მოგზაურობა, მისი დედაქალაქის რენსის დათვალიერება და შემდეგ "შამპანის გზით" ქალაქ ეპერნესაკენ გამგზავრება ავტომბილით, ეპერნეს შემოგარენის შამპანურის მამულებით გამშვენიერებული მაღლობების დათვალიერება, თვით მდინარე მარნის ხეობის ჩათვლით, წარმოუდგენელი სიამოვნების წყაროა. თვით ქალაქი ეპერნე კი არის შამპანურის "დიდი სახლების", როგორც,მაგალითად, "მოეტ და შანდონის" მთავარი სადგომი. მერსიერთან დგას ბუმბერაზი ბოჭკა, რომელიც იტევს 200.000-ს ბოთლს, და რომელიც 1889 წლის გამოფენაზე პარიზში 24-მა ხარმა ჩააგორა. ეპერნეშია აგრეთვე ბერ დომ პერინიანის ძეგლი.

IX. – მარია-ანტუანეტა –

სხვათა შორის, როცა 1770 წელს, 14 წლის ავსტრიელი პრინცესა ვენიდან პარიზში გაემგზავრა, რომ საფრანგეთის მეფის ლუი XVI-ს მეუღლე გამხდარიყო, ღამე გაათია შალონში,მდინარე მარნზე,პოტელ ანგლეტერში,რომელიც სასწაფოდ მოაწყვეს დიდი სტუმრის მისაღებად. სავარაუდოა, მარია-ანტუანეტამ მაშინ დალია პირველად შამპანური. 20-ი წლის შემდეგ კი, როცა საფრანგეთის მეფე ლუი XVI. გარბოდა რევოლუციონერებისაგან და შამპანის დაბა სენტ-მენულში, ბერ დომ პერინიანის დაბადების დაბაში, დაზინავდა, ფოსტის მეპატრონემ – დრუემ – იცნო მეფის ოჯახი; დაასმინა, რის შედეგად მთელი სამეფო ოჯახი დააპატიმრებს დაბა ვარენ-ანარგონში. ბედის ირონია: პარიზში დაბრუნებისას, სამეფო ოჯახმა ღამე გაათია სწორედ მარია-ანტუანეტის პირვანდელ სადგომში, სანამ მეფესა და მარია-ანტუანეტს ჩაიყვანდენ პარიზში და თავს მოკვეთდენ პარიზის კონკორდის მოედანზე.

X.

მაგრამ ამგვარი ტრაგიკული ბედი რა კავშირშია შამპანურთან, ამ ღვთაებათა სასმელთან?!.. უფრო არ შეესაბამება შამპანურს მადამ პომპადურის გამონათქვამი?.. "შამპანური არის ერთადერთი ღვინო, რომლის დალევის შემდეგაც ქალი ლამაზი რჩება."

XI.

და ამის შემდეგ გასაკვირია ბერ დონ პერინიანის წამოძახილი:"მოდით ჩქარა, მე ვსვამ ვარსკვლავებს!"

XII.

მაგრამ ვითომ ქართულ ღვინოს("მე ყველაფერი ქართული მიყვარს!") ნაკლები ძალა აქვს, რომ მისი დალევისას ჩვენც დავინახოთ ვარსკვლავები?.. თუ ჩვენ ლაზათიანი ქართული ღვინის დალევისას მხოლოდ 'ვარსკვლავებს ვხედავთ' და მივივიწყეთ საქართველოს სვე-ბედი?!.. ღმერთმა დაგვიფაროს!..

Le vignoble de CHAMPAGNE
Reims - Épernay
კარლო ინასარიძე
რენსი – ეპერნე, 1994 წლის 21 მაისი

---

"ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, – რაც გინდ პატარა ერი იყოს, – არავისთვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი...ყველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნის".

ილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

## შრომა აკეთილშობილებს ადამიანს

1.

შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, ვამბობთ, და აქ გვაგონდება ჩვენი ერის მითოლოგიური საწყისები, რაც, უდავოა, რეალურ ბაზას ეყრდნობა, რომლის თანახმად უხსოვარი დროიდან ბერძნები, ეს უძველესი "ბრძენი ერი", ქართულ ტომებს, ქართველობას "გეორგოსს", ე.ი."მიწადმომქმედებს" უწოდებდენ, და ეს სახელწოდება შემოგვრჩა დღემდე მსოფლიოსთითქმის ყველა ერში. და ჩვენც, ქართველები დღემდე მიწადმომქმედნი ვართ არსებითად, მიუხედავად პირველი, მეორე და ახლა მესამე ინდუსტრიული რევოლუციისა, რომელთა უახლესი საფეხური ელექტრონიკისა და გენტექნიკის მეცნიერებებს ეყრდნობა.

2.

"მიწადმომქმედი" ქართველი ერის მითოლოგიური და ამით რეალური გამოვლინება "თეთრი გიორგი", ქრისტიანულ ეპოქაში "წმინდა გიორგად" წოდებული,რომელიც დღესაც გაღმერთებულია საქართველოში, რადგან – როგორც ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე ამბობს – მითოლოგიური რეალობა არის უფრო მეტი და ღ რ მ ა ა, ვიდრე ისტორიული რეალობა. და ეს მითოლოგიური რეალობა გვაუწყებს, რომ ქართველი ადამიანი გამწევ ძალად, უხსოვარი დროიდან, იყენებდა ხარს; ხარის რქები მან დააკავშირა ნაკლოვანი მთვარის ფორმასთან; სრული მთვარე კი მან გააიგივა ადამიანის სახესთან, და ასე წარმოშობილა სახელი "გეორგოს",ე.ი.მიწადმომქმედი, რომელიც მთვარიანი "თეთრი ღამის" შედეგად, "თეთრ გიორგად" იწოდა, რაც, როგორც ავღნიშნეთ, ქრისტიანობის ეპოქაში "წმინდა გიორგი" გახდა. და მიწადმოქმედების ამ მითოლოგიურ ბაზას, როგორც საქართველოს ისტორია გვასწავლის, სულ ცოტა, შვიდიათასი წლით განსაზღვრავენ. და ვითომ დღეს, კომპიუტერებისა და გენტექნიკის ეპოქაში შრომამ დაკარგა ამგვარი პირველადი მნიშვნელობა, რადგან გამწევი ხარის ფუქცია,უკვე დიდიხანია,მანქანამ გადაიბარა, ხოლო შრომა ისე დაანაწილა, რომ დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ გონებრივ და ფიზიკურ შრომაზე, თითქოს შრომა არ იყოს გონებრივ-ფიზიკური ხასიათის ერთდროულად?..

3.

ამას ემატება კიდევ ის ფაქტი, რომ – უცხო, იმპერიული "ბნელი ძალების" წყალობით – საქართველოში ახლა, დაწყებული 90-იანი წლებიდან, ისეთი განუკითხაობა არსებობს, რომ ხდება ყოველ ფასოვანებათა-გადაფასება, რის ერთ-ერთი შედეგია ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება დაინგრა, რასაც, სხვა უბედურობებთან ერთად, მოყვა მასობრივი უმუშევრობა; უმუშევრობა კი,არა მარტო ეკონომიკურად მოშლილი ქვეყნის, არამედ ეკონომიკურად ძლიერის ქვეყნის განუკურნებელი ავადმყოფობა არ არის, რაც უფრო სასტიკად და განუკითხავად მოქმედებს ეკონომიკურად დანგრეულ ქვეყანაში, როგორიცაა დღეს საქართველო?..

4.

ამის შედეგად, უმთავრესად საქართველოდან ახლახან გამოსული ქართველობა უცხოეთში ამტკიცებენ, რომ თითქოს ქართველებს შრომა არ უყვართ, ზარმაცებია;თითქოს თვითონ ქართველები არ იყვნენ!.. რა თქმა უნდა, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ:ამაშიც უცხო, ბნელი იმპერიული ძალების ანტიქართული მოქმედება იგრძნობოდა და იგრძნობა, რომლის მაგალითებია, თუ გნებავთ, შემდეგი:

5.

იმპერიული ძალები ცდილობდა,უკვე ორასი წელიწადია, საქართველო, როგორც სახელმწიფო მოესპო,რომ სრულიად დამოკიდებული გაეხადა "ცენტრისადმი", რის ერთერთ ძლიერ იარაღად გამოიყენეს საქართველოში არაქართველთა მასობრივი ჩამოსახლება და ამით ქართველობის ხვედრითი წონის შესუსტება საქართველოში, რომლის უახლესი და ტრაგიკული მაგალითებია ქართველობის გამორეკვა შიდა ქართლიდან და ჩვენს აფხაზეთიდან, რომლის დროს "ბნელ ძალებმა, ვთქვათ ღიად,რუსეთმა ქართველთა გენოსიდისაგანაც არ დაიხია უკან. ამგვარი იმპერიული, ანტიქართული პოლიტიკის ერთერთი შედეგია აგრეთვე მთელი საქართველოს თითქმის მონოკულტურის ქვეყნად გადაქცევა, რასაც მოყვა ჩაის პლანტაციების შეუსაბამო გაშენება საქართველოში და ამით რუსეთის ბაზართან კიდევ უფრო ძლიერი დაკავშირება; საქართველოში კი ისეთი ინდუსტრიული ცერტების შექმნა, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია საქართველოში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის სანიმუშო მაგალითია ქუთაისის საავტომობილო ქარხანა; და პური?.. "პური ჩვენი არსობისა?.." საქართველოს შეუძლია საქართველო მოამარაგოს პურით საკუთარი სახნავ-სათესი მიწების წყალობით, მაგრამ ეს გზაც რომ ალკვეთა ბოლშევიზმმა, რომ საქართველო ამ გზითაც ვერ ჩამოშორებოდა რუსეთს?.. და საქართველოს მადნეულობას, ხე-ტყეს თუ სხვა რესურსებს ისე განაგებდა ცენტრი, რომ საქართველომ თითქმის არაფერი არ იცოდა თუ რა გაქონდა რუსეთს საქართველოდან, ხოლო რაც საქართველოში შემოქონდა იმას დაფითა და ნაღარით მთელ მსოფლიოს აუწყებდა თუ როგორც დიდბუნებოვანი, უანგარო იყო რუსეთი საქართველოსა და სხვა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ. და განა გასაკვირია, რომ ამგვარი დიდმპყრობელური ეკონომიკური ცხოვრების დაშლასა და ეროვნული ეკონომიკური ცხოვრების თავიდან აშენებას ისეთი ძვრები მოყვა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს საქართველოში, როცა ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსის პირისპირ ვდგევართ?..

6.

მაგრამ ყველაფერს უცხო, ბნელ ძალებსაც ვერ დავაბრალებთ, რადგან ამ ბნელი ძალების სამსახურში დგანან არა მარტო აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტები, არამედ ქართველების ის, არც ისე მცირე ნაწილი, რომლებიც – შეგნებულად თუ შეუგნებლად – დიდმპყრობელი შოვინისტების სამსახურში დგანან, როცა, ჯერ, პირადი ანგარიშებით, უცხოეთში გარბიან, და, შემდეგ, გაუთავებელ პროპაგანდას, დიას, პროპაგანდას აწარმოებენ, რომ ქართველებს შრომა არ უყვართ; ქართველები ზარმაცები; ქართველებთან საქმის გაკეთება შეუძლებელია; ყველა შეიარაღებულია; ბანდიტობენ; ერთმანეთს კლავენ და ძარცვავენ; თბილისს მწვანილეულობით მხოლოდ აზერბაიჯანელები ამარაგებენ; ქართველები ფიზიკურ შრომას გაურბიან; "დიპლომების" შეძენაში ხარჯავენ ფულს, თუ ღვინის სმაში ატარებენ დროს; საქართველოს ბედი კი ფეხებზე ჰკიდიათ; და სხვა ამგვარი უმსგავსობას ავრცელებენ უცხოეთში, ე.ი. საქართველოს საზღვრებს გარეთ ეს "ბნელი ძალების" შეგნებული თუ შეუგნებელი პროპაგანდისტები.

7.

დიდმპყრობელი შოვინისტების ერთი ასეთი შეგნებული თუ შეუგნებელი პროპაგანდისტი ისე შორს წავიდა, რომ გვიმტკიცებდა, რომ აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები, აფხაზები და კავკასიის სხვა ტომებიც "ჭკუიანად მოქმედებენ", ქართველობა კი განწირულია, რითაც იმის თქმა სურდა ამ ვაჟბატონს, რომ ჩვენ ისევ რუსეთის მათრახი გვჭირია როგორც ეკონომიკურ, ისევე პოლიტიკურ სფეროში, ე.ი. ეს და ამგვარი ვაჟბატონები შეგნებული თუ შეუგნებელი მონებია, როცა საქართველოს ისევ დიდმპყრობელ-შოვინისტების უღელში გაბმას ცდილობენ.

8.

რა თქმა უნდა, დიდმპყრობელ-შოვინისტების პროპაგანდისტებისამგვარი გამოხტომები უსაფუძვლო არ არის თუ ჩვენ საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას მივიღებთ მხედველობაში, რომლის ერთერთი გამოვლინებაა, მაგალითად, დისპროპორცია საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურაში, რომელიც გამოიწვია იმ იმპერიულმა პოლიტიკამ, რომლის ძალით საქართველო გახდა არა მარტო ჩაის თუ ღვინის თითქმის მონოკულტურის ქვეყანა, არამედ ინტელიგენციის საექსპორტო ქვეყანაც, რის შედეგად საქართველოში არაპროპორციულად გაიზარდა ინტელიგენციის ფენა, რომელიც საჭირო არ იყო საქართველოსათვის, რის შედეგად მიდიოდენ რუსეთში, რაც – თავის მხრივ – ასუსტებდა ქართველთა ხვედრით წონას საქართველოში და – მეორე მხრივ – იზრდებოდა უცხო მუშახელი საქართველოში. ეს პრობლემა, როგორც ჩანს, არსებობს დღესაც, რაც საჭირო ღონისძიებების მიღებას, ე.ი. პროპორციულობის დამყარება საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენათა შორის მოითხოვს. მაგრამ ეს და სხვა ამგვარი ნაკლი საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ვინმეს, განსაკუთრებით ქართველებს საბაბს აძლევს გახდნენ დიდმპყრობელ-შოვინისტების პროპაგანდისტები საქართველოსა თუ უცხოეთში?..

9.

ჩვენ გვწამს, გვჯერა, რომ საქართველო გამოვა დღევანდელ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობიდანაც თუ ჩვენ, ყველა ჩავდგებით კონსტრუქციული პოზიცია-ოპოზიციის, დემოკრატიის ამ მოტორის, რიგებში, რის საფუძვლად უკვე აღიარებულია 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი". ვინც ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური მრწამსის უგულებელყოფასა და საქართველოს ისევ უცხო ბატონობის ქვეშ მოქცევას ცდილობს, ის არის შეგნებული ან შეუგნებელი მონა, დიახ მონა, რადგან არ იცის ან არ ესმის თუ რა არის ადამიანის ღირსება, ეროვნული ღირსება, პიროვნული ღირსება; და ყველა ამ ჰუმანიტარულ ღი-

რეზულებას "ლუკმა პურზე" ჰყიდის თითქოს ადამიანი კი არა გარეული ცხოველი იყოს.

10.

ვითომ ჩვენ მივივიწყეთ შოთას სიბრძნე -"რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს?" ვითომ ჩვენი მუშები უკვე ვეღარ მუშაკობენ, როცა ფიზიკურ შრომას გაურბივართ, რასაც ჩვენგან მარტო ბედი კი არა, "პური ჩვენი არსობისა" მოითხოვს?.. ვითომ ჩვენ მივივიწყეთ მეომარის გულოვნობაც, როცა ერთი-მეოთხედი-მილიონი ქართველი ცხვრებივით გამორეკა სოხუმის რეგიონიდან ერთ მუჭა აფხაზ ექსტრემისტებმა და მისმა დამხმარე "ბნელმა ძალებმა?.." თუ ჩვენი მეომრული გულოვნობა მაშინ დავანგრიეთ ჩვენ, როცა საქართველოს თავდაცვის საქმე უცხო ქვეყანას გადავეცით, ხოლო ჩვენი თავდაცვის სარდლობას-საქართველოს თავად-აზნაურობას - მისი ფუნქცია წავართვით, "ხორცმეტად" ვაქციეთ, და, შემდეგ, ჩვენი მწერლობა მათ დასცინოდა კიდეც ისე, რომ თითქოს საკუთარი თავდაცვისუნარიანობის დაკარგვა სასაცილო იყოს!.. და აქედან ხომ არ დაიწყო ჩვენი ეროვნული უბედურება, როცა საქართველოს მუშებს მუშაკობის, ხოლო მეომრებს გულოვნობის ბაზა გამოვაცალეთ?.. და სად არის დღეს ის ბირთვი, ის საყრდენი ძალა, რომლის ირგვლივ თავს მოიყრიდა მუშაკი მუშა და გულოვანი მეომარი?.. ვითომ მოიპოვება კიდევ მსოფლიოში სხვა ერი, რომელიც თავისი ეროვნული ერთობის საყრდენს, ბაზას თვითონ ანადგურებს და ყოველი ჯურის დამპყრობლის ლუკმა პური ხდება?.. და განა ამ მხრივაც ჩვენ ბევრი რაიმეს სწავლა არ შეგვიძლია ევროპის ერების, ვთქვათ, ფინელი, დანიელი თუ ირლანდიელი ერებისაგან?..

11.

და, ისევ რომ შრომის სფეროში დავრჩეთ, გვაგონდება ერთი ევროპაში მეტად გავრცელებული გამოთქმა: გერმანელები ცხოვრობენ იმისათვის, რომ იმუშაონ, ხოლო ფრანგები მუშაობენ იმისათვის, რომ იცხოვრონ!.. და ჩვენ ქართველებმა ორივე ხომ არ შევაერთეთ, როცა ვმუშაობდით ცხოვრებისათვის და ვცხოვრობდით მუშაობისათვის, რაც თავს იყრიდა და, გვჯერა, დღესაც იყრის ქართულ ტრადიციულ სუფრასთან; და ამჯერადაც ამ ბაზას, ბირთვს არ უნდა დავუბრუნდეთ, რომ "მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს?.."

12..

როგორ ვთქვით დასაწყისში? - შრომა აკეთილშობილებს ადამიანს; კიდევ მეტი ადამიანი შრომის "პროდუქტია", თუმცა შრომა, თანამედროვე მეცნიერებამ და ტექნიკამ გონებრივ და ფიზიკურ შრომად დაანაწილა; ხოლო თვით ძრომა ხომ გონებრივ-ფიზიკურია ერთდროულად? და თუ ვინმე ფიზიკურ შრომას თავს არიდებს, იგი, პირველყოვლისა, ზიანს არ აყენებს თავისთავს, რის ნაწილობრივ ანაზღაურებას ზოგიერთები სპორტით ცდილობენ? მაგრამ სპორტი მოსახლეობის ყველა ფენის სამყარო არ არის, სამყარო არ უნდა იყოს?

13.

ჩვენ გვწამს, გვჯერა, რომ ჩვენ ყველა ერთად, ყ ვ ე ლ ა აღნიშნულ და არაღნიშნულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ სიძნელეებს, უდაოა, გარდავლახავთ თუ ჩვენ ვიმოქმედებით ჩვენი ერის აწ უკვე შეიდათასწლოვანი რწმენით, რომ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, რომლის სახეა "თეთრგი გიორგი", "წმინდა გიორგი".

კარლო ინამახრიძე

ლევილი, 1994 წლის 27 სექტემბერი

სოხუმის დაცემის ერთი წლისთავი

## გ ლ ე ხ ო ბ ა   ევროპის კავშირში

ევროპის კავშირში შემავალ 12 სახელმწიფოში სულ უფრო და უფრო მცირდება გლეხობა დასაქმებულ მოსახლეობასთან შედარებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ცდილობს თავისი სოფლის მეურნეობის პროდუქტები გაყიდონ ევროპის გაერთიანების წევრ-ქვეყნებში, რომ მიიღოს ვალიუტა ამ ქვეყნების ინდუსტრიული ნაწარმის შესასყიდათ, ხოლო - მეორე მხრივ - ევროპის გაერთიანებაში კონკურენციას პატარ-პატარა საწარმოები ვერ უძლებენ, რის შედეგად იზრდება გამსხვილებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობა, რაც უახლეს სასოფლო-სამეურნეო იარაღებს იყენებენ, რაც - თავის მხრივ - ამცირებს მუშახელის რაოდენობას სოფლის მეურნეობაში. აი, დიაგრამა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შესახებ:

საბერძნეთში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1980 წელს მოსახლეობის 30,3 პროცენტი; 1991 წელს კი - 23,9 პროცენტი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალიაში | 27,3 | " | " | 17,5 | " | . |
| ესპანეთში | 19,3 | " | " | 10,7 | " | . |
| ირლანდიაში | 18,4 | " | " | 13,8 | " | . |
| იტალიაში | 14,2 | " | " | 8,5 | " | . |
| საფრანგეთში | 8,7 | " | " | 5,8 | " | . |
| დანიაში | 8,0 | " | " | 5,7 | " | . |
| გერმანიაში | 5,3 | " | " | 3,3 | " | . |
| ლუქსემბურგში | 5,1 | " | " | 3,1 | " | . |
| ჰოლანდიაში | 4,9 | " | " | 4,5 | " | . |
| ბელგიაში | 3,2 | " | " | 2,7 | " | . |
| ბრიტანეთში | 2,6 | " | " | 2,2 | პროცენტი. | |




ზც-20.10.1993 წ.

## შ е ი ა რ ა ღ ე ბ ი ს

## „მ ე ს ა მ ე   ტ ა ლ ღ ა"

### ყველაზე უფრო დიდი რევოლუცია შეიარაღებაში ატომური ბომბის შემდეგ

I.

თითქოს მშვიდობიანობას ეყრება საფუძველი მას შემდეგ, რაც ბოლშევიზმი გაკოტრდა და რუსეთმა ამერიკის წინაშე დაიჩოქა; რუსეთმა საქართველო, ქართველობა დაგვაჩოქა, როცა 300-ათასი ქართველობა გამორეკა ჩვენი მიწა-წყლიდან აფხაზეთის რეგიონში თუ შიდა ქართლიდან. მაგრამ, როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, მშვიდობიანობა მზადებაა ომისათვის; თუმცა მშვიდობიანობა არსებობს ატომურ სახელმწიფოებს შორის, რადგან ატომური ომის ეშინიათ, ხოლო პაწარ-პაწარა ომები, როგორიც რუსეთმა აწარმოა, მაგალითად, საქართველოს წინააღმდეგ და დაგვაჩოქა, მხოლოდ ყოველ კუთხეში წარმოებს, მეტ-ნაკლებით სიმკაცრით, რომლის ერთ იმპერიალური სახელმწიფოები, როგორიც იყო და დარჩა რუსეთი, იმათ აწვდის იარაღს, რომლის გამარჯვება მას სურს, თუმცა ამ ე.წ-ლ "გამარჯვებულსა" - ჩვენს შემთხვევაში შიდა ქართლში მცხოვრებ ოს ექსტრემისტებს თუ აფხაზ ექსტრემისტებს იმდენად იყენებენ მარიონეტებად, რამდენადაც ეს რუსულ იმპერიულ პოლიტიკას შეესაბამება. ამ მხრივ, როგორც ჩანს, დღესაც ისევე მტაცებელი, ისევე დაუნდობელია იმპერიული სახელმწიფოები, ჩვენს შემთხვევაში, რუსეთი, როგორიც იყვნენ წარსულშიც ყველა იმპერიული სახელმწიფო, იყო ეს "პირველი რომი","მეორე რომი" თუ ბრიტანეთის იმპერია. ამის შედეგია ის, რომ,მიუხედავათ ბოლშევიზმის გაკოტრებისა, როგორც აღვნიშნეთ, დიდი სახელმწიფოების შეიარაღება ისევ გრძელდება სულ ახალ-ახალი გამანადგურებელი ია-

რაღების გამოგონება-შექმნით, როგორც ეს იყო ისტორიაში წარსულშიც. და, აი, უკანასკნელი "მიღწევები" თუ "ვიზიონები" ამ მიმართულებით:

II.

"ექსო-მეომარი" თუ "ექსო-კაცი" ეწოდება, მაგალითად, მომავალ ჯარისკაცს, რომლის შეიარაღებისათვის აწარმოებს კვლევა-ძიებას აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო და სამხედრო ინდუსტრია. ამგვარ "ექსო-ჯარისკაცს" გააჩნია თავზე მუზარადი სახურავიანი ნიღბით. მთელი ტანი, ხელები და ფეხები დაფარული აქვს პლასტიკისაგან გაკეთებული ჯავშანით; გააჩნია "ელექტრონიკული ყურები", რომლითაც ყოველ უმნიშვნელო ხმაურსაც კი ისმენს, და ავტომატურად აძლევს ბრძანებას მინიატურულ შვეულმფრენს, რომელიც მაშინვე გამოჩნდება ხმაურის ადგილას, და აღმოაჩენს, ვთქვათ, ტანკს რამდენიმე მეტრის იქეთ. ამ დროს ეს "ექსო-კაცი" გადახტება ტანკსა და მას შორის არსებულ სახლებზე, რომლის დროს სახროლავ ამზადებს მინიატურულ რაკეტას და წარმართავს ტანკის მიმართულებით, რომელიც ტანკს აფეთქებს.

II.

ფუტუროლოგები ელვინ და ჰაიდი ტოფლერი, მათ ახლახან გამოქვეყნებულ წიგნში -"გადარჩენა 21-ე საუკუნეში" - აღწერენ ომის სრულიად ახალ ფორმებს, რომელშიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს შეიარაღების "მესამე თაობა" - ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ატომური ბომბის შემდეგ. მათი აზრით, ამგვარი ომი იქნება "ცოდნის ომი", რომელშიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს საინფორმაციო ტექნოლოგია; ჯარისკაცთა მასა, მილიონობით ტანკები, ქვემეხები თუ თვითმფრინავები კარგავს თავიანთ მნიშვნელობას, და წარმატება ამგვარ ომში პირველ ყოვლისა ეყრდნობა სწრაფ კომუნიკაციას. ამგვარი ვიზიონი იყო ომი, 1991 წელს, ერაყის წინააღმდეგ, რომელშიც წარმატება ჰქონდა არა ჩვეულებრივ ბრძოლებს, არამედ რადარისაგან დაუნახავ, უჩინარ, ე.წ-დ "სტილთ"-ბომბდამშენ თვითმფრინავს, ავტომატურ რაკეტებს თუ ომის ელექტრონიკული წარმართვის სტრატეგიას.

III.

"ინტელიგენტური" წყალქვეშა ნავის რაკეტას, მაგალითად, ფუტუროლოგების აზრით, შეუძლიათ რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული თავმოყრილი ტანკები გაანადგუროს, რომლის დროს ამ "ინტელიგენტ" რაკეტას შეუძლია ასობით პატარ-პატარა თვითმართული რაკეტები გადაყაროს, რომლებიც თვითონ ნახულობენ ტანკებს და - ზუსტი ელექტრონიკის მეშვეობით - ტანკების მოტორებს აფეთქებენ.

IV.

მუშაობენ აგრეთვე "მიზნის-მძებნელ-ფეთქად-სხეულზე", რომელიც აეროდრომებზე, ბუნკერზე თუ სატრანსპორტო კოლონებზე იმდენხანს ფრინავენ ჰაერში, სანამდე გასანადგურებელ ობიექტს თვითონ იპოვნიან.

V.

ქმნიან აგრეთვე ნაღმებს, რომლებიც მტრის ტანკებს, შეცდომის გარეშე, აღმოაჩენენ და აფეთქებენ.

VI.

ქმნიან აგრეთვე კომპიუტერებს, რომლებითაც აღჭურვილია უმცირესი დანაყოფი, მეთვალყურე ჯარის ნაწილებიც კი, და დაუყოვნებლივ იძლევა ცნობებს ადგილის, მტრის მდგომარეობისა და მისი განადგურების შესაძლებლობის შესახებ.

VII.

არსებობს აგრეთვე "კომპიუტერის ვირუსები" და "შოკის ბომბები", რომლებიც მტრის კავშირგაბმულობის სისტემას ანადგურებენ.

VIII.

მუშაობენ აგრეთვე "არა-მომკვლელ იარაღებზე", როგორც, მაგალითად, "ქაფის მტყორცნელ იარაღებზე", რომლებიც "ისვრიან" თხევად მასას, რომელიც რასაც მოხვდება იმავე წამს გააშეშებს. "ბგერათა ტალღის გენერატორს" კი შეუძლია მეომარს გული აურიოს და ის მწყობრიდან გამოიყვანოს. "სეკუნდის წებოს", რომელსაც სათანადო იარაღით "ისვრიან" ხოლმე, შეუძლია თვით ტანკის ბორბლები და საბარგო ავტომობილი "შეკრას" და ადგილს "მიაწებოს". არსებობს ქიმიური ნივთიერებანიც, რომელიც საწვავს წყალს ან ბენზინს გამოუსადეგარ სითხედ აქცევენ.

IX.

სრულიად
აშშ-ში უკვე 1994 წლის ზაფხულში ჩაატარა მანევრები "პირველმა დიგიტალურმა ბატალიონმა". ("მ3.",33-1994 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

X.

როგორც ვხედავთ, ზე-სახელმწიფოები ემზადებიან მომავალი მოსალოდნელი "მესამე ტალღის" შეიარაღებით ბრძოლისათვის, რომლის მამამთავარია ერთადერთი ზე-სახელმწიფო მსოფლიოში - აშშ, რომელმაც - არა მარტო სამხედრო სფეროში, დააჩოქა ბოლშევიკური რუსეთი. მაგრამ პოსტ-ბოლშევიკური რუსეთიც, სამხედრო თვალსაზრისით, მაინც იმდენად ძლიერია, რომ "დიდი ამერიკაც" კი სდუმს, ენას არ იდებს, როცა რუსეთი შიშის ზარს ჰკრის განსაკუთრებით მის "ახლო უცხოეთის" სახელმწიფოებს, განსაკუთრებით საქართველოს, სადაც რუსეთი, სამხედრო თვალსაზრისით, შეუწყალებლად ბატონობს, როცა სოხუმი და მისი რეგიონი, ცხინვალი და მისი რეგიონი გაწმინდა ქართველობისაგან და ქართველობა ლტოლვილებად აქცია საქართველოშივე. საქართველოს, ქართველობას და საერთოდ კავკასიის ერებსა და ტომებს რუსეთი იმდენ იარაღს აწვდის, რამდენიც საჭიროა ამ ერებისა და ტომების ურთიერთ-განადგურებისათვის, რომ - საბოლოო ჯამში -, მაგალითად, დაეპატრონოს საქართველოს ქართველობის გარეშე, ე.ი. საქართველო აქციოს გეოგრაფიულ ცნებად, რასაც ხელს ვუწყობთ ჩვენც, ქართველობაც, როცა ერთმანეთის სისხლს ვღვრით.

XI.

ვითომ შეიარაღების ეს "მესამე ტალღა" კიდევ უფრო მეტ საშიშროებას უქმნის არა მთელ მსოფლიოს, არამედ ჩვენს სამშობლოსაც, რადგან ჩვენ ჩვეულებრივი იარაღიც კი არ გაგვაჩნია, რომ ოდნავად მაინც დავიცვათ ჩვენი სამშობლო?..

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1994 წლის 21 სექტემბერი

## პოლიტიკური კულტურა

"ჩვენ, ქართველობამ, ყველამ - პიროვნულად თუ პარტიულ-საზოგადოებრივად,- ჩვენდა საუბედუროდ, მივივიწყეთ ქართველი ერის უძველესი პოლიტიკური კულტურა, როცა ჩვენ სხვა აზრის მქადაგებელს ჩვენს მტრად, 'მოსისხლე მტრად' ვთვლით. ამით დავივიწყეთ აგრეთვე ისიც, რომ ცალკეული პიროვნებების, პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების იდეური ჭიდილი-შეჯახება ერის, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სისუსტე კი არა, სიძლიერეა. სწორედ აზრთა ამგვარ შეჯახება-ჭიდილში ადამიანი, ერი უახლოვდება ჭეშმარიტებას და არა (a priori) 'აბსოლუტიანი' ერთსულოვნებისას, რაც - თავის მხრივ - აზროვნების გაყინვას უდრის. საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური კულტურის დაცვა, რომ ამა თუ იმ იდეის, აზრის დამცველის თვით მისი მქადაგებელიც არ იქნეს დაგმობილი, რაც, გასაგებია, ადვილი საქმე არ არის. მაგრამ სწორედ ამაში არ მჟღავნდება ერის, საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის პოლიტიკური კულტურა, რომ მიღწეული, განხორციელებულ იქნას ერთობა მრავალფეროვნებაში, რაც - თავის მხრივ - სხვადასხვა აზრთა, შეხედულებათა თანაარსებობას გულისხმობს?.. ამდენად, პოზიცია-ოპოზიცია ერთი მთლიანობაა, რომლის დროს პოზიცია, ე.ი. უმრავლესობა(მთავრობა) მოქმედებს, და ოპოზიციაც მოქმედებს კონსტრუქციული კრიტიკის გზით, რის შედეგად დღევანდელი ოპოზიცია ხვალ შეიძლება პოზიცია გახდეს. ამგვარი ქართული პოლიტიკური კულტურა კი აღიარებს კანონის უზენაესობას და უარყოფს ყოველი ჯურის 'შეიარაღებულ ოპოზიციას', რადგან ეს უკანასკნელი პოლიტიკური კულტურის უგულებელყოფას უდრის".

კ.ი.,1993 წელი, 18 მარტი

## "მდიდარნი" და "ღარიბნი" მსოფლიოში

მსოფლიოს სამი მდიდარი და სამი ღარიბი სახელმწიფოების შედარება ენერგიის დახარჯვის, წყლის დახარჯვის და მოსახლეობის რაოდენობის შედარების მხრივ ასეთ სურათს იძლევა: ერთ სულ მოსახლეზე წლიურად:

| ქვეყანა | ბავშვი 1 ქალზე | ენერგიის დახარჯვა | წყლის დახარჯვა | მოსახლეობა |
|---|---|---|---|---|
| იაპონია | 1,6 | 3.586 კილოგრამ ზეთს | 732 კუბიკურ მეტრ წყალს | 124 მილიონი. |
| აშშ | 2,1 | 7.662 " " | 1.862 " " | 255 " . |
| გერმანია | 1,5 | 4.538 " " | 687 " " | 80 " . |
| ბრაზილია | 2,8 | 681 " " | 245 " " | 153 " . |
| ინდოეთი | 3,9 | 310 " " | 235 " " | 883 " . |
| მოზამბიკი | 6,5 | 32 " " | 55 " " | 16 " . |

"შპიგელ", 33-1994 წ.

## ლ უ დ ი თუ ღ ვ ი ნ ო?

### ს მ ი ს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ე ბ ი

რამდენ ლიტრა ღვინოს და რამდენ ლიტრა ლუდს სვამენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობა? - ევროპის გაერთიანების სტატისტიკური მონაცემებით, დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთის სახელმწიფოების მოსახლეობა უფრო სვამს ლუდს, სამხრეთელები კი სვამენ უფრო ღვინოს. აი, ეს სტატისტიკური მონაცემები:

ლ უ დ ს, საშუალოდ, ერთი სული წლიურად სვამს:

| | |
|---|---|
| გერმანიაში | 142 ლიტრას. |
| დანიაში | 125 " . |
| ირლანდიაში | 123 " . |
| ბელგიაში | 114 " . |
| ბრიტანეთში | 106 " . |
| ჰოლანდიაში | 90 " . |
| ესპანეთში | 71 " . |
| პორტუგალიაში | 63 " . |
| საფრანგეთში | 40 " . |
| საბერძნეთში | 39 " . |
| იტალიაში | 22 ლიტრას. |

ღ ვ ი ნ ო ს(წლიურად სულზე):

| | |
|---|---|
| საფრანგეთში | 72 ლიტრას. |
| იტალიაში | 63 ლიტრას. |
| პორტუგალიაში | 54 " . |
| ესპანეთში | 41 " . |
| ბელგიაში | 39 " . |
| საბერძნეთში | 33 " . |
| გერმანიაში | 25 " . |
| დანიაში | 20 " . |
| ჰოლანდიაში | 16 " . |
| ბრიტანეთში | 10 " . |
| ირლანდიაში | 4 ლიტრას. |

# Bière ou vin






ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ ჭილაძის "რკინის თეატრი" ფრანგულად

საფრანგეთის დიდ გამომცემლობამ "ალბან მიშელ-მა", პარიზში, 1994 წელს, გამოსცა ჩვენი თანამემამულის, მწერალ ოთარ ჭილაძის რომანი -"რკინის თეატრი" -, რომლის მთარგმნელებია ნინა კალატოზიშვილი და ქრისტინე ლუცი. ამ ოთხას-ოთხმოცდა-თორმეტ გვერდიანი რომანის ფასია 160 ფრანკი; და ფრანგულ პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობები და კრიტიკული შენიშვნები ამ რომანის შესახებ. პარიზის დიდ გაზეთმა"ლიბერასიონ", მაგალითად, თავის 1994 წლის 15 სექტემბრის ნომერში, გამოაქვეყნა ჟერარ მოედალის ვრცელი დასურათებული ცნობა მწერალ ოთარ ჭილაძისა და მისი ამ რომანის შესახებ, რომელშიც, სხვათა შორის, წერს: "ოთარ ჭილაძის თქმულება -'რკინის თეატრი' - პირველი თანამედროვე ქართული რომანია, რომელიც გადათარგმინდ იქნა ფრანგულად. ესაა აგრეთვე მისი ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის მიმოხილვაც. შევხვდი რა მას თბილისში ოჯახურ სუფრასთან, ოთარ ჭილაძემ მოგვითხრო მისი ქვეყნის სისხლიდან-დამცლელი სამოქალაქო ომის მხვედლობის ამბავი." "ოთარ ჭილაძის აზრით, წერს შემდეგ ჟერარ მოედალი, - ... მისი რომანის გამოცემა ფრანგულად არის აგრეთვე როგორც ლიტერატურული, ისევე პოლიტიკური მნიშვნელობის". და მართლაც, მწერალი ოთარ ჭილაძე აღნიშნული დიდი ფრანგული გაზეთის მეშვეობით, ფრანგულ ენაზე, გამოთქვამს აზრებს, რომელთა გამოთქმას გაურბიან დასავლეთის მასობრივი მედიუმები, ალბათ, რუსეთის შიშით თუ საქმის ნამდვილი ვითარების უცოდინარობის გამო.

აი ამონაწერები მწერალ ოთარ ჭილაძის გასაუბრებიდან ჟერარ მოედალთან, რომელიც თარგმნილია ფრანგულიდან ქართულად:

"შეუძლებელი იყო ადამიანური ცხოვრება საბჭოთა კავშირში, თქვა ოთარმა. ჩვენ მივდიოდით არა კომუნიზმისაკენ, არამედ უფსკრულისაკენ. ამ გაგებით, 'პერესტროიკა' იყო პოზიტიური მოვლენა იმიტომ, რომ რუსებმა აღიარეს: ისინი ჩვენს მიმართ იყვნენ ოკუპანტები. და ის, რაც დღეს მონათლულია ეთნიკურ კონფლიქტად აფხაზეთსა და საქართველოს შორის, სინამდვილეში არის ინტერესების კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის."

ამასთან დაკავშირებით, ჟერარ მოიდალი წერს:

"რუსებს არასოდეს არ დაუმალავთ ეს. ისინი ღიად მხარს უჭერდნენ აფხაზებს, რომ გაეფართოებიათ, საქართველოს ჩრდილოეთ-დასავლეთის ტერიტორიის დაპყრობით, გასასვლელი შავ ზღვაზე. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ოფიციალურად მონათლა ეს კონფლიქტი ეთნიკურ კონფლიქტად. ამ თეზისმა კი უფრო დიდი გამოძახილი მოიპოვა დასავლეთში ინტელიგენციის განსაზღვრული ნაწილის წყალობით. და ყველაზე უფრო ეს აღელვებს ოთარ ჭილაძეს", წერს ჟერარ მოიდალი და ისევ მოყავს ამონაწერი ოთარ ჭილაძის საუბრიდან:

"მეგობრობა, რომელსაც გვეფიცებოდნენ ჩვენ ჩვენი რუსი კოლეგები ეყრდნობოდა ყოველთვის პოლიტიკურ საფუძველს. მათ არ გააჩნდათ არც იდეა და არც სურვილი იმისა, რომ წარმოედგინათ საქართველო როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. როცა სახაროვმა მონათლა საქართველო როგორც 'პატარა იმპერია', ა მ ი თ მან შეგნებულად გააყალბა ჭეშმარიტება. სახაროვი შეეცადა დაერწმუნებია ყველა, რომ აფხაზეთის ~~და~~ ოსეთის ტერიტორია დაპყრობილი იყო საქართველოს მიერ. დაწყებული ამ მომენტიდან, არც ერთ ჩვენ მეგობარ რუსებს, რომლებმაც კარგად იციან საქართველოს ისტორია და ხშირად ბოდიშს იხდიდნენ იმისათვის, რაც რუსეთმა ზიანი მიაყენა საქართველოს წარსულში, - ენა არ ამოუღიათ ჭეშმარიტების აღსადგენად. ჩვენ დიდხან ვიყავით ერთად. ჩვენი მეგობრობა ძველია. ყველაზე უფრო სამარცხვინოა ის, რომ ეს რუსი მწერლები, რომლებიც ყოველთვის იბრძოდნენ დემოკრატიისათვის, აღმოჩნდნენ ჩვენს საწინააღმდეგო ბანაკში, ბარიკადების მეორე მხარეს. მე დავიცავი ეს შეხედულება სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა ლიტერატურნაია გაზეტა-ში, მაგრამ როცა მდგომარეობა გაუარესდა და მთელი ქართული მოსახლეობა გამოყარეს აფხაზეთიდან, ვერც ერთმა რუსმა მწერალმა ვერ გაბედა პასუხი გაეცა ჩემთვის".

ოთარ ჭილაძის ამ აზრის შემდეგ, ფრანგი ჟურნალისტი - ჟერარ მოიდალი - თავის მხრივ წერს:

"ილუზიის ამგვარმა დაკარგვამ გამოიწვია ქართველი მწერლების სურვილის გაძლიერება გაეხსნათ გზა დასავლეთისაკენ. მათ მოიგონეს ის ეპოქა, როცა მათი თანამოკალმე ევროპიელები, როგორც, მაგალითად, ალექსანდრე დიუმა, თავიანთი სურვილით ეწვიენ საქართველოს..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალალოა, - დავძენთ ჩვენ ჩვენი მხრივ, - რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან ფრანგულად დღემდე ნათარგმნია მხოლოდ ოთარ ჭილაძის რომანი "რკინის თეატრი", მაგრამ ეს ერთი და სხვა მრავალი. გვჯერა, ამ მაგალითს სხვებიც წაბაძავენ... ამდენად დიდი მადლობის ღირსნი არიან ის ქართველები და არაქართველები, რომლებიც ცდილობენ ქართული მდიდარი კულტურული ძეგლების გავრცელებას ევროპაში. ამჯერად, დიდი მადლობის ღირსნი არიან ქალბატონები ნინა კალატოზიშვილი და ქრისტინე ლუცი მწერალ ოთარ ჭილაძის რომანის -"რკინის თეატრის" - ფრანგულად თარგმნისათვის.

კ.ი., ლევილი, 1994 წლის სექტემბერი

*Otar Tchiladze: Théâtre de fer, traduit du géorgien par Nina Kalatozichvili et Christine Lutz. Albin Michel, 492 pp., 160 F.*

JEUDI 15 SEPTEMBRE 1994

## საქართველოს ეროვნული ბალეტი პარიზში

საქართველოს ეროვნული ან უკვე მსოფლიოში ცნობილი ცეკვის ანსამბლი, რომლის დამაარსებლებია ნინა რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, თენგიზ სუხიშვილის ხელმძღვანელობით, 1994 წლის 3 მაისიდან 15 მაისამდე იმყოფებოდა გასტროლებზე პარიზში, რასაც დიდი წარმატება ჰქონდა. აი, ამონაწერები ფრანგული პრესიდან:

# BALLET NATIONAL DE GEORGIE

***FONDATEURS DE LA COMPAGNIE :***
Nina RAMISHVILI - Iliko SUKHISHVILI
***DIRECTEUR ARTISTIQUE DE LA COMPAGNIE :***
Tengiz SUKHISHVILI
***DIRECTEUR DE L'ECOLE DES ENFANTS DU BALLET NATIONAL DE GEORGIE :***
Tamas GOGOTICHVILI
***COSTUMES :***
Simon VIRSALADZE

***BALLET NATIONAL DE GEORGIE***

Après six années d'absence, Paris retrouve les 65 danseurs (hommes, femmes, enfants) et les 8 musiciens hors pair de ce fabuleux ballet créé en 1945. Ce spectacle découpé en 20 tableaux rassemble légendes, musiques, danses et costumes des 16 régions de ce pays riche en traditions. Ils ont ainsi une particularité, issue d'une coutume qui remonterait au IIème siècle : la danse sur pointes. Les bergers caucasiens passaient alors par des sentiers de montagne si étroits qu'ils devaient pratiquement marcher sur la pointe des pieds. Le soir, ils mimaient et dansaient leurs exploits pour justifier de leur habileté. **Prouesses, virtuosité et séduction** sont les constantes de ces danses suggestives, extrêmement **physiques chez les hommes** (ils bondissent par exemple à une hauteur phénoménale pour retomber de tout leur poids sur les genoux), pleines de grâce et de suavité **chez les femmes** (elles ne dansent pas, mais "glissent" à pas minuscules dans de longues robes fluides et chatoyantes. Un magnifique spectacle en perspective! C.F.



*Du 3 au 15 mai à 20h30 sauf lundi, dimanche 15h30. Palais des Congrès, place de la porte Maillot 17e. T.40.68.00.05.*

2.5.1994

BOUM BOUM - Tél : 44.52.75.75 - N° 655 - page 27

"საქართველოს პრინცესათა მოდგმის უაღრესად მშვენიერი, კეთილშობილი ცეკვები".

De très belles danses majestueuses,
héritées des princes de Georgie.

*Le Monde, le 15 Mars 1988*

''მათი ენთუზიაზმი, ოსტატობა საძირკველია ქართული ეროვნული ბალეტისა; ამ დიდი სპექტაკლით ტკბება და განმეორებას მოითხოვს მაყურებლები''.

Leur enthousiasme, leur virtuosité font du Ballet National de Géorgie
"bissé et même trissé par le public",
l'un des meilleurs spectacle.

*France Soir, le 21 Mars 1988*

''ამ ანსამბლს ვერაფერი ვერ უშლის ხელს განახორციელოს ათასობით ვირტუოზული ილეთები''.

Rien ne les empêche de réaliser mille exploits virtuoses.

*Figaro, le 20 Février 1988*

''მამაკაცთა ცეკვები სავსეა ცეცხლის ალით; მანდილოსნები ხრიალებენ, ჰაეროვნად აციმციმებულნი''.

Danses pleines de feu et de flammes pour les hommes,
langoureuses pavanes pour des femmes insaisissables.

*Le Parisien, le 16 Mars 1988*

საქართველოს ეროვნული ბალეტის გასტროლების დროს პარიზში, საქართველო-საფრანგეთის საზოგადოებამ ასეთი ფურცლები დაურიგა მაყურებლებს:

# ASSOCIATION FRANCE GEORGIE

## COMMUNIQUE

Paris, le 3 Mai 1994

Chers spectateurs,

Nos félicitations pour votre choix !

Vous allez assister à l'un des plus beaux spectacles du monde, venu de cette Colchide légendaire où Jason se rendit à la recherche de la Toison d'Or.

Que ce folklore qui vous émerveillera ne vous cache pas la réalité de la Géorgie actuelle!

Depuis le putsch de janvier 1992, qui a renversé le Président Gamsakhourdia élu démocratiquement, la Géorgie a replongé dans les affres du totalitarisme.

Le pouvoir en place, tenu par des personnes de l'ancien système soviétique, s'appuie sur la violence et la corruption.
Les milieux paramilitaires, principaux soutiens du pouvoir, terrorisent la population.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Les droits de l'Homme sont systématiquement bafoués :**
- l'opposition et les manifestations sont sévèrement réprimées, la presse censurée,
- des personnes, par centaines, journalistes, médecins, professeurs, hommes politiques ou "simples citoyens", sont arrêtées, torturées ou portées disparues.

**RETENEZ CES TROIS NOMS :** le Docteur GUELBAKHIANI
le Député TSIKLAOURI
le Député DOMOUKHOVSKI

Ces hommes ont été tellement torturés, qu'ils ne peuvent assister à leur "procès".
Ils risquent la peine de mort pour de prétendus "actes de terrorisme".

**Le peuple géorgien mérite de vivre, libre et indépendant, dans un régime démocratique.**

**AIDEZ LE** en vous informant et en dénonçant les actes des dirigeants actuels.

**POUR QUE LA LIBERTE REVIENNE EN GEORGIE**

3, avenue Paul Doumer –92500 Rueil Malmaison

## ჩვენი შენიშვნა

უდავოა, ყოველ ადამიანს შეუძლია თავისი აზრი გამოქვას საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ. უდავოა, აგრეთვე, რომ საქართველოში დღეს მძიმე მდგომარეობაა, რაც ჩვენგან მთელი ძალღონის დაძაბვას მოითხოვს, რომ საქართველოში ისევ განვამტკიცოთ და განვახორციელოთ დემოკრატიული წესყობილება და ადამიანის უფლებები, როგორც ეს არსებობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში, რომლის საძირკველი იყო საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც ადამიანისა და ერის უფლებები სანიმუშოდ არის ჩამოყალიბებული.

ასევე უდავოა, რომ 1992 წლის 6 იანვარს საქართველოში დარღვეულ იქნა კანონის უზენაესობა, რის შედეგად ჩამოგდებულ იქნა ხალხისაგან არჩეული საქართველოს პრეზიდენტი. ეს იყო და დარჩება "შავი დღე" საქართველოს ისტორიაში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ამასობაში უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტია; არის გაეროს სრულუფლებიანი წევრი; არის ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი; დიპლომატიური კავშირები აქვს დამყარებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, მათ შორის, საფრანგეთთან და პარიზში უკვე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის საელჩო, ერთი სიტყვით, საქართველოს სახელმწიფო მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი ოჯახის ერთერთი წევრია, რისთვისაც საქართველოს მოსახლეობა იბრძოდა თითქმის ორასი წლის განმავლობაში, დაწყებული 1801 წლის სექტემბრიდან, როცა რუსეთმა დაიპყრო ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო და შემდეგ მთელი საქართველო - დაარღვია რა 1783 წლის ე.წ.-ლი "გეორგიევსკის ტრაქტატი", რომლითაც უზრუნველყოფილი იყო საქართველოს სამეფოს არსებობა. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვქონდა აგრეთვე საქმე, როცა საბჭოთა რუსეთმა - ჯერ - 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის საზავო ხელშეკრულებით იცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხოლო - შემდეგ - 1921 წლის 25 თებერვალს დაიპყრო იგი, რასაც მოყვა ბოლშევიკური რეჟიმის ბატონობა საქართველოში 70 წლის განმავლობაში, რომლის დროს ათასობით ქართველობამ თავის შესწირა სწორედ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს. და ეს დღე დადგა 1991 წლის 9 აპრილს, როცა საქართველოს პარლამენტმა, რომელიც არჩეული იყო საქართველოს მოსახლეობის მიერ, მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ,1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

ვიმეორებთ: საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულ გზაზე დადგომა მეტად რთული გახდა, რასაც მოყვა კანონის უზენაესობის უგულებელყოფა 1992 წლის 6 იანვარს. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, რომელიც გამოცხადდა 1991 წლის 9 აპრილს, არსებობს დღესაც და აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით თვით რუსეთის მიერ, რომელმაც 1994 წლის 3 თებერვალს ხელი მოაწერა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას,

რომლითაც რუსეთი ცნობს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ეს, უთუოდ, დიდი ნაბიჯია წინ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გასრულყოფილებისა და განმტკიცების გზაზე, თუმცა საქართველოში დღესაც - რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე - დგას რუსეთის შეიარაღებული ძალები. ფაქტია აგრეთვე, რომ შიდა ქართლში ოსი ექსტრემისტებისა და აფხაზეთში აფხაზი ექსტრემისტების გაბატონება და ამ ძველთაძველი ქართული მიწა-წყლიდან ქართველობის განდევნა, რომელთა საერთო რაოდენობა ერთ-მეოთხედ მილიონ კაცს აჭარბებს, - ვერ დაახფურებს იმას, რომ საქართველო დღეს ფაქტიურადაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. მაგრამ ჩვენ დღეს, როგორც ამას "საფრანგეთ-საქართველოს ასოციაციის" მესვეურები ამტკიცებენ, შეგვიძლია 1921-1991 წლების ბოლშევიკური რეჟიმი არსებითად გავაიგივოთ საქართველოს რესპუბლიკასთან დაწყებული 1992 წლის 6 იანვრიდან, როცა ჩამოგდებულ იქნა ხალხისაგან არჩეული საქართველოს პრეზიდენტი?..

აი, საკითხი, რომელსაც უნდა ჩავუფიქრდეთ ჩვენ და შევეცადოთ პოზიცია-ოპოზიციის გზით - დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წესყობილების ამ მოტორის მეშვეობით - დემოკრატიული წესწყობილების, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცებას.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1994 წლის მაისი

## აფხაზი და ქართველი

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია'. ჩვენ დიდი ქართველები გვანებივრებდენ, არასოდეს გვაგრძნობინებდნენ, რომ პატარა ერი ვართ. აი, აკაკის 'გამზრდელი' აიღეთ. მე იგი საგანგებოთ ვთარგმნე, როგორც ამ გრძნობისა და მეგობრობის დიდი დოკუმენტი".

დიმიტრი გულია - აფხაზი მწერალი

## აფხაზეთი საქართველოა

"აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, აღორძინდა ახალი ქართული სახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებითა და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაბრება აფხაზურს".

პეტრე ჭირაია - მეცნიერი და საზოგადო
მოღვაწე, 1912 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

### 26 მაისი პარიზში

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ჩვენი ეროვნული დღესასწაული დიდი შთაგონებითა და ეროვნული შეგნებით იქნა აღნიშნული პარიზში, სადაც 26 მაისს, 1994 წელს, ჩატარდა სადღესასწაულო მიღება - ჯერ - საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატების სალონში, ხოლო-შემდეგ - ქართულ სათვისტომოში საფრანგეთში.

### საქართველოს ელჩის ბატონ გოჩა ჩოგოვაძის სადღესასწაულო მიღება 26 მაისს

პირველად 1933 წლის შემდეგ, როცა საფრანგეთმა ოფიციალურად იცნო საბჭოთა კავშირი და ასე დამთავრდა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რომელიც საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვალს დაიპყრო, - ისევ გაიმართა სადღესასწაულო მიღება საფრანგეთის დიპლომატების სალონში, პარიზში, პოშის გამზირზე, რომლის დროს საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა საფრანგეთის მთავრობასთან, ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ და მისმა მეუღლემ ქალბატონმა მანანამ დაპატიჟა საფრანგეთის მთავრობასთან აკრედიტებული სახელმწიფოების ელჩები და დიპლომატები. საქართველოსა და საფრანგეთის სახელმწიფო დროშებით მორთულ მშვენიერ სალონში თავი მოიყარა სხვადასხვა სახელმწიფოების დიპლომატებმა და ქართულმა საზოგადოებამ, უცხოეთში მცხოვრები ქართველობის ჩათვლით, რომლებიც მიიღო საქართველოს ელჩმა და მისმა მეუღლემ; ხოლო - შემდეგ - გაიმართა სადღესასწაულო თავშეყრა დიპლომატების სალონში, რომლის დროს მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ელჩმა, ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ. მან მის მოკლე სიტყვაში, აღნიშნა 26 მაისის ისტორიული მნიშვნელობა, მოიგონა 26 მაისის შემქმნელი შესანიშნავი თაობა, რომელთა წარმომადგენლები იძულებული გახდენ დაეტოვებიათ საქართველო, როცა საქართველო დაიპყრო რუსეთმა, წამოვიდენ საფრანგეთში და განაგრძეს ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის. ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ მადლობა გადაუხადა აგრეთვე საფრანგეთის ხალხს და მის ხელმძღვანელობას, რომ მათ გულთბილად მიიღეს ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები.

. ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ მოუწოდა აგრეთვე უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას ერთობისაკენ და დასძინა, რომ საქართველოს საელჩოს კარები ყოველთვის ღიაა ქართველებისათვის; და რომ ყოველ შაბათს, 10 საათიდან 12 საათამდე ის პირადათ მზადაა მიიღოს ყოველი ქართველი საქართველოს საელჩოში და აწარმოოს მათთან საჭირო სჯა-ბაასი ყოველ საჭირბოროტო საკითხზე. შემდეგ ქართული სიმღერების გუნდმა, რომელიც შედგება ფრანგებისა და ამერიკელი ახალგაზრდებისაგან და რომლის ლოტბარია ახალგაზრდა ამერიკელი , შთამაგონებლად შეასრულა "მრავალჟამიერი" და სხვა ქართული ხალხური სიმღერები, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრეთა შორის. აღსანიშნავია აგრეთვე ქართული სასმელ-საჭმელებით მორთული ბუფეტი, რომელსაც შეექცნენ ამ სადღესასწაულო მიღების სტუმრები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართული საჭმელებით შეკაზმული ბუტერბროტები დაამზადეს საქართველოს საელჩოს თანამშრომელთა მეუღლეებმა, ქართველმა მანდილოსნებმა, რაც თავისებურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს პარიზის დიპლომატიური მიღებების ისტორიაში.

26 მაისის, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის ამ მიღებამ საქართველოს რესპუბლიკის საელჩოში, საფრანგეთში, განსაკუთრებული სულიერი განცდები გამოიწვია უცხოეთში მცხოვრებ ქართველობაში, რომელთა გულნადები გამოთქვა თავის მოკლე სიტყვაში, ქართული ძველი ემიგრაციის ერთერთმა უხუცესმა წარმომადგენელმა, ბატონ ლევან ფალავამ. მან აღნიშნა, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, საქართველოს ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის იბრძოდენ, და, რომ დღეს ბედნიერი ვართ - საქართველოს საელჩო არსებობს პარიზში და მსოფლიოს სხვა ქვეყნების დედაქალაქებში, რაც - თავის მხრივ - მოგვიწოდებს ჩვენ პატივით მოვიხსენოთ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ძალ-ღონე, თავიანთი სიცოცხლე შესწირეს თითქმის 200 წლის უცხო ბატონობის პერიოდში, საქართველოს თავისუფლების საქმეს.

და-ბოლოს გაიმართა ქართული ვახშამი დიპლომატების ამ შესანიშნავ დარბაზში, რომლის დროს არაერთი საგულისხმიერო სიტყვა ითქვა 26 მაისის, საქართველოს, ქართველი ერის სადიდებლად. განსაკუთრებული ელფერი მისცა 26 მაისს თბილისის კვარტეტის მიერ შესანიშნავად შესრულებულმა მუსიკამ, რამაც 26 მაისსთავისებური აკადემიური სული შთაბერა.

## 26 მაისისადმი მიძღვნილი საღამო ქართულ სათვისტომოში საფრანგეთში

ქართულმა სათვისტომომ საფრანგეთში, 1994 წლის 26 მაისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე გამართა ჩვენი ეროვნული დღესასწაულის - 26 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა პარიზში, სან-ჟაკის სახლში, ამ შესანიშნავი ბულვარის მე-17 ნომერში, რომელსაც ბევრი ქართველობა დაესწრო.

26 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო სიტყვა წარმოთქვა ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ საფრანგეთში, ქალბატონმა ლია ჟოლე-გოგიტიძემ, რომელმაც - აღნიშნა რა ამ დიდი ეროვნული დღესასწაულის მნიშვნელობა ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში - დიდი პატივით მოიგონა 26 მაისის შემქმნელი შესანიშნავი თაობა და ქართველი ერის სახელოვანი შვილები, რომლებმაც თავის შესწირეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საქმეს - დაწყებული 1801 წლიდან, როცა მეფის რუსეთმა მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია, რასაც შემდეგ მოყვა საქართველოს სრული დაპყრობა. ქალბატონ ლია ჟოლეს სიტყვის წარმოთქმის წინ კი, დარბაზში გაისმა ჩვენი ეროვნული ჰიმნი "დიდება", რომელსაც მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით შეხვდა; საზეიმოდ მორთულ პულტთან კი ფრიალებდა ქართული და ფრანგული დროშები. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ოთარ ზურაბიშვილმა, რომელმაც განსაკუთრებით შეეხო ქართული სათვისტომოს ისტორიას საფრანგეთში და აღნიშნა ქართველ დამსახურებულ პიროვნებების ღვაწლი ქართული სათვისტომოს მუშაობაში გასული თითქმის სამი-მეოთხედი საუკუნის განმავლობაში.

და-ბოლოს სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა ფრანგმა პოლიტოლოგმა, ქალბატონმა ფრანსუაზ ტომმა, რომელმაც შეეხო რუსული იმპერიალიზმის ზოგიერთ მხარეებს უკანასკნელ ხანში და აღნიშნა, რომ - მიუხედავად გორბაჩოვისეული გარდაქმნის და საჯაროობის პოლიტიკისა - რუსული იმპერიალიზმი დღესაც განაგრძობს არსებობას და დაპყრობით ემუქრება "ა ხ ლ ო უ ც ხ ო ე თ ი ს" დამოუკიდებელ სახელმწიფოებს.

შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო ვახშამი, რომლის დროს აზრთა გაცვლა-გამოცვლას ჰქონდა ადგილი ქართველთა ერთობის მიღწევის პრობლემებზე როგორც საქართველოში, ისევე ქართველი ერის მცირე შემადგენელ ნაწილ ემიგრაციაში. ეს შთამაგონებელი შეხვედრა შუაღამემდე გაგრძელდა.

- . - . - . - . -

## დაფნის გვირგვინის დადება ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე

1994 წლის 26 მაისს, უფრო ზუსტად, 25 მაისს საღამოს, ქართველთა ერთმა ჯგუფმა დაფნის გვირგვინი და ქართული ეროვნული სამფეროვანი დროშა დაასვენეს ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოს საერთო აკლდამაზე, და ამით პატივი სცეს ამ ეროვნულ პანთეონში განსვენებულ ქართველობას, რომლებმაც თავიანთი ძალღონე შესწირეს საქართველოს განთავისუფლების საქმეს. როგორც ცნობილია, ლევილის ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ ისეთი გამოჩენილი პირები, როგორიცაა საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე 1918-21 წლებში და მისი მთავრობის მრავალი მინისტრი. აქ განისვენებენ აგრეთვე ჩვენი ეროვნული მოძრაობის ისეთი გამოჩენილი პირები, როგორიცაა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ვალოდია გოგუაძე და სხვები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ. აქვეა აგრეთვე ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ მიხაკო(მიხეილ) წერეთლისა და ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის ქვირფასი აკლდამები. ლევილის ძმათა სასაფლაოს საერთო ეპიტაფიად კი შეიძლება აღიარებულ იქნა საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლის კოკი დადიანის აკლდამაზე ამოკვეთილი წარწერა -

"მითხარ შენდობა...და ჩემს მხარესა,
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,
სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე:
ძვლებიც კი ჰფიქრობს საქართველოზე."

## 26 მაისის იდეებისათვის დაღუპულთა პანაშვიდი
## პარიზის წმ. ნინოს ეკლესიაში

1994 წლის 29 მაისს, კვირას, პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში, არქიმანდრიტმა მამა არჩილმა ჩაატარა პანაშვიდი 26 მაისის იდეისათვის დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მრავალი ქართველობა, რომლის ერის არქიმანდრიტმა მამა არჩილმა იქადაგა 1918 წლის 26 მაისის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი მამულიშვილების ბედი, რომლებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სამშობლო, როცა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, 1921 წლის 25 თებერვალს და 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ.

## 26 მაისი ლევილის ქართულ მამულში

1994 წლის 5 ივნისს, კვირას, პარიზის ახლომდებარე დაბა ლევილის ქართულ მამულში გაიმართა 26 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამ ქართულ მამულში მცხოვრებმა ქართველობამ და დაპატიჟებულ სტუმრებმა. ლევილის ქართული მამულის სოსიეტემ და ადმინისტრაციამ 26 მაისის ამ საზეიმო შეხვედრაზე ოფიციალურად დაპატიჟა საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი გოჩა ჩოგოვაძე, მისი მეუღლე ქალბატონი მანანა და საელჩოს წარმომადგენლები, რამაც განსაკუთრებული ელფერი მისცა ამ საზეიმო შეხვედრას. სტუმრებმა თავი შეიყარეს საზეიმოდ მორთულ ლევილის მამულის - ჯერ - ეზოში, სადაც ფრიალებდა ქართული ეროვნული დროშა და - შემდეგ - შატოს სალონში, შატოსა, რომლის თავზე ფრიალებდა ქართული და ფრანგული ეროვნული დროშები.

საზეიმო შეხვედრა გახსნა ქართული მამულის ადმინისტრაციის უფროსმა ბატონმა მამია ბერიშვილმა, რომელმაც ამ შეხვედრის საზეიმო სადილის თამადათ აირჩია ბატონი სერგო მელიაჭრომელმაც პირველი სადღეგრძელო წარმოთქვა 26 მაისის შესანიშნავი თარიღის საპატივცემლოდ, და აღნიშნა ამ თარიღის დიდი დამსახურება საქართველოს, ჩვენი ერის წინაშე. შემდეგ ბატონი სერგო მელიავა მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის ელჩს საფრანგეთში, ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს, მის მეუღლესა და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს, რომლის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ, რომელმაც დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მას ეძლევა შემთხვევა ესტუმროს ქართულ მამულს ამგვარ სადღესასწაულო ვითარებაში. მან აღნიშნა 26 მაისის თარიღის დიდი დამსახურება საქართველოს თავისუფლების საქმეში, და რომ ლევილის ქართული მამული სასურველია გახდეს ქართველთა შეხვედრის კერად. ლევილის ქართული მამულის ამ საზეიმო შეხვედრა-სადილის საპატიო სტუმარი იყო აგრეთვე ლევილის მერი, ბატონი კაბურლანი, მისი მეუღლით. ბატონმა მერმა წარმოთქვა აგრეთვე მოკლე სიტყვა; მან მიესალმა ლევილის ქართული მამულის ხელმძღვანელობასა და სტუმრებს, და აღნიშნა, რომ ურთიერთობა ლევილელებსა და ლევილში მცხოვრებ ქართველობას შორის ყოველთვის იყო მეგობრული, რაც გამოიხატება აგრეთვე შეხვედრებში, რომლებსაც რამდენიმეჯერ აქვს ადგილი ქართულ მამულში ყოველწლიურად.

ამ შეხვედრა-სადილის შემდეგ კი, საქართველოს საელჩოს თანამშრომლები ესტუმრნენ ქართულ ძმათა სასაფლაოს ლევილში და პატივი სცეს 26 მაისის დიდი თარიღის მრავალ გამოჩენილ პირებს, რომლებიც განისვენებენ ამ ქართველთა პანთეონში. აქ განისვენებენ საქართველოს უახლესი ისტორიის მრავალი გამოჩენილი პირი, მათ შორის, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია.

- . - . - . - . -

## ბალის დღესასწაული ლევილის ქართულ მამულში

1994 წლის 29 მაისს, ლევილის ქართულ მამულში, როგორც ფრანგები უწოდებენ, "ქართველთა შატოში", როგორც ყოველწლიურად, გაიმართა ბალის დღესასწაული, ლევილი კათოლიკური სამყოფა და ლევილის ეკლესიის მოძღვარის ხელმძღვანელობით. ლევილის ქართული მამულის მშვენივრად მორთულ ეზოში, სადაც განლაგებული იყო მრავალი სახის კიოსკები და ერთი დიდი მასშტაბის სასადილო-კარავი, თავი მოიყარეს ლევილელებმა. ბალის დღესასწაული დაიწყო წირვით, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო, მათ შორის, გასაგებია, იყვნენ

ქართველებიც. ბალის დღესასწაულისადმი მიძღვნილი წირვის შემდეგ, ქართული მამულის ეზოში შემოვიდა ლევილის სასულიერო ორკესტრი, რომელმაც რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები შეასრულა, რასაც კმაყოფილები და ტაშის ცემით შეხვდა მოდღესასწაულენი. შემდეგ ლევილში მცხოვრებ პორტუგალიელების მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდმა შეასრულეს რამდენიმე ხალხური სიმღერა და ცეკვა, რომლის დროს დიდი კმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ამ პოპულარული ანსამბლის უმრავლესობა იყო მოზარდები და ბავშვებიც კი მშობლებისა, რომლებიც უკვე დიდიხანია მუშაობენ და ცხოვრობენ საფრანგეთში და უკვე ლევილელები არიან. ბალის დღესასწაულს განსაკუთრებული ელფერი მისცა აგრეთვე ლოტერიამ, ცირკმა და სხვა გასართობ საშუალებებმა. აქ შესაძლებელი იყო აგრეთვე სხვადასხვა სასმელ-საჭმელების კარავებში ამა-თუ-იმ ფრანგული შესანიშნავი სამზარეულოს კერძების მირთმევა, რომლის დროს უკვე მწვადსაც კი აკეთებენ, რამაც ბალის ამ დღესასწაულს ქართული ელფერიც მისცა, რადგან ფრანგული წითელი და მაგი ღვინოც ხომ ქართულ ღვინოებს გვაგონებს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ლევილის "ქართულ შატოში" ამ 1994 წელს, ბალის დღესასწაული ჩვეული სილამაზით ჩატარდა, მაგრამ, როგორც ლევილის კათოლიკური ეკლესიის მღვდელმაც აღნიშნა, 29 მაისს ბალი ჯერ კიდევ დამწიფებული არ იყო, რასაც ისიც ემატება, რომ მიმდინარე წელს ბალის მოსავალი მეტად მცირეა, რადგან ლევილის რაიონში ყინვამ ბალი მოწვა.

ბალის დღესასწაულის აღნიშვნასთან, ლევილის "ქართველთა შატოში", მოგვაგონდა აგრეთვე ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" რედაქციის წინადადება, რომ - რადგან ბალი, საერთოდ, დასავლეთ ევროპაში საქართველოდან იქნა შემოტანილი, რომაელი მხედართმთავრის ლუკულუსის მიერ, პირველ საუკუნეში, ქრისტეს დაბადების წინ, - სასურველი იქნებოდა პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარი არქიმანდრიტი არჩილი და ეკლესიის კომიტეტის წევრები ჩაერიონ ამ დღესასწაულში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მის გამართვაში. სამწუხაროთ, ეს მეტად საჭირო იდეა დღემდე ვერ განხორციელდა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, მალე განვახორციელებთ, რაც - თავის მხრივ - ხელს შეუწყობდა არა მარტო ფრანგთა და ქართველთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას, არამედ აგრეთვე იმ ფაქტის პოპულარიზაციასაც, რომ ბალი საფრანგეთშიც საქართველოდან შემოვიდა.

- . - . - . - . -

## "ღია კარები" ლევილის ქართულ მამულში

1994 წლის 12 ივნისს, კვირა, ლევილინის ქართული მამულის ადმინისტრაციამ და ლევილის ფრანგ მოქალაქეებმა - ლევილის ქართული მამულის ეზოსა და შატოში გამართეს ე.წ-ლი "ღ ი ა კარეში", რაც იმას ნიშნავს, რომ ლევილის მცხოვრებლებსა და სტუმრებს შეუძლია ესტუმრონ ქართულ მამულს და დაათვალიერონ ქართული მამული, შატო, ბიბლიოთეკა, სტამბა, და აგრეთვე გამოფენა, რომელიც გაიმართა ლევილის შატოს მთავარ სალონში და ეზოში, რასაც მზიანმა დღემც შეუწყო ხელი. გამოფენაში ნაჩვენები იყო ლევილის მთელი ისტორია უმთავრესად ფოტოსურათებისა და დოკუმენტების სახით, რაშიც მონაწილეობა მიიღეს ლევილის ათამდე კოლექციონერმა. "ღია კარები" გაგრძელდა საღამომდე, რომლის დროს არაერთ მეგობრულ შეხვედრას ჰქონდა ადგილი ლევილის ფრანგ და ქართველ მცხოვრებლებს შორის.

- . - . - . - . -

"მხოლოდ ის იმსახურებს როგორც თავისუფლებას, ისე ცხოვრებას,
ვინც მას ყოველდღიურად მოიპოვებს".

ი.ვ.ფონ გოეთე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეხვედრა საქართველოს საელჩოში

## პარიზში

Ambassade de la République de Géorgie
I04, Avenue Raymond Poincare
75II6 P a r i s, France
Tél. 45 02 I6 I6. Télécopie 45 02 I6 0I

### I.

### ა ნ გ ა რ ი შ ი

1994 წლის 10 სექტემბერს, პარიზში, საქართველოს საელჩოს სადგომში, საქართველოს რესპუბლიკის ელჩის ბატონ გოჩა ჩოგოვაძის თაოსნობით, ჩატარდა შეხვედრა საქართველოს ელჩსა და ქართული ემიგრაციის ერთ ჯგუფს შორის, რომლის დროს ადგილი ჰქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლას საქართველოსა და ქართული ემიგრაციის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები ბატონ გოჩა ჩოგოვაძის მეთაურობით და ქართველ ემიგრანტთა ჯგუფი 31 ადამიანის შემადგენლობით.

ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობისათვის ეს შეხვედრა იყო პირველი შემთხვევა დაეთვალიერებია საქართველოს საელჩო პარიზში და გაცნობოდა საქართველოს საელჩოს მუშაობას, რომლის დროს ამაღელვებელი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე აფრიალებულმა ქართულმა სამფეროვანმა დროშამ ჩვენი საელჩოს შენობაზე, რაც გასაგებია: - 1933 წლის შემდეგ, როცა გაუქმებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო საფრანგეთში, პარიზში, ახლა, 51 წლის შემდეგ, საქართველო უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და ისევ გაგვაჩნია ჩვენი საელჩო პარიზში, საფრანგეთის დედაქალაქში და მსოფლიო კულტურის ამ ერთერთ უდიდეს ცენტრში. უდაოა, ეს საამაყოა.

საქართველოს რესპუბლიკის საელჩოში ქართველ ემიგრანტთა ჯგუფს მიესალმა პირადათ ბატონი ელჩი და საელჩოს სხვა თანამშრომლები, და საქმიანი მოლაპარაკების დაწყებამდე, ერთი ჭიქა შამპანიურით, ბატონი გოჩა მიესალმა სტუმრებს და აღნიშნა, რომ საქართველოს საელჩო პარიზში - ეს საქართველოს მიწაა საფრანგეთში, და რომ ჩვენი საელჩოს კარები ღიაა ყველა ქართველისათვის, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მიუხედავათ მისი პარტიული თუ რელიგიური რწმენისა. ამის შემდეგ სტუმრებმა და მასპინძლებმა თავი მოიყარეს საელჩოს მშვენიერ დარბაზში, და მოკლე სიტყვით მიმართა სტუმრებს ბატონმა გოჩამ, რომელმაც, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ საქართველოს საელჩოში, განსაკუთრებით ქართველებთან შეხვედრისას პირველი ენა არის და უნდა იყოს ქართული ენა, მაგრამ ქართული ემიგრაციის პირველი და აწ უკვე მეორე თაობა, სამწუხაროთ, ყველა ვერ ფლობს ქართულ ენას და ამიტომ შეხვედრას ჩავატარებთ ფრანგულ ენაზე.

- ბატონმა გოჩამ აღნიშნა, რომ ყოველი თვის უკანასკნელ შაბათს, ე.ი. თვეში ერთხელ, მას განზრახული აქვს ჩაატაროს შეხვედრა ქართველებთან, საელჩოში, დილის 10 საათიდან.
- ყოველ ოთხშაბათს, პარიზის საელჩო ახალ ჟურნალ-გაზეთებს ღებულობს საქართველოდან და ყოველ ქართველს შეუძლია მოვიდეს ჩვენს საელჩოში და გაეცნოს ახალ ჟურნალ-გაზეთებს ჩვენს სამკითხველო დარბაზში.
- ბატონი გოჩა ბრძანდება ელჩი საფრანგეთსა და ესპანეთში, სადაც იგი დროგამოშვებით იმყოფება.
- საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს ჰყავს ოთხი თანამშრომელი და მომსახურე პირები.
- შემდეგ ბატონმა გოჩამ შეხვედრის მონაწილეებს დაურიგა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართვის ტექსტი ამ შეხვედრის მონაწილეებისადმი.
- შემდეგ ბატონმა გოჩამ განაცხადა, რომ საქართველოს საელჩომ დაპატიჟება ამ შეხვედრაზე ყველა ქართველს ვერ გაუგზავნა, რადგან ჩვენ არ გაგვაჩნია ყველა ქართველთა მისამართი, ხოლო რომლებიც გაგვაჩნია ზოგიერთები მათგან მეტად ძველი გამოდგა, რის შედეგად დაპატიჟებების ბარათები უკან დაგვიბრუნდა. სამწუხაროთ, ქართულმა სათვისტომომ საფრანგეთში კი ქართველთა მისამართები ამ გვაცნობა, რაც, გასაგებია, ართულებს ქართველთა ურთიერთობას საქართველოს

საელჩოსთან. ეს მდგომარეობა როგორმე უნდა გამოსწორდეს.

შემდეგ ბატონი გოჩა შეეხო საქართველოში არსებულ მდგომარეობას და, სხვათა მორის, აღნიშნა:

- საქართველოში თანდათანობით ხდება მდგომარეობის სტაბილიზაცია, მაგრამ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მაინც კატასტროფულია. მე ორი დღის წინ ჩამოვედი თბილისიდან პარიზში, თქვა მან; თბილისში ვიყავი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რომლის წევრი მე ვარ, და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მითხრა, რომ მას საშუალება არ გააჩნია ტელეფონით დარეკვისაც კი, რადგან ეს თვიურად მოითხოვს 150 დოლარ ხარჯხო. ეს ფაქტიც ნათელ ჰყოფს თუ როგორი ეკონომიკური და ფინანსიური მდგომარეობა სუფევს ამჟამად საქართველოში.
- ჩვენ გვსურს, რომ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობაში შეიქმნა ოთხი-ხუთი ჯგუფი, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებასა და რჩევას მიაწოდებს საქართველოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ კერძო ორგანოებს; ასეთ ჯგუფებად გვესახება:

1. ეკონომიკა და ფინანსები;
2. იურიდიული;
3. ჰუმანიტარული დახმარება;
4. კულტურა;
5. მასობრივი ინფორმაციის მედიუმები;

და სხვ.

ბატონი გოჩას ამ მოკლე სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომლის დროს მრავალი საყურადღებო აზრი გამოითქვა, რომელთა სტენოგრაფიული აღნუსხვა ასეთ სურათს იძლევა:

<u>ქალბატონ ეთერი ფალავამ</u> ყურადღების ცენტრში დააყენა საქართველოს კულტურის დღეების გამართვა პარიზსა და საფრანგეთში საერთოდ.

<u>ბატონმა ანრი მაჭავარიანმა</u> უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ყოველი სახის ინფორმაცია საქართველოს შესახებ არსებითად ვრცელდება მოსკოვიდან; და რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ინფორმაციები საქართველოს შესახებ გავრცელებულ იქნას მსოფლიოში საქართველოს სააგენტოს მიერ.

<u>ბატონი გოჩა</u> ყოველ კითხვაზე პასუხს იძლეობა ცალკე და გამოთქვა მოსაზრება: ხომ არ არის მიზანშეწონილი ავღნიშნოთ, საერთაშორისო მასშტაბით, "ერთი წლის თავი სოხუმის დაცემისა", რაც მოხდა 1993 წლის 27 სექტემბერს.

<u>ბატონმა ჟან ციციშვილმა</u> აღნიშნა, რომ ხომ არ ივიწყებს საქართველო აფხაზეთში მომხდარ ამბებს?.. მანვე წამოაყენა აგრეთვე "საქართველოს დახმარების ფონდის" შექმნის საკითხი.

<u>ბატონმა გოჩამ</u>, შეეხო რა აღნიშნულ საკითხს, განაცხადა, რომ დახმარება საჭიროა ყოველ მხრივ, რომ ავაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, და დასძინა: საქართველოს საზღვრები არ გააჩნია! არმია არ გააჩნია! ფული არ გააჩნია, რადგან "კუპონი" დროებითი მოვლენაა! "ჩემი ოცნებაა გაგვაჩნდეს ქართული ეკლესია პარიზში!"

<u>ბატონმა თამაზ ნასყიდაშვილმა</u> თქვა, რომ ქართული ეკლესია არის პარიზში.

<u>ბატონმა მიშელ ვოლე-გოგიტიძემ</u> დასძინა, რომ პარიზის ეკლესია ყველასათვის არის.

<u>ბატონმა გოჩამ</u> განმარტა, რომ მას მხედველობაში აქვს "ნამდვილი ეკლესია", რომელიც საცხოვრებელ სახლში კი არ არის, არამედ ეკლესია, რომელიც ცალკე დგას, როგორც ქართული კულტურის ნაგებობა.

<u>ბატონმა ტიერი ბერიშვილმა</u> აღნიშნა, რომ საქართველოს საპატრიარქოს სურს ეკლესია-სამლოცველოს შექმნა ლევილის ქართულ მამულში. მან შემდეგ ილაპარაკა იმაზე, რომ სათვისტომოს საქმეებში არ უნდა ჩაერიოს საქართველოს საელჩო. შეეხო აგრეთვე ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს საქართველოში, და ბოლოს ინფორმაციის აუთენთურობას საქართველოში.

<u>ბატონ გოჩამ</u> აღნიშნა, რომ საქართველოს საელჩო პარიზში არ ერევა სათვისტომოს საქმეებში; რაც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოში, ყველა პირს შეუძლია ჩამოვიდეს საქართველოში და მას სრული შესაძლებლობა მიეცემა დაუკავშირდეს ისეთ პირებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი უფლებები შებღალულია. შეუძლიათ დაუკავშირდენ ვექილებსაც და დაკავებულ პირებსაც. ამის პირობას ვიძლევი მეო. რაც შეეხება ინფორმაციის აუთენთურობას - ეს აუცილებლად უნდა იქეს განხორციელებული.

<u>ქალბატონი ზარიძე(?)</u> შეეხო ამ შეხვედრის მონაწილეთა ასაკს და განაცხადა, რომ აქ "ყველა მოხუცია", რამაც სიცილი გამოიწვია დამსწრეებში. ქალბატონმა შემდეგ აღნიშნა, რომ ჩვენი შვილები უნდა ჩავაბათ ამგვარ საქმეებში, რადგან ჩვენ 50-60 წლიანები ვართო.

<u>ბატონმა გურამ წულაძემ</u> კი შენიშნა, რომ ქართული ემიგრაცია საფრანგეთში მცირერიცხოვანია და ჩვენ ვერ შევედრებით, ამ მხრივ სხვა ერის ემიგრაციას.

ქალბატონ ელისო ცარასაშვილმა, რომელიც ექიმია, აღნიშნა თუ როგორი გზით შეძლო მან საქართველოში წამლების გაგზავნა და როგორ აჭარბოებს სხვა სახის დახმარებას. მანვე წამოჭრა აგრეთვე საოცარი ის საკითხი, რომ გაძლიერებულ იქნა ჰუმანიტარული დახმარება საქართველოსათვის.

ბატონმა რეზიკო ნიკოლაძემ აღნიშნა, რომ ემიგრაციაში შესაქმნელ აღნიშნულ ჯგუფებს "ორიენტაცია უნდა მისცეს საელჩომ."

ბატონმა რამაზ პაპუაშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია საქართველოს სახელმწიფო; ჩვენ არ ვართ ერი; ჩვენ გვჭირია მაგარი ხელი. ხა-

საქართველოში არსებობს ნარკოტიკების პრობლემაო,და ეჭვი გამოთქვა – ხომ არ ხდება ეს განსაზღვრული პოლიტიკური მოსაზრებით უცნობი ძალების მხრიდან! ჩვენ უნდა გავხდეთ ახალი ერი! ოთხი წელია დავდივარ საქართველოში, დასძინა მან, და მე ვერ ვნახე სურვილი("ვოლონტე"), რომ ჩვენ გვსურს მოდერნული სახელმწიფოს შექმნა. ქართველებს არ უნდათ მუშაობაო.

ბატონმა გოჩამ განაცხადა, რომ საქართველოში არსებობს მოდერნული სახელმწიფოს შექმნის სურვილი და ვიღწვით ამისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში 70 წელი არსებობდა ბოლშევიზმი. ყველაფერი აკრძალული იყო, რაც არ იყო დაშვებული. მე აქ, პარიზში, უნესკოში ვმუშაობდი და ვერ შევძელი ჩემი შვილისა და მეუღლის ცოტა ხნით პარიზში ჩამოყვანა. ასეთი იყო რეჟიმი. ჩვენ ქართველებს საქართველოს საზღვართან მისვლაც კი არ შეგვეძლო.

ბატონმა გურამ წულაძემ განაცხადა, რომ ჩვენ ბევრი რაიმეს გაკეთება არ შეგვიძლია. როცა თბილისში ვიყავი ახალგაზრდები მხოლოდ იმას მეკითხებოდნენ თუ რა ღირს ჩვენთან აქ,საფრანგეთში "მერსედესი". ჩვენი აქ დაბადებული ბავშვები,მართალია, ქართველებია და ამაყობენ ქართველობით, მაგრამ რის გაკეთება შეუძლიათ მათ?.. ქართულ ენასაც კი ვერ ფლობენ.

ბატონმა ჟაკ დიუმ,მოიყვანა რა ბატონ რამაზ პაპუაშვილის სიტყვები "ქართველებს მუშაობა არ უნდათ", "ყველას უნდა ფულის გაკეთება", აღნიშნა, რომ საქართველოს ჩვენ უნდა დავეხმაროთ, რამდენადაც ეს ჩვენ შეგვიძლია.

ბატონმა გოჩამ აღნიშნა, რომ,მართალია საქართველოში არსებობს სიძნელეები, მაგრამ ჩვენ ნუ ვამბობთ, რომ ქართველობას მუშაობა არ უნდათ; ან რომ, ქართველებს არ უყვართ წესიერება. ქართველები მშრომელებია. თავი უნდა ავარიდოთ ორ უკიდეურესობას: საქართველოში ყველაფერი კარგია ან საქართველოში ყველაფერი ცუდია; ცხოვრება ამ ორ უკიდურესობათა შუა არეში მიმდინარეობს. ჩვენ, სხვათა შორის, უნდა ჩამოვიყვანოთ ჩვენი ახალგაზრდობა უცხოეთში სასწავლებლად და როცა ისინი საქართველოში დაბრუნდებიან, ხელს შეუწყობენ საქართველოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მშვენებლობას.

შეაჯამა რა ამ შეხვედრის თათბირი, ბატონმა გოჩამ ისევ მოაგონა დამსწრეებს, რომ საქართველოს საელჩო პარიზში ყველა ქართველის, საქართველოს ყველა მოქალაქის სახელმწიფო წარმომადგენლობაა საფრანგეთში, და ამდენად თქვენი წარმომდგენლობაცაა. ამ შეხვედრასა და აქ გამოთქმულ აზრებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საელჩოს მუშაობისათვის. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ შეთანხმებულად ქართულ სათვისტომოსთან საფრანგეთში. რაც შეეხება აღნიშნულ ჯგუფების შექმნასა და მათში მუშაობას, ყოველმა თქვენგანმა განაცხადოს თუ რომელ ჯგუფში სურს მას მუშაობა. წელიწადში ორჯერ, ყოველი თვის უკანასკნელი შაბათის შეხვედრის გარდა, ჩატარდება საქართველოს საელჩოში საგანგებო შეხვედრა, რომელზედაც გვექნება ბჭობა ყველა საჭირბოროტო საკითხზე თვით ადამიანის უფლებების საკითხის ჩათვლით. მაგრამ უნდა ვისაუბროთ კონსტრუქციულად, კონკრეტულ საკითხებზე და არა აბსტრაქტულად.

ამის შემდეგ ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ დამსწრეთ გააცნო საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება "საქართველოს საპატიო მოქალაქეობისა" და "საპატიო კონსულის" წოდების დაწესების შესახებ, რომლებიც მიენიჭება საქართველოს წინაშე დამსახურებულ პირებს.

დასასრულს ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ გააცნო შეხვედრის მონაწილეებს, რომ 1994 წლის 9 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრამდე თბილისში ჩატარდება "ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი", მისი პრეზიდენტის ბატონ რეზო ჩხეიძის ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ წაიკითხა საფრანგეთიდან მიწვეულ ქართველთა და არაქართველთა სია და აღნიშნა, რომ მას გააჩნია მოსაწვევი ბარათები იმ პირთათვის, რომელთა მისამართი საელჩოს არ გააჩნია და თხოვა დამსწრეებს, რომ 20 სექტემბრამდე მიაწოდონ ასეთი პირების სახელი და გვარი და მისამართი, რომ გადასცეს მოსაწვევი ბარათი. აღნიშნულ თარიღამდე უნდა გააჩნდეს საქართველოს საელჩოს მოწვეულთა თანხმობის დასტური, რომ დროულად შეკვეთილ იქნას თვითმფრინავის ბილეთები. მგზავრობა განზრახულია კელნის(გერმანია) აეროპორტიდან სპეციალური

დაქირავებული თვითმფრინავით. ბილეთების ღირებულების 30 პროცენტს იხდის სტუმარი, დანარჩენს კი საქართველოს სახელმწიფო, რომელიც აგრეთვე იხდის ყველა ხარჯს, რაც საჭიროა მიწვეული სტუმრების მოსათავსებლად სასტუმროებში და სმაჯამისათვის.

"ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის" პროგრამა კი ასეთია:

1."პარიზის მადრევანის" გახსნა საქართველოს საპატრიარქო კათედრალთან მდებარე მოედანზე.
2.ემიგრაციის მუზეუმის გახსნა.
3.წირვა საპატრიარქო ტაძარში, რომელსაც ჩაატარებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.
4.სტუმართა მარშრუტი: თბილისი - გორი - ქუთაისი - ზუგდიდი - გელათი - ქობულეთი - ბათუმი.
5.თბილისი: თეატრალური წარმოდგენის ნახვა.
6. შეხვედრა და დიალოგი საქართველოს სახელმწიფო მეთაურ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან.
7. კელნიდან თვითმფრინავი აეშვება 9 ოქტომბერს; თბილისიდან დაბრუნება კელნში 16 ოქტომბერს.

აი, ასე ჩატარდა პირველი შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის ელჩ ბატონ გოჩა ჩოგოვაძესა და ქართული ემიგრაციის ერთ ჯგუფს შორის 1994 წლის 10 სექტემბერს, პარიზში, საქართველოს საელჩოს ხადგომში, რომელიც სამი საათი გაგრძელდა.

## II.

## ჩ ვ ე ნ ი   შ ე ნ ი შ ვ ნ ა

შევნიშნავთ, რომ შეხვედრა საქართველოს ელჩსა და ქართული ემიგრაციის ერთ ჯგუფთან პარიზში, 1994 წლის 10 სექტემბერს, მეტად საქმიან და კეთილმეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდა, თუმცა მრავალი საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეუძლებელია გახდა, რადგან ყველა საკითხის განილვა ერთ შეხვედრაზე და ისიც პირველ შეხვედრაზე შეუძლებელია. მაგალითად, კამათის დროს გადმოსროლილი სიტყვები -"საქართველოს სახელმწიფო არ აქვს!""საქართველოს საზღვრები არ გააჩნია" - უპასუხოთ დარჩა. რა თქმა უნდა, ეს უნდა მიეწეროს კამათის სიცხარესა და საქართველოს გულშემატკივართა სიფიცხეს, თორემ ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოს სახელმწიფო დღესაც არსებობს და საქართველოს საზღვრები დღესაც გააჩნია, რადგან - ისევ აღდგენილ იქნა რა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1991 წლის 9 აპრილს - 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე -, ამით, იურიდიულად საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები უნდა იყოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები ტერიტორიისა, რომელიც მას ეკავა 1921 წლის 25 თებერვალს, ე.ი.საქართველოს დაპყრობის დროს. მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია, როგორც ბუდუ მდივანი ამბობდა 20-იან წლებში, "მარჯვნივ და მარცხნივ" დაარიგეს ბოლშევიკებმა, რის შედეგად საქართველომ დაკარგა მისი 91.100 კვადრატული კილომეტრი ტერიტორიიდან 20.400 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია და საბჭოთა საქართველოს შერჩა მხოლოდ 69.700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რაც არის საქართველოს დღევანდელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორია, და რომელიც რუსეთმა იცნო 1993 წლის 3 თებერვლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა-ედუარდ შევარდნაძემ. ამგვარად, საქართველოს დღევანდელი ტერიტორია არის საბჭოთა საქართველოს ტერიტორია,რომლის საზღვრები,ტერიტორიის მთლიანობა ცნობილია გაეროსა და მსოფლიო დიდი სახელმწიფოების მიერ თვით რუსეთის ფედერაციის ჩათვლით. ეს საკითხი უფრო ზუსტ გარკვევას მოითხოვს რუსეთ-საქართველოს 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე.

## III.

## ჩ ვ ე ნ ი   წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ნ ი

ამ "წინადადებანით" ჩემი აზრი მსურს გამოვთქვა არა მარტო აღნიშნული შეხვედრაზე გამოთქმული აზრების შესახებ, არამედ, საერთოდ, ჩვენი საელჩოს მიზანდასახულობის ზოგიერთი ასპექტის შესახებაც, თუმცა "დიდაქტიკას" მსურს თავი ავარიდო. მაგრამ ყოველ ქართველს უნდა ჰქონდეს უფლება თავისი, თუნდაც მცდარი აზრი გამოთქვას ჩვენი საჭირბოროტო საკითხების შესახებ, მით უმეტეს, რომ ჩვენ გვსურს არსებითად ჩვენი საელჩოსა და ჩვენი ემიგრა-

ციის ურთიერთობის პრობლემებს შევეხოთ. აი, ჩვენი წინადადებანი:

1.როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში, რომელიც უმცირესი უჯრედია საქართველოსა, თითქმის ყველა ლაპარაკობს ერთობაზე, ეროვნულ შერიგება თუ მორიგებაზე, მაგრამ ყოველი ფიქრობს ერთობა უნდა განხორციელდეს ისე, როგორც ის ფიქრობს. არავინ, ან თითქმის არავინ არ ფიქრობს, რომ შერიგება თუ მორიგება მოითხოვს ყოველი მხრიდან დათმობებზე წასვლას. ამიტომ საჭიროა ურთიერთ დათმობებზე წასვლა, რომ მიღწეულ იქნას მორიგება-შეთანხმება, რომლის ბაზაა, გასაგებია, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია.

2.საქართველოს რესპუბლიკის საელჩო პარიზში, საფრანგეთში, უნდა გახდეს ემიგრაციაში არსებული ყველა საზოგადოებრივი თუ კერძო ორგანიზაცია-უჯრედების "ორიენტაციის" მიმცემი, რაც იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი ყველას საქმეებში უნდა ჩაერიოს, არამედ იმას - გარკვეულ იქნას რა ესაჭიროება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მოსახლეობას მოცემულ მომენტში. ჩვენ გვჯერა, რომ ყოველი პირი თუ ორგანიზაცია ემიგრაციაში ამგვარ "ორიენტაციას" მიიღებს მხედველობაში მისი საქმიანობის პროცესში.

3.დაუყონებლივ უნდა მოგვარდეს ნორმალური, საქმიანი ურთიერთობის დამყარება საქართველოს საელჩოსა და ქართულ სათვისტომოს შორის. ქართული სათვისტომო საფრანგეთში ხშირად ღებულობს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმა არ არის, რამდენად ეს 1994 წლის 30 აპრილის ქართული სათვისტომოს საერთო კრებაზეც გამომჟღანვდა, სათვისტომოს წევრთა უმრავლესობა, მაგრამ მაინც მოქმედებს უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ, რაც, ამ შემთხვევაში, გამოიხატა იმაში, რომ ახალი გამგეობის არჩევნები გადადებულ იქნა. აღსანიშნავია აგრეთვე,რომ ქართული სათვისტომოს გამგეობის უმრავლესობა"არ ცნობს" საქართველოს საელჩოს პარიზში, და ქართული სათვისტომოს განსაზღვრული, მე ვიტყოდი, მცირე ნაწილი იზიარებს ამგვარ აზრს, რაც ისე შორის მიდის, რომ ქართულ სათვისტომოში უმრავლესობაზე ბატონობს უმცირესობა, და ყველაფერი ეს ხდება საფრანგეთში, დემოკრატიის ამ ერთერთ უდიდეს სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოვითხოვთ არც ერთ პირისაგან და არც ერთ თუგინდ მცირე ჯგუფისაგან მან შეიცვალოს თავისი შეხედულება საქართველოს სახელმწიფოსა და ამით საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს მიმართ, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყოველი ქართველი "ჩაეტიოს" პოზიცია-ოპოზიციის, დემოკრატიის ამ მოტორის, სფეროში,რომ ნორმალური მუშაობა შესაძლებელი გახდეს. ხაზგასმით ავღნიშნავთ,რომ არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არსებობს მთავრობა, რომელსაცეთანხმება მთელი ხალხი; მთავრობა იყო, არის და დარჩება,დემოკრატიის პირობებში, უმრავლესობის ბატონობა, რომელიც უმცირესობასაც უწევს ანგარიშს; და ამ საკითხზე იმიტომ დაგვჭირდა ამჯერად ლაპარაკი, რომ ქართული სათვისტომოს აღნიშნული მცირე ჯგუფი ისე შორს მიდის, რომ ვერ ხედავს, როგორც ჩანს, დიდ განსხვავება ბოლშევიკურ საქართველოსა(1921-1989 წლები) და დღევანდელ საქართველოს(1991-1994 წლები) შორის. ჩვენ ამას ვუწოდებთ პოლიტიკურ სიბეცეს. მაგრამ ჩვენ კი არ ვგმობთ ამგვარ პირებს, არამედ მოვუწოდებთ მათ ჩადგენ პოზიცია-ოპოზიციის რიგებში. თუ მათ საქართველოს, ვთქვათ, დღევანდელი მთავრობა თუ საელჩო "არ მოსწონთ" ი მ ო ქ მ ე დ ო ნ, რომ საქართველოს მოსახლეობამ მომავალში "უკეთესი" მთავრობა და პარლამენტი აირჩიოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სუვერენია ხალხი, ხოლო მთავრობას(და პარლამენტს) ირჩევს ამომრჩეველთა უმრავლესობა. მაშ, ვიბრძოლოთ ყველამ, კონსტრუქციული კრიტიკისა და მოქმედების გზით, ჭეშმარიტი დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის. არასოდეს არ უნდა იქნას რომელიმე პირი და დაჯგუფება დაგმობილი იმისათვის, რომ ის "სხვა აზრისაა". მაგრამ, ვიმეორებთ, ყველა უნდა "ჩავეტიოთ" პოზიცია-ოპოზისიის", დემოკრატიის ამ მოტორის, სფეროში.

4.ჩვენი წინადადებაა საქართველოს საელჩომ გადადგას ნაბიჯი, რომ საქართველოს მთავრობამ ოფიციალური მადლობა უთხრას წერილობით საფრანგეთის მთავრობასა და საფრანგეთის მოსახლეობას იმისათვის, რომ საფრანგეთმა 1921 წლის 25 თებერვლის, დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს ეროვნული მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, მიიღო საფრანგეთში, რის შედეგად პარიზი გახდა საქართველოს ეროვნული მთავრობის სადგომი მთელი ამ ხნის განმავლობაში. თუ ამგვარი ოფიციალური წერილობითი მადლობა უკვე გადასცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა საფრანგეთის მთავრობას, მისი ვიზიტის დროს საფრანგეთში?..

5.ჩვენი სურვილია აგრეთვე, რომ საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ და საელჩომ ოფიციალურად გვირგვინი დაასვენოს ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვათ, 1995 წლის 26 მაისს, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის დროს. ამით საქართველოს მთავრობამ, მოსახლეობამ და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ იმ, ჩვენ ვამბობთ, "ოქროს თაობას", რომელმაც - 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ - შექმნეს საქართველოს ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, საქართველოს თითქმის ისტორიული ტერიტორიის ფარგლებში, შესანიშნავი "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით" და მოდერნული საქართველოს კონსტიტუციით, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა იმდროინდელი ევროპის ქვეყნები და პოლიტიკური მოღვაწეები.

6. 1994 წელს, ჩვენ ავღნიშნეთ პარიზში, 26 მაისი, ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული სამ-ჯერ: საქართველოს რესპუბლიკის საელჩომ აღნიშნა 26 მაისი პარიზში დიპლომატიური კორპუსისათვის, რომელსაც ბევრი ქართველობა დაესწრო. ეს იყო შესანიშნავი მიღება, რომელმაც ჩვენზე დიდი შთაგონება მოახდინა, რადგან 1933 წლის შემდეგ, როცა ოფიციალურად დახურულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო პარიზში, საფრანგეთში, - ეს იყო პირველი 26 მაისის დღესასწაული საერთაშორისო ასპარეზზე, პარიზში. ქართულმა სათვისტომომ საფრანგეთში აღნიშნა 26 მაისი, წინანდელი ათეული წლების ჩვეულების საწინააღმდეგოდ, რომლის დროს 26 მაისი ყოველთვის იმართებოდა შაბათ-კვირას, - სწორედ 26 მაისს, თითქოს "შეეჯიბრა" საქართველოს საელჩოს, და ისიც სამუშაო დღეს, ხუთშაბათს, რის გამოც კიდევ უფრო შემცირდა მოზეიმეთა რაოდენობა, თუმცა აქ გაისმა სიტყვები, რაც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამებოდა ჩვენში არსებულ მდგომარეობას. 26 მაისის მესამე ზეიმი კი ჩატარდა, ტრადიციის შესაბამისად, ლევილის ქართულ მამულში, რომელსაც დაესწრო საქართველოს რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში და საელჩოს თანამშრომლები . ლევილის ქართველობამ კი დაფნის გვირგვინი დაასვენა ქართული ძმათა სასაფლაოს საერთო აკლდამაზე, დაფნის გვირგვინი, რომელიც, ტრადიციის თანახმად, მოკრულ იქნა ლევილის მამულის დაფნისაგან.

და აქვე ჩვენი წინადადება: ვითომ შევძლებთ ჩვენ 1995 წლის 26 მაისი ავღნიშნოთ ერთად, ვთქვათ, ლევილის ქართულ მამულში?..

7. აქვე შევნიშნავთ, რომ ლევილის ქართულ მამულში "ბალის დღესასწაულს", ყოველწლიურად, მართავს ლევილის კათოლიკური ეკლესიის სამწყსო, რომელსაც ქართველობაც ესწრება. ლევილის ქართულ მამულში იმართება აგრეთვე საზოგადოებრივი თუ კერძო პირების შეხვედრები სადილით თუ სხვა სახის გართობებით, რომლებსაც მართავენ როგორც ფრანგები, ისევე ქართველები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს საელჩოსათვისაც ლევილის ქართული მამულის კარები ღიაა ანალოგიური შეხვედრების გასამართავად.

8. ლევილის ქართული მამულის მომავალი ბედიც უნდა გახდეს საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს საზრუნავი საკითხი, რაც მოითხოვს იმას, რომ საელჩომ ოფიციალური მოლაპარაკება უნდა აწარმოოს ქართული მამულის "სოსიეტესა" და ადმინისტრაციასთან, რომ მოგვარდეს ლევილის ქართული მამულის მემკვიდრეობითი საკითხი.

9. ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, რომ ლევილის კათოლიკური ეკლესიის სამწყსოს "ბალის დღესასწაულში" ოფიციალურად მონაწილეობა მიიღოს წმ. ნინოს ქართული ეკლესიის სამწყსომ, რადგან - 1. ბალის ხე დასავლეთ ევროპაში პირველად მოიტანა საქართველოდან რომაელმა მხედართმთავარმა - ლუკულუსმა და შემდეგ გავრცელდა მთელს ევროპასა და მსოფლიოში; ხოლო - მეორე -, როგორც ცნობილია, დიდ-გორის ბრძოლებში, დავით აღმაშენებლის ჯარში მონაწილეობას ღებულობდა ორასი თუ ათასი "ფრანკი ჯვაროსანი", რაც, ამ შემთხვევაში, შეიძლება გამოიყენოთ საფრანგეთ-საქართველოს მეგობრობის ისტორიულ საფუძვლად.

10. ჩვენ წამოვაყენეთ აგრეთვე, თავის დროზე, წინადადება, რომ შევძლოთ ლევილისა და დიდგორის დამმობილება, რაც, ვფიქრობთ, დადებით ზეგავლენას მოახდენს ფრანგი და ქართველი ხალხის კეთილი ურთიერთობის განმტკიცებაში.

11. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ლევილის ქართული მამულის ბიბლიოთეკა და წიგნთსაცავი გამოყენებულ იქნას იმ მხრივ, რომ საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტებს თუ მეცნიერ თანამშრომლებს საშუალება მიეცეს ლევილის ბიბლიოთეკასა და წიგნსაცავში მუშაობისა, რომ აქ დაცული მასალების შესწავლა თანდათანობით წარიმართოს წინ.

12. ჩვენ ვიძლევით წინადადება აგრეთვე, რომ საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს სფეროში შექმნილ იქნას, ვთქვათ, "რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი", რომლის ამოცანად გვესახება: 1. ქართული ენის შემსწავლელი კურსების შექმნა პარიზში; 2. სტუდენტთა გაცვლა=გამოცვლა საქართველოსა და საფრანგეთს შორის; 3. გამოფენების მოწყობა, და სხვ. "რუსთაველის ინსტიტუტის" იდეა ჩვენ დაგვებადა "გოეთეს ინსტიტუტის" შესაბამისად, რომელიც მოღვაწეობს ყველგან, სადაც არსებობს გერმანიის საელჩო.

13. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ელჩის სიტყვებმა აღნიშნულ შეხვედრაზე, რომ "ჩემი ოცნებაა გვქონდეს პარიზში ქართული ეკლესია!" მართლაც, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ეკლესია წმ.ნინო პარიზში და შევქმნათ, თუ შესაძლებელია, სამლოცველო-ეკლესია ლევილის ქართულ მამულში. მაგრამ ჩვენ უნდა შევძლოთ ერთი ეკლესიის აშენება პარიზში, საკუთარი ეზოთი, საქართველოს საპატრიარქოს უფლებამოსილებით, რაც უნდა გახდეს ქართული სულის უკვდავების ცენტრად მხოლიო კულტურის ისეთ ცენტრში, როგორიც პარიზია; და გვჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ. საჭიროა მხოლოდ ერთობა, ერთობა და კიდევ ერთობა მრავალფეროვანებაში.

14."აქვე და ახლავე" კი ჩვენს წინაშე, და ამით საქართველოს საელჩოს წინაშეც საფრანგეთში დგას ქართველ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი შიდა ქართლსა და აფხაზეთის რეგიონში, რომლის განხორციელებისათვის ჩვენმა საელჩოებმა პარიზში, ვაშინგტონში, ლონდონში თუ ბონში, განუწყვეტლივ, ისევ და ისევ უნდა მიმართონ ამ ქვეყნების მთავრობებს გაგვიწიონ შუამდგომლობა "ყოვლის შემძლე მოსკოვთან", რომ ქართველ ლტოლვილებს დღესვე შეეძლოთ თავიანთ სახლკარში დაბრუნება, რადგან "ხვალ" უკვე გვიანია. რა თქმა უნდა, ეს მოითხოვს დიდ დიპლომატიურ ოსტატობას, მაგრამ განა დასავლეთმაც არ იცის, რომ ჩვენ სოხუმში, 1993 წლის 27 სექტემბერს,"დაგვაჩოქა" არა ერთ მუჭა აფხაზმა ექსტრემისტებმა, არამედ რუსეთის არმიამ?..

კარლო ინასარიძე
1994 წლის 27 სექტემბერი,
სოხუმის დაცემის ერთი წლისთავი

"გათიშე და იბატონე":
===================

"მოსკოვი ნებისმიერი რეჟიმის პირობებში იცავდა პრინციპს 'გათიშე და იბატონე'. ბოლოს და ბოლოს ყველამ უნდა გაიცნობიეროს, რომ აფხაზეთში მიმდინარეობს აფხაზი და ქართველი ხალხების მეთოდიკური ჟლეტა მესამე ძალის სასარგებლოდ, შურისძიების პრინციპით: 'თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ'.
ვლადისლავ არძინბა და 'აიღგირლარახ' ლიდერები - ეს სულაც არ არიან აფხაზი ხალხი. დარწმუნებული ვარ, აფხაზური სეპარატიზმის ლიკვიდაციასთან ერთად, აღმოიფხვრება ქართული ექსტრემიზმის ფესვებიც".

ლორიკ მარშანია - აფხაზი მეცნიერი და
საზოგადო მოღვაწე
----------------

## ქართული ჟურნალ-გაზეთები უცხოეთში

დაწყებული 1921 წლის 25 თებერვლიდან, როცა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და ქართველთა ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვება ჩვენი სამშობლო და თავი შეეფარებიათ უცხოეთის ქვეყნებში, მრავალი ჟურნალ-გაზეთი და წიგნები იბეჭდებოდა უცხოეთში, განსაკუთრებით პარიზში, სადაც ცხოვრობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდი ნაწილი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვით მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ახლა კი პოლიტიკური ემიგრაცია უცხოეთში უკვე აღარ არსებობს, რადგან საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა და ქართველთა მიმოსვლა სამშობლოში უკვე თავისუფალია. მაგრამ ქართული ემიგრაციის მეორე და მესამე თაობის სახით სათვისტომოები არსებობს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებსაც უახლესი ემიგრანტებიც მიემატა; და რა გასაკვირია, რომ ქართული ემიგრაცია ცდილობს ჟრნალ-გაზეთების გამოცემას, რომ ქართველთა ცხოვრების ყველა მხარე უცხოეთში გაშუქებულ იქნას ბეჭდვითი ორგანოებით. სამწუხაროა, რომ პარიზში გამოდის პერიოდულად მხოლოდ ორი ჟურნალი -"მებრძოლი საქართველო" და "ჩვენი დროშა"და ისინიც მეტად მცირე ტირაჟით. და ასეთ პირობებში, ახლა

ნიუ-იორკიდან მივიღეთ 'ქართული საზოგადოების საინფორმაციო ორგანოს აშში' პირველი ნომერი, რამაც, გასაგებია, მეტად გაგვახარა, რადგან მასში ასახულია ქართველთა მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვესალმებით რა ამერიკის ქართული საზოგადოების ამ საჭირო წამოწყებას, აქვე ვაქვეყნებთ ამ 'ცნობის ფურცელის' 1994 წლის მაისის ნომრის მთელ შინაარს.

- . - . - . - . - . -

# ცნობის ფურცელი

Georgian Association In The USA Inc., 164, Burns St. Forest Hill Gardens N.Y. 11375

ქართული საზოგადოების საინფორმაციო ორგანო ამერიკის შეერთებულ შტატებში

ბოსტონი
მაისი, 1994წ.

*(საზოგადოება დაფუძნებულია 1932 წელს)*

ინიციატორები
სულისჩამდგმელები:

გივი ზალდასტანიშვილი
ნუგზარ კაჭუხაშვილი
ნატალია თვალჭრელიძე

ინფორმაცია შეაგროვეს
და მოგვაწოდეს:

ნიუ-იორკი — ილზე ბარათელმა
სან-ფრანცისკო — კონსტანტინე რიჟინაშვილმა
ატლანტა — დავით შენგელიამ

Founders:
Guivy Zaldastani
Nugzar Kachukhashvili
Natalia Tvalchrelidze

Information Gathered by:
New-York — Ilse Baratheli
San-Fransisco — Constantine Rizhinashvili
Atlanta — David Shengelia

The Journal of Georgian Association
In the United States of America

Boston
May, 1994

*(Association Founded In 1932)*

Georgian Association In The USA Inc., 164, Burns St. Forest Hill Gardens N.Y. 11375

# NEWSLETTER

1. საქართველოს დამოუკიდებლობის 76 წლისთავის აღსანიშნავად ქართული სათვისტომოს გამგეობა ა.შ.შ.-ში საზეიმო დღესასწაულს მართავს კვირას, 22 მაისს, 1994 წელს, დღის 2 საათზე.
მისამართი: Estonian House, 243 East 34-th St. New-York, N.Y.
აგრეთვე განხილული იქნება მიმდინარე საკითხები.

2. ა.შ.შ.-ში ვიზიტის დროს ბ-ნი შევარდნაძე ქვეყნის პრეზიდენტს ბ-ნ კლინტონს და ყოფილ სახელმწიფო მდივანს ბ-ნ ბეიკერს შეხვდა. საუბრის დროს განხილულ იქნა საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე რთული ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები და, აგრეთვე, აფხაზეთის საკითხი. საქართველომ დახმარების მიზნით მიიღო 70 მილიონი დოლარი. (ბოლო ორი წლის განმავლობაში ა.შ.შ.-მ საქართველოს ჰუმანიტარული დახმარების მიზნით გამოუყო 230 მილიონი დოლარი.)
ამავე ვიზიტის დროს, ბ-ნი შევარდნაძე ესაუბრა სენატორ რობერტ დოულს, რომელმაც იმავე დღეს, 8 მარტს, სენატის სხდომაზე საქართველოში შექმნილ მდგომარეობას ანალიზი გაუკეთა. მან დაგმო რუსეთის მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტში და მძაფრი პარალელი გაატარა საქართველოში მიმდინარე ამბებსა და 1956 წლის უნგრეთს, 1968 წლის ჩეხოსლოვაკიასა და 1979 წლის ავღანეთს შორის. ბ-ნმა დოულმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების მოქმედება გაეროს ეგიდით სრულიად დაუშვებელია. სენატორი თვლის, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც დასავლეთს აზიის სიმდიდრეთაკენ რუსეთის გარშემოვლით გაუხსნის გზას და, აგრეთვე, იქნება მშვიდობის ფორპოსტი ტრანსკავკასიაში.

3. 1993 წელს დავით ზოდელავას მიერ დაწესებული პრემია მამულიშვილური საქმიანობისთვის გადაეცათ:
1. ბ-ნ გივი ზალდასტანიშვილს
2. ბალერინა ნინო ანანიაშვილს
3. მსოფლიო ჩემპიონს კრივში 19 წლის გიორგი კანდელაკს

4. საქართველოში დემოკრატიის მხარდამჭერი ამერიკული კომიტეტის საქმიანობა.
1) საქართველოში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისის საპასუხოდ კომიტეტმა რამოდენიმე ინიციატივას სპონსორობა გაუწია. მათ შორის 1993 წლის 8 დეკემბერს ჰუმანიტარული დახმარების გადასატანად დაგეგმილ ავიარეისს, რომელმაც თბილისში 10 მილიონი დოლარის ღირებულების წამლები ჩაიტანა.
2) კომიტეტის მეთვალყურეობით თბილისში დაარსებულ იქნება დემოკრატიის განმამტკიცებელი ცენტრი, რომლის საქმიანობა შეიარაღებულ კონფლიქტთა შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილებასა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის მხარდაჭერას მოიცავს. ცენტრის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პრესა და ტელევიზია, კონფლიქტთა გადალახვის საერთაშორისო კონსორციუმი და დემოკრატიულ სტრუქტურათა დამფუძნებელი ორგანიზაციები.
3) კომიტეტის ერთ-ერთი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ამერიკულ ფირმებს, რომელთაც საქართველოში კაპიტალის დაბანდების სურვილი აქვთ.
კომიტეტის შემადგენლობაში შედიან:
პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, ბ-ნები ჯორჯ შულცი, ჯეიმს ბეიკერი, ჯეიმს გარისონი, რობერტ მედეარისი, ჯილბერტ რობინსონი, კონსტანტინე რიჟინაშვილი და სხვანი.

5. Georgian Foundation გახლავთ ამერიკული კორპორაცია, რომლის ფილიალებიც გაფანტულია მარტინეზში (კალიფორნია), ანანდალეში (ვირჯინია) და თბილისში. ეს ორგანიზაცია ამერიკელ და ქართველ კერძო პირთა მიერ დაფუძნდა. დღემდე Georgian Foundation მოქმედებს შემოწირულობათა ხარჯზე. შეგროვებული თანხები მედიკამენტების შეძენასა და საქართველოში განაწილებას მოხმარდა.
ამ ფონდში გაერთიანებულნი არიან ორივე მხრის პროფესიონალი ექიმები: დავით სიგუა – პრეზიდენტი, ნელი ჯავახიშვილი – თანათავმჯდომარე, ჩარლზ კლემონსი – ხაზინადარი, ირაკლი მეგრელაძე – ვიცეპრეზიდენტი, მონიკა კლემონსი – ვიცეპრეზიდენტი და სხვანი.
ორგანიზაციის სამომავლო მიზანია საქართველოს სამედიცინო მომსახურება მსოფლიო სტანდარტების დონეზე აიყვანოს, რასაც ფონდის წევრები მიზანდასახულად ახორციელებენ.

6. ბ-ნი ანდრო ერისთავი 1994 წლის იანვარში მძაფრი კონკურენციის მიუხედავად მეორედ იქნა არჩეული ქ. ნიუ-იორკის გამგეობის წევრად.

7. ცამეტი ქართველი, რომლებმაც მოიპოვეს ედმუნდ მასკის სტიპენდიები, სწავლობენ ა.შ.შ.-ს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ბიზნესის, ეკონომიკის და საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალობებით. მათ შორის არიან: ბიძინა ბეჟუაშვილი, გიორგი ზანგურაშვილი, გიორგი ჩქარეული, ლია წვენიაშვილი და სხვანი.

8. ა.შ.შ.-ს სამხედრო ძალების ნორმანდიაში გადასხმის 50 წლისთავთან დაკავშირებით საფრანგეთში მემორიალური ძეგლი აღიმართება. მის გახსნაზე, 6 ივნისს, მიწვეულნი არიან ბ-ნი კლინტონი, ბ-ნი მიტერანი, ქ-ნი ტეტჩერი და სხვა ოფიციალური პირები. ამ პროექტთან დაკავშირებული საინჟინრო სამუშაოების წარმართვა ბ-ნ ოთარ ზალდასტანიშვილს დაევალა. იგი აგრეთვე მიწვეულია მონუმენტის გახსნაზე.

9. ბ-ნ გივი ზალდასტანიშვილის ხელშეწყობით მესამე ქართველი ახალგაზრდა მიღებულ იქნა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, 1994 წლის კლასში. ამ პროცესში დაუფასებელი როლი აგრეთვე ითამაშეს ქალბატონებმა მიშლინ ზალდასტანიშვილმა და ილზე ბარათელმა, ბატონებმა გოგი თურქიამ, დანიელ კიუნინმა, ბესიკ სიხარულიძემ, კახა ავალიანმა, ვალერიან ძამიამ და განსაკუთრებით, ფირმა *BIP-KOG*-ის გენერალურმა დირექტორმა ბ-ნ დავით ბერსენაძემ.

10. უელზლის კოლეჯის ანთროპოლოგიის დეპარტამენტისა და კერძოდ. პროფესორ ფილიპ კოლის შემწეობით კოლეჯში შეგროვდა დახმარება აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის. ტერითის

1. The Georgian Association in the United States of America celebrates the 76-th anniversary of independence of the Republic of Georgia. The ceremony will take place at the Estonian House on May 22-nd at 2 o'clock in the afternoon.
Address: Estonian House, 243 East 34-th St. New York, N.Y.

2. During his visit to the USA, Chairman Shevardnadze met with President Clinton and former State Secretary James Baker. Some issues on Georgia's current political and economic situations, including the Abkhazian conflict, were discussed.
Georgia received 70 million US dollars for humanitarian aid.
Chairman Shevardnadze also had a meeting with Senator Robert Dole after which the republican leader made a speech in the Senate. He made some references about Russia's activities in the Republic of Georgia: "...to say the Russians were invited into Georgia brings back memories of Russian "invitation" into Hungary in 1956, into Czechoslovakia in 1968, or into Afghanistan in 1979. Georgia is a test case of Russian pressure on the former republics -- and it worked. They got bases, they got a new CIS member, and now they are going to get American taxpayers to finance their troops" as a UN operation in its own former colony.
The Senator suggested that US Government should establish a Transcaucasus Enterprise Fund along with the Funds already established for the rest of the former Soviet Union.
He also noted that Georgia could be the key to unlocking the wealth of central Asia without dependence on Russia.

3. Three David Zodelava's Prizes for patriotic activities in 1993 were awarded to:
1. Mr. Guivy Zaldastani
2. The Ballet Dancer Nino Ananiashvili
3. A 19 year old Georgian boxer, winner of the World and European Championships George Kandelaki

4. US Committee to Support Democracy in Georgia
The US Committee to Support Democracy in Georgia was created to both mobilize public support for emergency humanitarian assistance and provide democratic institution building, free market training and technical support to the people of Georgia in their hour of need.

In response to humanitarian crises in Georgia, The Committee has sponsored numerous initiatives, including a December 8, 1993, medical relief flight to Tbilisi with donated medical supplies with a market value of $10 million.
Under the auspices of the US Committee, an international consortium of respected conflict resolution, media and democratic institution building organizations will establish in Tbilisi a Center for Sustainable Democracy to provide an institutional means to both alleviate further conflict and strengthen the democratic process now underway in Georgia.
Providing both free market training and economic transition council, the US Committee will continue on-going programs under the Georgian Management Training Program.
As part of its function to assist the people of Georgia The US Committee will assist both Georgian President Edward Shevardnadze and US companies with private investment and entrepreneurial interest in Georgia.
Members of the US Committee include: President Jimmy Carter, George P. Shultz, James A. Baker, III, Robert Medearis, Constantine Rizhinashvili, ...

5. Georgian Foundation
The Georgian Foundation is a tax Exempt United States corporation. Its offices are located in Martinez, California, Annandale, Virginia and Tbilisi, Republic of Georgia. The Georgian Foundation was founded by private citizens of the United States and the Republic of Georgia. The Georgian Foundation to date has operated on a strictly volunteer basis with overhead costs covered by the volunteers. All raised funds have been used for medical humanitarian aid procurement and distribution in Georgia.
The founding members of the Georgian Foundation are medical professionals from both countries, who were instrumental in providing emergency aid to the Republic of Georgia in 1992.
Besides, the foundation directs coordination of many humanitarian activities.
Members include: David Sigua, President; Nelly Javakishvili and Nina Jvania, CO-chairwomen; Charles Clemons, Director Treasurer; Merle McQueen, Director-Secretary; ....

6. Andrew Eristoff, son of Constantine Sidamon Eristoff & grandson of the late Prince Siko Sidamon Eristavi, was reelected councilman in New York City on January 27, 1994.

7. Thirteen Georgians, participating in Edmund Muskie Fellowship Program, are studying in different US Universities majoring in Public Administration, Business, Economics and Law. Among them: Bidzina Bezhuashvili, George Zangurashvili, George Chkareuli and others.

8. Othar Zaldastani has participated in the design of the US Armed Services Memorial in Caen, France commemorating the 50-th Anniversary of D-Day and the liberation of Europe -- and has been invited to attend its dedication.
President Clinton and other Heads of States will attend the ceremony.

9. A third Georgian, Nugzar Kachukhashvili, has been accepted to Harvard Business School. The guidance & support of Mr. Guivy Zaldastani in this process was essential. The assistance of Micheline Zaldastani, Ilse Baratheli, George Turkia, Daniel Kunin, Besik Sikharulidze, Kakha Avaliani, Walerian Dzamia and especially of the General Director of *BIP-KOG Ltd.* -- David Bersenadze were very helpful.

10. The Department of Anthropology at Wellesley College and Professor Philip Kohl in particular generously organized a donation and a financial assistance for the refugees of Abkhasia.

საქართველოში გადაგზავნა იკისრა ასოციაცია "Georgian Foundation"-მა, რომელიც მისი დანიშნულებისამებრ განაწილებასაც მეთვალყურეობას გაუწევს. უელზლის კოლეჯის დაინტერესება საქართველოთი განპირობებული გახლავთ ბატონ ფილიპ კოლის მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევით სამცხე-ჯავახეთის პლატოზე. ბატონი პროფესორის თაოსნობით მომავალ ზაფხულს ეწყობა მორიგი არქეოლოგიური ექსპედიცია კავკასიაში.

წელს ამ რეგიონისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგანაც უელზლის მრავალეროვან სტუდენტთა კორპუსს შეემატა ქართველი: კოლეჯი გულუხვად მასპინძლობას უწევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტს -- ნატო უბილავას.

11. ბ-ნი დანიელ კიუნინი, ამერიკის მოქალაქე, 1989 წელს ქართველი სტუდენტების უილიამსკოლეჯში ვიზიტის დროს იმდენად დაინტერესდა საქართველოს ისტორიითა და კულტურით, რომ მოგვიანებით ექვსთვიანი სწავლების კურსი გაიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან უცნაურად სწრაფად შეისწავლა ქართული ენა და ისტორია. მას შემდეგ იგი ბ-ნ ლევან ჩიკვაიძის ოჯახის ხშირი სტუმარია. დანიელი ცხოველ მონაწილეობას იღებს საქართველოსადმი დახმარებაში. მისი ინიციატივით და ხელშეწყობით, ქართველი ახალგაზრდა გიორგი ახალაძე გაივლის სტაჟირებას ნიუ-იორკის MTV სტუდიაში.

12. ბ-ნ გივი ზალდასტანიშვილის გეგმები 1994 წლისათვის.
ბ-ნ გივი ზალდასტანიშვილის საქმიანობა 1994 წლის განმავლობაში მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას, რომელთა მიზანი საქართველოს რესპუბლიკის საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის საჭირო კადრების აღზრდას ემსახურება.

*ა. ჰარვარდის ბიზნეს სკოლისათვის* კანდიდატების შერჩევა თბილისის ბიზნეს სკოლასა და გოგი თურქიას ბიზნეს სკოლის დახმარებით.

*ბ. თბილისის ბიზნეს სკოლასა და გოგი თურქიას ბიზნეს სკოლაში* ბ-ნი გივი ამა წლის განმავლობაში ორჯერ წარსდგება ლექციათა კურსით.

*გ. ამერიკული საშუალო სკოლის შექმნა თბილისში.*

13. ემორის უნივერსიტეტი ქ. ატლანტაში, ჯორჯიის შტატი, გახლავთ პირველი უმაღლესი სკოლა, რომელმაც საქართველოსთან ურთიერთობა დაამყარა. 1987 წელს მისი მდივანი თომ ბერტრანდი თბილისში ჩამობრძანდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან (ბ-ნები ალექსანდრე რონდელი, ლევან ალექსიძე, ნოდარ ამაღლობელი) მჭიდრო კონტაქტი გააბა. მას შემდეგ დღემდე ბ-ნმა ბერტრანდმა 20-მდე ქართველ სტუდენტს ა.შ.შ.-ში სასწავლებლად სტიპენდია გამოუყო.

ამჟამად ბრევარდის კოლეჯში, ჩრდილო კაროლაინას შტატი, რომლის პრეზიდენტიც ბ-ნი ბერტრანდი გახლავთ, ორი ქართველი ახალგაზრდა სწავლობს. სექტემბრიდან მათ კიდევ სამი თბილისელი სტუდენტი შეუერთდება.

14. ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორ ბ-ნ კენეთ უოლკერს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ცენტრის "Georgia to Georgia"-ს ჩამოყალიბებაში. მას შემდეგ, რაც მან სამედიცინო აპარატურა და კომპიუტერები ჩაიტანა საქართველოში, ბ-ნი უოლკერი თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს რეკონსტრუირებას და თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობით მომარაგებას აპირებს.

15. ა.შ.შ.-ში ბრევარდის კოლეჯის გუნდში თამაშობს 21 წლის ქართველი ფეხბურთელი ლევან სეფერთილაძე, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

16. საზოგადოების „ოქროს საწმისი" პრეზიდენტმა დავით აგიაშვილმა საქართველოს შესახებ გადაიღო ფილმი, რომელსაც იგი ამჟამად ამონტაჟებს. მას გადაწყვეტილი აქვს ზემოხსენებულ სურათს რეკლამა გაუკეთოს ა.შ.შ.-ში. პერსპექტივაში მას სურს ჩამოაყალიბოს საქართველო-ამერიკის კულტურული ცენტრი.

17. 15 მარტს ხანგძლივი ავადმყოფობის შემდეგ 91 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონიშვილი დავით ვაჩნაძე. უახლოეს მომავალში იგი გადასვენებულ იქნება პარიზში და დაკრძალულ იქნება ქართულ სასაფლაოზე ლევილში.

18. გერმანულ გამომცემლობას "Burkhard Herbote" „მსოფლიო ტურიზმის ცნობარი" მორიგ გამოშვებაში დაგეგმილი აქვს შეიტანოს ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

The association "Georgian Foundation" will provide shipment of the aid to Georgia and its fair distribution among indigents.

During his six-year anthropological research in Samtskhe-Dzavakheti Plane Professor Kohl greatly contributed to the scientific interest of Wellesley College regarding Georgia. He will coordinate another archeological expedition in the Caucasian region this Summer.

This interest towards Georgia has recently increased since Wellesley multi-national student community has been generously hosting a Georgian this year — Nato Ubilava-- a student at International Relations Department, Tbilisi State University, is currently finishing her second semester at Wellesley.

11. Daniel Kunin, a citizen of the US, became interested in Georgian culture to such an extent that he eventually took several courses at the Tbilisi State University. His first meeting with Georgians goes back to 1989 during the Georgian students' visit to Williams College.

Daniel's contribution in helping Georgia is significant. He is a frequent guest in Tbilisi, of Mr. Levan Chikvaidze's. Under his initiation and assistance another Georgian -- George Akhaladze will soon be trained at MTV in New York.

12. During 1994 Mr. Guivy Zaldastani will continue his activities to organize a manpower capable of moving the Republic of Georgia towards a market economy. The implementation consist of three separate undertakings, each designed to reach young Georgians at different stages of their development:

1. Training at the Harvard Business School
2. Teaching at the Tbilisi Business School and the Graduate School of Management at Georgian Technical University.
3. Creation of an American High School in Tbilisi.

13. Emory University, Atlanta, Georgia, was first among US Universities to establish contacts with the Republic of Georgia. The secretary of the university, Tom Bertrand, visited Tbilisi State University in 1987 and developed contacts with the professors of TSU- Mr. Alexander Rondeli, Mr. Levan Alexidze, Mr. Nodar Amaglobeli. Since then Mr. Bertrand has been able to provide about twenty Georgian students with full scholarships at Emory.

Now, Mr. Bertrand is the President of Brevard College, North Carolina where two Georgian students are currently studying, and three more will start their college years in the fall.

14. Mr. Kenneth Walker, Professor of the Medical School at Emory University, has established the "Georgia to Georgia" Center. The Center has already provided some Georgian Hospitals with computers and medical equipment. Currently the Center is working on a project of restructuring and furnishing with modern equipment the First Clinical Hospital in Tbilisi.

15. The Georgian soccer player -- Levan Sepertiladze is playing for the Brevard College soccer team with great success.

16. The president of the association "Golden Fleece"-- David Agiashvili has made a film about Georgia. He intends to market the movie in the US.
The president plans to establish a Georgia--US cultural center.

17. After a long illness Prince David Vachnadze died on march 15 at the age of 91. He will be buried in Leville Georgian Cemetery, France.

18. The German Publishing House -- "Burkhard Herbote" intends to include some information about Georgia in the new edition of "World Tourism Directory".

---

## ცნობის ფურცელი

Georgian Association In The USA Inc., 164, Burns St. Forest Hill Gardens N.Y. 11375

ქართული საზოგადოების საინფორმაციო ორგანო ამერიკის შეერთებულ შტატებში

(საზოგადოება დაფუძნებულია 1932 წელს)

ბოსტონი
მაისი, 1994წ.

ინიციატორები
სულისჩამდგმელები :

გივი ზალდასტანიშვილი
ნუგზარ კაკუშაშვილი
ნატალია თვალჭრელიძე

ინფორმაცია შეაგროვეს
და მოგვაწოდეს:

ნიუ-იორკი ილზე ბარათელმა
სან-ფრანცისკო კონსტანტინე რჩეულიშვილმა
ატლანტა დავით შენგელიამ

---

არჩევნები ქართულ სათვისტომოში საფრანგეთში

1994 წლის ნოემბერში, პარიზში, ჩატარდა ქართული სათვისტომოს გამგეობის არჩევნები. სათვისტომოს წესდების თანახმად, საერთო კრებამ აირჩია სათვისტომოს გამგეობა; გამგეობის წევრებმა კი ქართული სათვისტომოს თავჯდომარედ აირჩიეს ბატონი ნოდარ ოდიშელიძე.

# ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი   გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, - თინათინ პატარიძე-ინასარიძისა და კარლო ინასარიძე, - იძულე-
ბული გაგვხადეს გავაკეთოთ შემდეგი განცხადება:

1). ჩვენს დედაქალაქ თბილისს ვაჩუქეთ "პარიზის შადრევანი", რომელიც პარიზიდან მიტანილ იქნა თბილისში, და 1994 წლის 10 ოქტომბერს გაიხსნა თბილისში საზეიმო ვითარებაში, თუმცა ჩვენი თხოვნა "პარიზის შადრევანი" დაედგათ "პარიზის სკვერში" ან "პარიზის ქუჩაზე", როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერ განხორციელდა. თვით პარიზში კი დღესაც "Fontaine Wallace", როგორც "პარიზის შადრევანს" უწოდებენ ფრანგულად, - ამშვენებს პარიზის სკვერებს, ქუჩებს თუ მოედნებს, რაც შესანიშნავი სანახაობაა. ამ ჩვენს "პარიზის შადრევანს" აქვს წარწერა:

| | |
|---|---|
| "Liberté - Egalité - Fraternité" | "თავისუფლება - თანასწორობა - ძმობა" |
| Paris I4 Juillet I789 | პარიზი, 14 ივლისი, 1789 წ. |
| Tbilissi 26 Mai I918 | თბილისი, 26 მაისი, 1918 წ. |

2). სოფელ კუმუზოურის (ვანის რაიონი) სასაფლაოს შევწირეთ თითქმის ერთტონიანი ზარი, რომელიც გერმანიიდან მიიტანეს თბილისში, ხოლო თბილისიდან კუმუზოურში და უკვე დასვენებულია კუმუზოურის სასაფლაოს სამრეკლოში. გავიღეთ აგრეთვე თანხა იმისათვის, რომ კუმუზოურში, სამრეკლოს გვერდით, აშენებულ იქნას ეკლესია, რომლისათვის ღვთისმშობლის სასწაულმომქმედი ხატის -"მეჭიშკრეს"- კოპიო-პირი წამოვიღეთ ათონის წმინდა მთის "ივერიონის" ქართულ მონასტრიდან. ეკლესიის ასაშენებელი ადგილი კი აკურთხა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტმა კალისტრატემ, რომელმაც კუმუზოურის ეს ეკლესია, რომელიც მშენებლობის პროცესშია, დალოცა როგორც ღვთისმშობლის მიძინების სიონის ეკლესია. ამ ჩვენი ეკლესიისათვის შევიძინეთ აგრეთვე მიქელ ანჯელოს ცნობილი ქანდაკების "პიეტას" ორიგინალის დანომრილი მცირე კოპიო-ასლი, რაც ჩვენი ოჯახის წევრებმა წამოიღეს მიუნხენიდან და დასვენებულ იქნება კუმუზოურის ღვთისმშობლის მიძინების სიონის ეკლესიაში. "პიეტას" ორიგინალი-ქანდაკება კი, როგორც ცნობილია, დასვენებულია ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარში, რომში.

3). პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიას შევწირეთ მომცრო სიდიდის ზარი, რომელიც ჩვენვე ჩავიტანეთ პარიზში და უკვე დასვენებულია პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში. პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა მამა ილია მელიამ კი კუმუზოურის ღვთისმშობლის მიძინების სიონის ეკლესიას შეწირა ერთი ხატი, რომელიც წამოიღეს ჩვენი ოჯახის წევრებმა და დასვენებულ იქნება კუმუზოურის ეკლესიაში.

4). საქართველოს მუზეუმს ვაჩუქეთ ავგუსტ როდენის ქანდაკების -"მოაზროვნის" - ორიგინალის დანომრილი კოპიო-ასლი, რომელიც პროფესორმა გურამ შარაძემ ჩაიტანა თბილისში და გადასცა მუზეუმს.

ჩვენ იძულებული გავხდით გაგვეკეთებინა ამგვარი განცხადება იმიტომ, რომ ჩვენ ასე მოვიმოქმედეთ არა ვინმეს შთაგონებით, ან ჩვენი თავის, ანდა სხვა პირის თუ პირების "განსადიდებლად", არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი დიადი სამშობლოს სიყვარულით.

დიდება ერთიან და განუყოფელ საქართველოს!..

დ ი დ ე ბ ა   ქ ა რ თ ვ ე ლ   ე რ ს!..

თინა: პატარიძე-ინასარიძისა.

მიუნხენი, 1994 წლის 21 ოქტომბერი

კარლო ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## აგვისტოს აჯანყების 70 წლისთავი

1994 წლის 2 ოქტომბერს ლევილში აღინიშნულ იქნა 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 70 წლისთავი. ქართულმა საზოგადოებამ ჯერ დაესწრო პანაშვიდს ლევილის კათოლიკურ ეკლესიაში, და შემდეგ წირვა გაგრძელდა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, რომლის დროს შთამაგონებელი სიტყვებით მიმართა დამსწრეთ პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარმა არქიმანდრიტმა არჩილმა. შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ თავი მოიყარა ქართული მამულის შალოს დიდ დარბაზში, სადაც გაიმართა სადილი, რომლის დროს სიტყვა წარმოთქვა ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ საფრანგეთში, ქალბატონმა ლია გიგილიძე-ვოლემ, რომელშიც მან აღნიშნა აგვისტოს აჯანყების დიდი როლი საქართველოს თავისუფლების მოპოვების საქმეში.

ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

---

## ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

### გაერო აფხაზეთის შესახებ

გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია აფხაზეთის პარლამენტის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება და აფხაზეთის პრეზიდენტად ვლადისლავ არძინბას არჩევა. უშიშროების საბჭომ მოუწოდა აფხაზეთის ხელმძღვანელობას ქართველი ლტოლვილების თავიანთ სახლკარში დაბრუნების საქმეში ითანამშრომლოს გაეროს ლტოლვილების უმაღლეს კომისართან.

აჟანს-ფრანს-პრეს:5.12.1994 წ.

### ჩ ე ჩ ნ ე თ ი

რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტან დაკავშირებით, თურქეთის მთავრობამ გამოთქვა გაფრთხილება, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი არ მოედვას მთელ კავკასიას. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოუწოდა მოწინააღმდეგეებს ეს კონფლიქტი მოგვარებულ იქნას მოლაპარაკებების გზით.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ქრისტინე შელიმ განაცხადა, რომ ჩეჩენეთის საკითხს ამერიკის მთავრობა განიხილავს როგორც რუსეთის შინაგან საკითხს.

ა.ფ.პ - 2.12.1994 წ.






## რუსების ჰობი აფხაზეთში – ქართული ტექნიკის განადგურება

10–11 ოქტომბერს რუსეთის სამშვიდობო ძალები კვლავაც დიდი რუდუნებით აგრძელებენ კოდორის ხეობაში ბედის ანაბარა მიტოვებული მძიმე საბრძოლო ტექნიკის მოძიებას და განადგურებას. ამ დღეებში მათ აფეთქებს კიდევ 1 ტანკი, 2 ბეემპე, 4 ჰაუბიცა, 58 ნაღმი. სოფელ საკენში მძიმე ტექნიკის ერთბაშად 9 ერთეული იპოვეს. ყოველი ამგვარი შენაპოვარი დაინტერესებული მხარეების თანდასწრებით ადგილზევე ნადგურდება.

რეზონანსი, 1994 წლის 8–9 ოქტომბერი

## ნავთობი ძველებურად მაფიის ხელში ხვდება

„საქნავთობი"-ს დეპარტამენტისა და ძალოვან სამინისტროთა ხელმძღვანელობასთან გამართულ თათბირზე ე. შევარდნაძემ აღმოსავლეთ საქართველოში ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას კრიტიკული უწოდა. 180 კერძო ნავთობმომპოვებელი დანადგარის განადგურების მიუხედავად სექტემბერში 3000 ტ. ნავთობი იქნა მიტაცებული. ძალოვან სტრუქტურებს დაევალათ უახლოეს ხანში ჭაბურღილებზე წესრიგის დამყარება. შევარდნაძემ „საქნავთობი"-ს ხელმძღვანელები გააფრთხილა, რომ თუ ერთი თვის განმავლობაში პრობლემა არ მოაგვარეს, მათ დაკავებული პოსტებიდან გადააყენებს.

## საქართველო – გაზის მომავალი ექსპორტიორი

როგორც ცნობილი გახდა, ბათუმის აკვატორიის მიდამოებში ნაპირიდან მცირეოდენ მანძილზე აღმოჩენილია ბუნებრივი აირის დიდი მარაგი. მეცნიერთა შორის არსებობდა მოსაზრება, რომ სანაპირო ზოლიდან 150 კმ-ის მანძილზე არის გაზისა და ნავთობის დიდი მარაგი. მაგრამ მისი ნაპირზე გამოყვანა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ბათუმის შემთხვევა სასიამოვნო გამონაკლისი აღმოჩნდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დაიქირავა უკრაინული გემი, რომელმაც გადაიღო ზღვის ფსკერი, რის შედეგადაც აღმოჩნდა გაზის დიდი მარაგი. როგორც რეზონანსს განუცხადა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალეკო ფალავამ, საბადო არ ექვემდებარება ჯერჯერობით მოპოვებას. როგორც მსოფლიოში ... მისი ... ქართველმა [illegible]

მეცნიერებმა მოიფიქრეს გაზის მოპოვების ახალი მეთოდი, რომელიც არ გამოიწვევს დიდ დანახარჯებს. ალეკო ფალავას აზრით, მისი მოპოვება მოხდება უფრო ხნრაფად და იაფად. წელს აჭარის მესვეურნი ვარაუდობენ იმ რაოდენობის გაზის მოპოვებას, რომელიც ბათუმს ეყოფა.

არის შედეგებიც? შესახებ ალეკო ფალავამ აღნიშნა, რომ მის შემადგენლობაში შედის 12% წყალბადი, რაც გამომდინარეობს ამ თვისებებით უფრო ხარისხიანია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ალეკო ფალავას ოპტიმისტური განცხადების მიხედვით, საბადო იმდენად მდიდარია, რომ იქიდან გაზის მოპოვება 7000 წლის მანძილზე შეიძლება [illegible] ... თემურ გაგნიძე

## გაიხსნა ემიგრანტული ისტორიის მუზეუმი

11 ოქტომბერს რესპუბლიკის საზოგადოებრივ [illegible]

[illegible] ... მუზეუმის გახსნას ... ქართველთა ... მოწვეული ... ქეთევან ბაგრატიონი-რუჯიერი ... თავადი ... ბაგრატიონების ... ქართველი ... მუზეუმის ... ბაგრატიონის ... შესავალი ... რომელმაც ... გამოთქვა ... მუზეუმის გახსნა ... ქართველთა ... დღევანდელ [illegible]

[illegible] ... ემიგრანტული ისტორიის მუზეუმის გახსნას ... მუზეუმის ... დაესწრნენ ... [illegible]

... მუზეუმი შვილი [illegible]

რეზონანსი, 1994 წლის 13–14 ოქტომბერი, ხუთშაბათი – პარასკევი

"ორი აღმოჩენა"

---

ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" რედაქციას ეს მასალა გამოუგზავნა გამოსაქვეყნებლად ქალბატონმა თამარ ჩოფიკაშვილ-ვესტისამ, რომელიც არის ქართული ენის ლექტორი მიუნხენის უნივერსიტეტში.

---

Über zwei Entdeckungen:
Georgischer Probeabzug (1687) von Nicolas Kis in Amsterdam und ein Original-Exemplar des in Rom 1629 gedruckten georgischen "Alphabetum Ibericum" in der Bay. Staatsbibliothek in München.

Der ungarische Stempelschneider und Buchstabengiesser (Nicolas Kis) (1650-1702) Schöpfer der berühmten "Janson-Antqua"-Schrift, arbeitete in dem Jahren 1680-89 in Amsterdam. Durch eine Empfehlung des Amsterdamer Obebürgermeisters Nicolaas Witsen wurde er 1686 von König Artsil aus Moskau beauftragt, georgische Buchstaben zu schneiden In kurzer Zeit schuf er die Hutsuri- und Mhedruli-Buchstaben unter der brieflichen Leitung des Schweden Johann Sparvenfeld. Nicolas Kis spielte später im ungarischen Kulturleben eine tragische Rolle; statt Anerkennung zu finden, musste er sich gegen rückstandig denkenden Geistlichen wehren. In seinem Buch (1697) "Mentség" (Entschuldigung) erwähnte er u. a. stolz, das auch der georgische König aus dem fernen Kaukasus ("ad radices Caucasi" ihn beauftragt hatte. georgische Buchstaben zu schneiden. Bis zu seinem Tod blieb er fest davon überzeugt, der erste gewesen zu sein, der georgische Buchstaben geschnitten hatte. Wir wissen schon, dass der König sein Davitni jedoch mit anderen Buchstaben drucken liess, so blieb der Name des Nicolas Kis jahrhunderte lang in Georgien unbekannt, bis Anfang der dreissiger Jahre dieses Jahrhunderts in Stockholm eine georgische Schriftprobe und zwei lateinische Briefe von Nicolas Kis an J. G. Sparvenfeld von C. Björkbom entdeckt wurde. Björkbom hatte die Buchstaben dem Kis zugeschrieben. Nach ihm schrieb in selben Sinne (Christine Sarasadze) eine Studie in Tbilisi mit dem Titel " Die grusichen Buchstaben von Amsterdam." Sie hatte den Name Nicolas Kis in Georgien erstemal in zusammenhang mit den georgischen Buchstaben erwähnt. Fünfzig Jahre später stellte sich aber heraus, dass die Buchstaben von Björkbom entdekten Probe nicht von Kis stammten. Im Jahre 1980 wurde ganz zufällig ein neue Probedruck mit georgischen Hutsuri-und Mhedruli-Buchstaben in Amsterdam entdeckt mit eigenhändiges Bemerkung von Nicolas Kis:

*„Literas Georgianicas, seu Grusinicas vel Mingrelianas, Christianorum Graece religionis, habitantium ad radices Caucasi, inter mare Caspium et Pontum Euxinum de antehac manuscriptis solum usurpatae, nunc verò demum figuris et proportionibus secundum artis praecepta in ordinem reductis, in chalybe et cupro efformatae, de laboribus Typographicis optata; ex commissione Regis / ejusdem nationis / Archili, per Nicol. Kis Hung. Amstelodami Anno 1687.*

Dies war eine bedeutende Entdeckung.

In der europäischen Buchdruckergeschichte schon lang bekannt war, dass Anfang des 17 Jahrhunderts die Congregation di Propaganda Fide in Rom für ihre orintalische Buchdruckerei neben anderen auch gerogische Buchstben schneiden liess, mit denen 1 ein Alphabetum und Dittionario und 14 Jahre später, 1643 ein Lingvarum in georgischen Scprache gedruckt wurde. Nach der Edeckung der Mhedrulischrift auf dem amsterdamer Probeabzug wo der Schreiber dieser Zeilen, der über Nicolas Kis ein Biogrphie erarbeitet, die römischen und amsterdamer Mhedrulischriten verglichen. Ein von Frau (T. Tamara) West liebenswürdegerweise zur Verfügung gestelltes "First printed Books in Georgian" war f

einen Vergleich nicht geeignet, weil die Faksimile beir ersten Buch um ein Drittel vergössert und beim zweiten ~~aber~~ Buchtechischen Gründen verkleinert wurde. Inzwischen wurde der Bibliothekarin Frau von Lioba Fafferner in der Bayerischen Staastbiblioth ein kleines Bändchen entdeckt in welchem die Originalexemplar des Alphabetum und Dittionario in gergisch afrikanish und armenisch zusammengebunden waren.

Seine Buchstaben hatte Nicolas Kis unter grösseren Schwieri keiten geschnitten, als der Römer "tedesco", weil das von Kör Artsil geschickte Manuscript unklar und "sorglos" geschrieber war. Es stand in Amsterdam kein georgisch sprechender Mensc zur Verfügung von dem er in Detailfragen Rat holen konnte. E: musste sich von seinen Fantasie leiten lassen und so sind we seines übermässigen Ehrgeizes seine hutsuri Buchstaben unbra bar geworden. Wie aus senen Briefen an Sparvenfeld erkennbe ist, war König Artsil mit dieser Schrift nicht zufrieden, ur mahante Kis dem Manuscrift besser zu folgen. Als letzte hat e die Mherduli-Buchstaben geschnitten, diesmal genauer der Vorl folgend. Für die Geschichte der georgischen Buchstaben ist es vielleicht interessant sie mit dem römischen (von "tedesco") und tbilisi Schrift (von Mihail Stefanesvili) zu vergleichen



(Die mhedruli Buchstaben von dem "tedesco", Alphabethum, Roma, 2(



(Die amsterdamer Buchstaben von Nicalas Kis, 1667)



(Die Buchstaben von Tbilisi, von Stefanesvili, 1712)

Man brucht kein Fachmann zu sein um feststellen zu können, das die Mhedruli-Buchstaben, die von dem Meister der "Janson-Antiqua"-Schrift stammen (abgesehen von den durch die schlechte Vorlage verursachten kleineren Abweichungen) in Geist und Form der heutigen georgischen Schrift ebenso nahe stehen wie die römischen und tbiliser Buchstaben. Diese aber ergeben wegen ihrer gleichmässigeren Neigungen und dem fein betonten Unterschied zwischen den schmäleren und kräftigeren Linien ein lesbareres

und schöneres Schriftbild. Es is äusserst bedauerlich, dass das weitere Schicksal dieser Schrift in Georgion bisher nicht weiter erforscht ist.

Josef Molnár

# DITTIONARIO GIORGIANO E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R.P.D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARII
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.




IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
CIƆ DCXXIX.

CON LICENZA DE' SVPERIORI.

---

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი
ფორუმის მიმართვა აფხაზეთის ხალხისადმი

ჩვენო თანამემამულენო!

ორ წელიწადზე მეტია გრძელდება სისხლიანი დაპირისპირება აფხაზეთში. აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანმა თანაცხოვრების საუკეთესო ტრადიციებმა, მეგობრობამ, ნათესაობამ ვერ გაუძლეს უსასტიკეს განსაცდელს, რომელიც გულდაუთვლელმა ნაციონალ-სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა ბოევიკებმა თავს დაატეხეს საქართველოს ამ ძირძველ ისტორიულ მხარეს აფხაზეთს-სიყვარულის, კაცთმოყვარეობის და სხვა ადამიანურ თვისებათა სავანეს.

განხორციელდა ქართველთა ეთნიკური წმენდა-გენოციდი. მშობლიური კერებიდან განდევნეს თვით აფხაზი ხალხის საუკეთესო შვილები, მისი ყველაზე ჯანსაღი ნაწილი. დაიღუპა ათასობით უდანაშაულო ადამიანი-როგორც ქართველები და აფხაზები, ასევე რუსები, სომხები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, სხვა ხალხთა შვილები.

ცეცხლითა და მახვილით განადგურდა აყვავებული ქალაქები და სოფლები, კულტურისა და განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების კერები, ჯანმრთელობისა და სპორტის კომპლექსები, ისტორიისა და ბუნების უნიკალური ძეგლები...

მოიშალა სახალხო მეურნეობისა და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები, მოიშალა წარმოება, აუნაზღაურებელი ზარალი მოუვიდა მრეწველობას, სოფლის მეურნეობას...

უსასტიკესი ხვედრი განუზღვრა ბედისწერამ სამასათასამდე ლტოლვილს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების, რუსეთის ფედერაციის, მსოფლიოს დიდ სახელმწიფოების, გაეროს მრავალი ხელშეკრულებებისა და მორიგებების დაიმედებულნი დღენიდღე მოელიან სამართლიანობის აღდგენას, შინ მშვიდობით დაბრუ-

ნებას. კვლავ უძალიანდებიან აფხაზეთის პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის კეთილ ნებას სეპარატისტები, რომელთათვის არ არსებობს არც საერთაშორისო არც რაიმენაირი სამართალი. აფხაზეთში მეფობს ძალის კულტი, ქაოსი და განუკითხაობა, ცდილობენ საეჭვოდ გახადონ ქართველი და აფხაზი ხალხების მთელი თაობების, ნათი გამორჩეული შვილების ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი გულიას, აკაკი წერეთლისა და გიორგი შერვაშიძის, გალაკტიონ ტაბიძისა და მიხეილ ჭოჭუას, ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი ძიძარიას, არნოლდ ჩიქობავას და ზურაბ ანჩაბაძის მიერონცხებული ნიჭით, განათებული უძველესი ისტორიები, კულტურული და სულიერი ერთიანობა.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველ ფორუმი, რომელსაც წმინდათაწმინდად მიაჩნია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის ერთიანობა, გამოხატავს უღრმეს წუხილსა და შეშფოთებას აფხაზეთის ხალხების უპრეცედენტო ტრაგედიის გამო, გმობს რა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ექსტრემიზმსა და აგრესიულ სეპარატიზმს, ძალადობასა და სისხლისღვრას, მოითხოვს აილაგმოს და ზღვარი დაედოთ მათ.

ჩვენს ღრმა სინანულს და მწუხარებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილების მიერ განმტკიცებული და ნაანდერძევი მხარდაჭერა და ერთგულება, ერთმანეთის პატივისცემა და დაფასება ნათესაობა და ერთიანობა საუბედუროდ ჩირქმოცხებული და გაქელილია ბევრი გზააბნეული თანამოძმის მიერ.

განა ეს ეკადრება ჩვენს წარსულს/აწმყოს?

განა ნორმალურად მოაზროვნე აფხაზისა და ქართველისათვის ცნობილი არ არის, რომ ეთმოგვარე ქართველებსა და აფხაზებს შორის ნათესაურ კავშირებს და ტრადიციებს საუკუნეების ისტორია აქვს და დღემდე არსებობს?

განა შეძლიათ ამის უარყოფა აფხაზ და ქართველ აბშილავებს, აბაშიძეებს, ალანიებს, ბერულავებს, ბესლაძეებს, გაბისონიებს, გაბუნიებს, გვარამიებს, გოზერიებს, ბობოხიებს, გურგულიებს, გულიებს, დამენიებს, ჯიბლაძეებს, ძიძარიებს, ზარანდიებს, ლალიძეებს, მარხულიებს, კვარაცხელიებს, ნარმანიებს, ფარულიებს, ჟილიებს, შარიებს, ჩაკვეტაძეებს, ჭკადუებს, ჩერქეზიებს, ჩხეიძეებს, წერეთლებს, ხარაზიებს და მრავალ სხვებს ცხადია არა!

მაშ რატომ მივეცით უფლება ერთმანეთი ეხოცათ ძმებს, დეიდაშვილებს, ბიძაშვილებს, მამიდაშვილებს, უბრალოდ ერთმოგვარეებსეებს, ერთმანეთს ეზოკარში გაზრდილ გოგო-ბიჭებს? რატომ შეურაცხყავით ჩვენი საერთო წინაპრების სახელები, ჩვენ შორის არსებული ნათესაურ-მეზობლური ტრადიციები მამაპაპათა სისხლით მორწყული, აფხაზეთის ქართულ-აფხაზური მიწა-წყალი?

ნამდვილ, ძირძველ აფხაზებს ხომ ქართველებზე უფრო ახლო ნათესავი არ გააჩნიათ არც ჩრდილოეთ კავკასიაში და არც სხვაგან. ქართველებზე ახლოს ვის მიუტანია გულთან აფხაზთა ჭირი თუ ლხინი? საქართველოს და ქართველი ხალხის თანადგომასა და სიყვარულში რომელი აფხაზი ჩამოუვარდებოდა ქართველ პატრიოტს? გვაპატიებს კი შთამომავლობა, მომავალი, იმ წინდაუხედაობასა და უგნურობას რაც ჩავიდინეთ?!

ნუთუ არ უნდა გავუწიოთ ანგარიში იმ ფაქტს, რომ ეს კონფლიქტი და წარმოუდგენელი ომი აფხაზი და ქართველი ხალხების სურვილი არ იყო და მათ საერთო ინტერესებს არ შეეფერებოდა?

საჭიროა უფრო წინდახედულები, შორსმჭვრეტელები და ნიზან/წინართულები ვიყოთ, ჩვენო თანამემამულენო!

ჩვენ პატივს მივაგებთ აფხაზეთის ხალხების ისტორიულ წვლილს, საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების ბრძოლაში, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის საქმეში, გაგებით ვეკიდებით მათს მწუხარებას, უაზრო ძმათამკვლელ ომში ნათესავებისა და ახლობლების დაღუპვის გამო და მთელი საქართველოს ხალხებთან ერთად მოვუწოდებთ, რომ შეწყდეს კონფრონტაცია, ახალი დაპირისპირება, სისხლი და ცრემლი.

ჩვენ, სიმართლეს ვეტყვით მსოფლიოს აფხაზეთის შესახებ, ქართველი ხალხის უმძიმეს დანაკარგებს, საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა უსაზღვრო ტანჯვისა და წამების თაობაზე, რომელიც ცივილიზებული სამყაროს დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვს.

ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, მიუხედავად მომხდარისა, რომ ქართველ და

აფხაზ ხალხებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებთან ერთად მომავალში შეუძლიათ და იცხოვრებენ ერთიან აფხაზეთში, კვლავ ერთად გაზრდიან შვილებსა და შვილიშვილებს, აალორძინებენ ყოველივე იმას, რითაც ოდითგანვე იყო გამორჩეული აფხაზი და ქართველი კავკასიასა და მთელ მსოფლიოში.

გვჯერა რომ აფხაზი ხალხი თვითონ გამოუტანს განაჩენს თავიანთ პოლიტიკოსებს და ფსევდომეცნიერებს, რომელთა კაცთმოძულე "თეორიებმა" ყოფნა-არყოფნის წინაშე დააყენა თვით აფხაზი ხალხი, ნგრევა და გაპარტახება მოუტანა აყვავებულ მხარეს.

ჩვენ ვთხოვთ და მოვუწოდებთ ცივილიზებულ მსოფლიოს, გაეროს, რუსეთის ფედერაციას, აღმოსავლეთის და დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს, საკუთარი ქვეყნების ხელმძღვანელებს, განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა დაჩქარდეს სამშვიდობო ძალისხმევა აფხაზეთში, ბოლო მოეღოს ადამიანების ტანჯვა-წამებას, აღსდგეს სამართლიანობა, მშვიდობა და თანხმობა მრავალტანჯულ მიწა-წყალზე.

ამ მძიმე ჟამს ჩვენ თქვენთან ვართ თანამემამულენო, აფხაზეთის მცხოვრებლებო და გვწამს, რომ მალე დამყარდება მშვიდობა და სტაბილურობა, ერთად მოვიშუშებთ იარებს, ერთად აღვადგენთ დანგრეულს, ახალი ძალით ავაღორძინებთ ტრადიციულ კეთილ ურთიერთობებს, ნათესაობას, მეგობრობასა და ძმობას საქართველოს განუყრელ აფხაზეთში.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის
პირველი ფორუმის მონაწილენი.
1994 წლის 16 ოქტომბერი
ქ.თბილისი

## "ჩ ვ ე ნ ი   ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა"

ლევილის ქართული მამულის "ჩვენი ბიბლიოთეკა" თანდათანობით მდიდრდება. 1994 წლის სექტემბერში, მაგალითად, ახლახან გარდაცვლილი ალექსანდრე ფანჩულიძის მდიდარი ბიბლიოთეკა, მისმა მეუღლემ, მთლიანად გადასცა ლევილის ქართული მამულის ბიბლიოთეკას. "ჩვენი ბიბლიოთეკა" ისე გაფართოვდა, რომ უკვე შეუძლებელი ხდება ყველა წიგნის, რუკების თუ ფოტოსურათების მკითხველთა ხელმისაწვდომად დაწყობა და საჭირო კარტოთეკის შედგენა. ამიტომ ქართული მამულის შატოს უკანასკნელ სართულში უკვე დალაგების პროცესშია წიგნთსაცავი, რომელიც უკვე იმდენად არის თაროებით აღჭურვილი, რომ მალე ბიბლიოთეკის სახეს მიიღებს და ამით წიგნები არა მარტო დალაგებული, არამედ სათანადოთ მოვლილი და გასუფთავებული გახდება.

"ჩვენი ბიბლიოთეკისა" და წიგნთსაცავის მოვლა-პატრონობას კი, გასაგებია, უანგაროდ ხელმძღვანელობს ლევილის ქართული მამულის სოციეტესა და ადმინისტრაციის ყოველი წევრი, რომლებიც ფიზიკური შრომისა და სათანადო ხარჯებისაგანაც არ იხევს უკან.

კ.ი.,ლევილი, 1994 წლის 2 ოქტომბერი

- . - . - . - . -

## ბ ა ლ ა ნ ს ი

ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" 1995 წლის იანვრის გამოცემის (ნომ.15(33))
ხარჯები: გასავალი(დაბეჭდა, გამრავლება, შეკვრა, გაგზავნა)...3.755 ფრანკი.
შემოსავალი(შეწირულება კარლო ინასარიძისა)..........3.755 ფრანკი.

- . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Géorgien

## ქართული ეროვნული საბჭო

"ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისათვის ბრძოლა ყოველგვარი ლეგალური გზით. ქართული ეროვნული საბჭო თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა '25 მაისის იდეებს', განსაკუთრებით კი 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა' და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის(ძირითადი კანონის) დებულებებს".

<u>ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი მესამე</u>

"ქართული ეროვნული საბჭო თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ისევ-აღსდგება '26 მაისის იდეა', ე.ი. გამოცხადებულ იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა".

<u>ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი ოცდამეორე</u>

Conseil National Géorgien
Chateau de Leuville
91310 - Leuville sur Orge
FRANCE

გ თ ხ ო ვ თ

გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:

M. Mamia Berichvili
"La Géorgie Combattante"
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F r a n c e

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო   კ ო ლ ე გ ი ა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

LA GÉORGIE COMBATTANTE

1 იანვარი, 1995 წელი - 15(33)

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება არის მიმჭმელი, მჭრელი, მეზრდელი". ნოე

დაარსდა: იანვარი.1952,პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris